# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ოთხშაბათი 2 დეკემბერი 1998 №220 (755) ფასი 50 თეთრი

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. E ჯგუფი

## თურქეთი — საქართველო

2 დეკემბერი. ბურსა. „ათათურქი“. 17:30 საათი

# მოუგე საქართველოს და აიღე 5 000 დოლარი

გიორგი ბიქაშვილი



ბურსადან

სათაურად ნათქვამი სიტყვები ეკუთვნის თურქეთის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტს თურგაი დემირელს. მან დღევანდელ მატჩში გამარჯვებისთვის თითოეულ კალათბურთელს ზემოთ ნახსენები თანხა აღუქვა.

— კარგი გუნდი გყავთ — გულწრფელად ვუთხარი ერთ თურქ კოლეგას, რომელიც ჩემს გვერდით მოკალათებულიყო და თავისიანთა ვარჯიშს აკვირდებოდა. მან კი თანხმობის ნიშნად თავი დამიკრა და იქვე მოფუსფუსე დემირელზე მიმანიშნა — ეს კაცი რომ არა... გუნდი სწორედ მაგან უნდა დაიკვეხნოს, ისეთი ხალხი შემოიკრიბა და საქმესაც ისე უძღვება, მთელი თურქეთი მაგის მზეს ფიცულობსო. მე კი, ცხადია, ჩემი სამშობლო და დემირელის ჩვენებური კოლეგები გამახსენდა და...

ისე, რა ამის პასუხია და, თურქები თუ ვინმეს ეთაყვანებიან, უპირველესად, მუსტაფა ქემალ ათათურქს. მეორე დღეა, ბურსაში ვარ და ერთი დაწესებულებაც ვერ დავინახე, დიდი თუ პატარა, მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო, ამ კაცის პორტრეტი რომ არ უმშვენებდეს ინტერიერს. ძალიან დიდი ვინმე იყოო, მაცნობენ აქაურები თავიანთ ბელადს. როგორც თქვენთვის ლენინიო — ასეც ამიხსნა მავანმა და ილიჩის ხსენებაზე ამრეზით რომ შევხედე მერეღა მიხვდა, საილიჩო ტომისა რომ არ ვიყავი. თუმცა წაოხუნჯებას უფრო ჰგავდა მისი საქციელი, ჩემი რეაქცია აინტერესებდა. აკი მერე გამომიტყდა, განა არ ვიცი, სად გურჯისტანი და სად ლენინიო და მყისვე მომიბოდიშა.

ძალიან ძნელია აქაურებთან კონტაქტი. მშობლიური ენის გარდა არაფერი გაეგებათ. ინგლისურს თუ დაამტვრევს, ათში ერთია. ან კი რად უნდათ, მშვენივრად ცხოვრობენ, თავს ბედნიერად გრძნობენ. ერთი სიტყვით, ბედს ნამდვილად არ უჩივიან და ღიმილიან ქუჩებში გაბრწყინებული სახეებით, სიცილ-კისკისით. შეგშურდება კაცს.

არ ვიცი, ვინ როგორ ფიქრობს, მაგრამ სტუმართმოყვარეობაში ნაღდად დამაჯერეს. გუშინ, ინათა თუ არა, „ათათურქ სპორ სალონუსკენ“ გავწიე. ეს ის ალაგია, სადაც დღეს, ჩვენი დროით რვის ნახევარზე თურქეთ-საქართველოს მატჩი გაიმართება. ვიფიქრე, წავალ, შევათვალიერებ, თანაც აკრედიტაციაც ხომ მინდოდა. მივედი და კარისკაცს ვუხსნი, ესა და ეს ვარ, როგორმე დამაკვალიანე-მეთქი. აქ მოიცადეო, და რამდენიმე წუთში სამი მოვალჩინოსანით მეახლა. უცნობებმა მანქანაში მიმიპატიჟეს და ქალაქის დათვალიერება შემომთავაზეს. უარს როგორ შევკადრებდი, ძალიანაც მაინტერესებდა. დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ კი მიმიყვნეს ვინმე თეომან გურაის კარს, რომელიც დემირელის შემდეგ მეორე კაცი ყოფილა თურქულ კალათბურთში.

ეს კაცი ძველი დოსტივით შემხვდა და, არხეინად იყავი, ყველაფერი რიგზე იქნებაო, დამამშვიდა. ჩემი რა გითხრათ და, დასამშვიდებელი ის უფრო იყო, თქვენი გუნდი უკვე ჩამოსული უნდა იყოს, არადა, არ ჩანანო, ნერვიულობდა. როცა შევატყო, ამ ცნობამ მეც ძალიან შემაწუხა, არაფერია, სადაცაა, გამოჩნდებიანო, მანქანაში და ჩაიზე მიმიპატიჟა.

ქართველები მოგვიანებით, დღის ორი საათისთვის გამოჩნდნენ. „კენტ ოტელი“ — ასე ეწოდება იმ სასტუმროს, სადაც ჩვენები დაბინავდნენ. ერთი კი ვიფიქრე, ხომ არ შევიაროო, შეგვიანების მიზეზი შევიტყომეთქი, მაგრამ ჩემი მასპინძელი მობილურ ტელეფონს დასწვდა, ნომერი აკრიფა და მომაწოდა — აჰა, დაელაპარაკეო.

ხუთ საათზე ათათურქის დარბაზში ჩვენი დღევანდელი მეტოქეები შემოლაგდნენ. მწვრთნელმა ერმან ქუნთერმა კალათბურთელებს მინი-თათბირი ჩაუტარა და ვარჯიშიც გაჩაღდა. სამწუხაროდ, ექსქართველი ზაზა ენდენი (ენდელაძე) ვერსად დავლანდე და ქუნთერს მისი არყოფნის მიზეზი ვკითხე. ზაზას ფეხი აწუხებსო, მომიგო და წამსვე გამცილდა — მაგრძნობინა, შენთვის არა მცხელაო. არ მოვეშვი და მატჩის პროგნოზს დავეკითხე, ეს მაინც მიპასუხეთ-მეთქი. შვედეთთან და ლატვიასთან გამარჯვებით ჯგუფში პირველობის შანსი გაგვიჩნდა და ქართველებთან კიდევ უფრო განვიმტკიცებთო. ნაკრების პრეს-ატაშემ კი ასეთი რამ მითხრა, ქუნთერს მოეშვი, ბევრი ლაპარაკი არ უყვარს, საქმით კი, იცოცხლეო. მისგანვე შევიტყვე, რომ საამატჩოდ მწვრთნელს უძლიერესი შემადგენლობა გამოუძახებია: თვით მირსად თურქჯანი, ჩვენი სტეფანიასავით ნბა-სკენ რომ უჭირავს თვალი (ჰიუსტონმა დრაფტში აირჩია), შტატებში არ გაუშვია და თამაშის მერე წადიო, უთქვამს.

ქართველი კალათბურთელები „ათათურქის“ სარბიელზე ორი საათის მერე გამოჩნდნენ. ლევან მოსეშვილი ისევ ფეხის ტკივილს შეუწუხებია და გუნდიც უიმისოდ ჩამოსულა. მის გარეშე დარჩენილებს კი პაატა გურასპაული და ზაზა ცაგარეიშვილი მოძღვრავდნენ.

შვედებთან მატჩისგან განსხვავებით, გუნდში ერთი ცვლილებაა: მამუკა აბრამიძის ნაცვლად, რომლისთვისაც სიცხეს აუწევია, მწვრთნელებს ვასილ ოთიურიძე წამოუყვანიათ.

ვერ იტყოდი, ბიჭებმა ხალისით ივარჯიშესო, ეტყობოდათ, შვედებთან მარცხს ფსიქოლოგიურად დაეთრგუნა. გონზე ვერ მოვსულვართ, მითხრა გურასპაულმა და შემპირდა, მოცალეობისას რასაც მკითხავ, ყველაფერზე გულახდილად გიპასუხებო.

ბუნებრივია, ჯერ თბილისურ კოშმარზე დავეკითხე:

— ახლაც ვერ მივხვდარვარ, რა დაგვემართა შვედეთთან. ეს რაღაც ანტიკალათბურთი იყო. 30 წელია, ამ სახეობაში ვარ და ასეთი არაფერი მინახავს. ბიჭები ვერ გავაღვიძეთ. პირველი ტაიმიც კი, მოგების მიუხედავად, საზიზღრად ვითამაშეთ, მეორეზე აღარაფერს ვამბობ.

*— წინ ურთულესი მატჩია თურქებთან. ასე თუ გაგრძელდა, აქ უარესს დაგვმართებენ...*

— ჩვენთვის ახლა უმთავრესი ისაა, ბიჭები ფსიქოლოგიურად განვაწყოთ. წაგებით კი ვის არ წაუგია. ყველამ ვიცით, რომ ამაში დამნაშავეები ვართ. კრიტიკასაც მივიღებთ. თურქებთან კი უმთავრესია, არ შევრცხვეთ.

*— მოგებაზე ვერც ვიოცნებებთ?*

— აბა, რა გითხრათ. აქ გამარჯვება არარეალურად მეჩვენება, თურქები რამეს გაგვატანენ?!

–დღეს, 5 300-კაციანი „ათათურქი“ პირთამდე გაივსება. თურქეთი მოიგებს — ერთხმად გაიძახიან და გამარჯვების მოლოდინში ხელებს იფშვნეტენ აქაურები.

იხილეთ მეათე გვერდი

# რეალი მსოფლიოს ჩემპიონია



რაულის გოლმა მსოფლიოს საკლუბო ფეხბურთს ახალი ჩემპიონი მოუვლინა. გუშინ ტოკიოში, საკონტინენტთაშორისო თასის მატჩში ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულმა მადრიდის „რეალმა“ ლიბერტადორესის თასის-მფლობელ ბრაზილიურ „ვასკუ და გამას“ 2:1 მოუგო.

იხილეთ მეხუთე გვერდი

თბილისი. ვაკე. 1 დეკემბერი

### ყოჩები 41:5 ასკ

**ყოჩები:** ფირიაშვილი (ჩიქავა), კიკუაშვილი (ჭავჭავაძე), ახვლედიანი (ესაკია), ურუშაძე (სულთანიშვილი), ტყეშელაშვილი, ჭელიძე, დიდებულიძე (სოფრომაძე), გიორხელიძე, ტეფნაძე, ლიპარტელიანი (პეტრიაშვილი), ბარძიმიშვილი, საკანდელიძე, ხეხელაშვილი, იურინი

**ნლ:** საკანდელიძე, დიდებულიძე, ჩიქავა, ესაკია, ურუშაძე, იურინი. 4გ და 1ს ტყეშელაშვილი

**ასკ:** შველიძე, სუჯაშვილი (კაკაბაძე), ლიქოკელი, უჩავა, გაფრინდაშვილი, ვართანიანი (მაისურაძე), მინაშვილი (სვანიძე), მაგრაქველიძე, აბუსერიძე, გოგიშვილი, იაშვილი (პავლიაშვილი), აბრამიშვილი, კაპანაძე, კიკნაძე, იოვაძე

**1ლ:** სუჯაშვილი

**მსაჯი:** ბ. კლავერი (საფრანგეთი)

საქართველოს ჩემპიონატი

# ფრანგი მსაჯის სტუმრობაო... არმია და, ერთი ლელო?!

5 წუთზევე გახსნეს: იურინის დიდებული რეიდი შეტევის მარცხენა ფრთაზე საკანდელიძის ლელოთი დასრულდა. საერთოდ კი, „ბეირუთა“-იურინმა ნახევარფინალი უმაღლეს დონეზე ჩაატარა, სტუმართა განადგურებას სათავეც დაუდო და საბოლოო წერტილიც დაუსვა. სტუმრებს პირველ ტაიმში სამჯერ მიეცათ ანგარიშის გახსნის შანსი, მაგრამ ერთხელაც ვერ იხეირეს. ჯერ კიკნაძის ჯარიმიდან დარტყმული ბურთი ასცდა მიზანს, მერე კი მასპინძელთა კარისკენ დანიშნული ჯარიმები გაათამაშეს, იმის მაგივრად, რომ კარში დაერტყათ, როგორც ამას არმიელთა მწვრთნელი ითხოვდა. ეს ყველაფერი ტაიმის ბოლოს მოხდა, როცა ანგარიში 15:0 იყო. მეორე ლელო დიდებულიძემ გაიტანა.

მეორე ტაიმში ჩემპიონის უპირატესობა კიდევ უფრო გამოიკვეთა. ეს ოთხ გატანილ ლელოში გამოიხატა, რაც უპირველესად მორკინალთა დამსახურებაა. მესამე ლელო შეცვლაზე შესულმა ჩიქავამ გაიტანა, ხუთ წუთში მას მხარი ესაკიამ აუბა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ არმიელები მშრალად დამარცხდებოდნენ. იმიტომ კი არა, რომ არაფრის ძალა შესწევდათ, უბრალოდ, მათი ყოველი შეტევა მასპინძელთა ჩათვლის მოედანთან ჩერდებოდა. ასეთი შემთხვევა მეორე ნახევარში სულ ცოტა, ხუთი მაინც იყო. ერთი სიტყვით, არმიელებს ცოტაც რომ მოენდომებინათ, შეხვედრის შედეგი სხვაგვარი იქნებოდა, თუმცა ერთი ლელოს გატანა მაინც მოახერხეს. ტაიმის შუხანს კი ორწუთიან მონაკვეთში ორი ლელო მიიღეს. პირველად ურუშაძემ იმარჯვა. მეორედ კი პეტრიაშვილმა და იურინმა გაითამაშეს კარგად ბურთი და ამ უკანასკნელმა წერტილიც დაუსვა სტუმართა განადგურებას. შეხვედრის დამთავრებამდე მეტი აღარაფერი მომხდარა გარდა იმისა, რომ მასპინძელთაგან ერთ-ერთ საუკეთესოს, ირაკლი გიორხელიძეს მსაჯთან კამათისთვის ფრანგმა არბიტრმა ათი წუთით დაატოვებინა მინდორი. მაყურებელს კი თვალში ბარძიმიშვილის სუფთა მაისური ხვდებოდა. მაშინ, როცა ყველა მოთამაშეს ეტყობოდა ატალახებული მინდვრის კვალი, თუმც ბოლო წუთზე ისიც თანაგუნდელებს დაემსგავსა.

ჩანს, მსოფლიოს თასის შესარჩევ ეტაპზე ბორჯღვალოსანთა წარუმატებლობამ საგრძნობლად იმოქმედა ქვეყნის პირველობის მატჩებზე მაყურებელთა დასწრებაზე — ეროვნული ჩემპიონატის ნახევარფინალურ მატჩს მხოლოდ 100 მაყურებელი დაესწრო. არადა, გუნდების თამაშის ხარისხმა წინა წლებთან შედარებით იმატა, აქედან გამომდინარე, სანახაობრობამაც.

ამავეს თქმა, ანგარიშში დიდი სხვაობის მიუხედავად, გუშინდელ ნახევარფინალზეც შეიძლება.

სიმართლე გითხრათ, არ ველოდი, მატჩი ასეთი შედეგით თუ დასრულდებოდა, თუნდაც იმიტომ, რომ ნახევარფინალი იყო.

მასპინძლებმა ანგარიში შეხვედრის მე-

ჩემპიონობის მეორე მაძიებელი, რომელიც „ყოჩებს“ კვირას ფინალურ მატჩში დაუპირისპირდება, დღეს გაირკვევა ბათუმში, „დათვებისა“ და „ექსპრესის“ შორის შეხვედრაში. ამათ შორის დამარცხებული კი შაბათს არმიელებს მესამე ადგილს შეეცილება.

ბაატა თოთაძე



არმიელთა წინააღმდეგობა ამაოა: ყოჩ ვიქტორ დიდებულიძეს ლელო გააქვს

# ...გადადიოდეს ხელიდან ხელში

საქართველოს მეათე ჩემპიონატის პირველი წრე პროდიუსერთა ცვლის ნიშნით ჩათავდა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას თავკაცობა გამოეცვალა, მაგრამ ჩემპიონატს ისევ ისინი ემსახურებიან, ვინც 1990 წლიდან — დღემდე.

ცხადია, არც არაფერი გაუმჯობესებულა, უმნიშვნელო წვრილმანთა გარდა. ახალ ფედერაციას ჯერ ბევრსაც ვერას მონითვე ალხენს, ცუდი კი წყალ-წყალათი გამოჰბრუჟავს. ბევრი ტყუილად როდი მიმართავს ბელადისეულ პარაფრაზს — ფეხბურთი სახალხო ბანგიაო. მართლა ასეა ყველგან, განსხვავება მხოლოდ ერთშია — კმაყოფილი დაგირჩება თუ არა დაბანგული.

გვარს არ დავასახელებთ და, ამ ჩვენი სუფრის თამადას ბოლო დროს მოადგილე გაუთამადდა. თავშეყრის ეშხიც მხოლოდ მათ მეტოქეობას შერჩენია, თორემ დასხმას.

არადა, როგორ უნდა იყოს? კახი ღვინოს უნდა ასხამდეს, მტკვრისპირელი სუფრას ცოცხალს სწირავდეს, ქართლელი — ხილს, იმერი სხვას ზრდილობას გადასდებდეს, ზღვისპირელი კი ზედაც მარილს აყრიდეს.

არაა ასე, როგორც ზრდილობა აღარ ფასობს, ისე — სხვაც. არც დაფასდება — ჩვენებურ კრიმანჭულსაც სხვაგან უფ-



კოლხთა კარში ლევან ცქიტიშვილის გატანილი სამთაგან ერთ-ერთი გოლი

სთხოვს კაცი — სხვის გაშლილ სუფრას შემოესწრო და თუ წლევანდელი საფეხბურთო პურისჭამა უშფოთოდ დაასრულა, მისი კარგი თამადობაც ეს იქნება.

არადა, ამ ჩვენს მოლხინეთ, აქედანვე ჩანს, გამძლეობა დიდხანს არ გაჰყვებათ. ამათ, ვინც ჩემპიონატის იუბილეზე გუნდ-გუნდად მოსულან, ხალხი ხელიდან ეცლებათ და, ვინ იცის, ნაადრევადაც მოუწიოთ დაშლა-არმოშლის თქმა.

კარგი მასპინძელი მოქეიფეთ კარგი ლხინის სადღაა სმა-ჭამა, ნასუფრალიღა დარჩენილა. საქმე ისაა, არც მერიქიფენი ჩანან. ერთი სიტყვით, იუბილეს ჩაშლა, იუბილარს შერცხვენა ემუქრება. საქმეს ვინ უნდა უშველოს, ცნობილია, მაგრამ უშველის კი?

ქართული სუფრა მცირე აკადემიააო და, რას სწავლობენ ახალგაზრდები ამ (საფეხბურთო) ცოდნის ტაძარში? დედის გინებას (საკუთრისას და სხვისას), მუჯლუგუნის კვრას, უწესოდ ქცევას, უგულოდ გარჯას და, ერთი სიტყვით, თავსლაფის რო იტყვიან, ვიდრე ჩვენში.

ღრეობის განახლებამდე თავ(ი)კაცები მალე გადამთვრალთა, ძალაგამოლეულთა დაფრენას აპირებენ. ცოტანი და შემძლენი დავრჩებით და ქართული სუფრის მადლსაც მაშინ ნახავთო.

იყოს ნება მათი. ეგებ მართლა გვეშველოს და ჯიხვის რქაც ამ ჩვენი იუბილარის სადიდებელი, ხელიდან ხელში ხალისით გადადიოდეს.

**ვახტანგ ბზიკაძე**

## პირველი წრის სიმბოლური ნაკრები

- მიხეილ აშვეთია (4) — დინამო
- ჰამლეტ წიწწივაძე (3) — კოლხეთი
- რატი ალექსიძე (3) — დინამო
- ლევან ცქიტიშვილი (3) — დინამო
- დავით ჯანაშია (6) — ტორპედო
- შოთა ჩომახიძე (4) — იბერია
- პაატა ბარნოვი (3) — ლოკომოტივი
- ირაკლი მაღლაკელიძე (4) — ტორპედო
- ზურაბ მენთეშაშვილი (5) — ვიტ ჯორჯია
- ხვიჩა გაგნიძე (4) — დილა
- მამუკა ძორიძე (3) — გორდა

გუნდი:
ლოკომოტივი (2)

მწვრთნელი
თემურ მახარაძე (4)
ლოკომოტივი

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | ვ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 დინამო (1) | 1 | 15 | 12 | 3 | 0 | 50:8 | +42 | 39 | 8 | 7 | 1 | 0 | 37:7 | +30 | 22 | 7 | 5 | 2 | 0 | 13:1 | +12 | 17 |
| 2 ტორპედო (4) | 2 | 15 | 11 | 2 | 2 | 42:14 | +28 | 35 | 7 | 6 | 1 | 0 | 24:5 | +19 | 19 | 8 | 5 | 1 | 2 | 18:9 | +9 | 16 |
| 3 კოლხეთი (3) | 3 | 15 | 8 | 3 | 4 | 34:25 | +9 | 27 | 8 | 7 | 1 | 0 | 24:6 | +18 | 22 | 7 | 1 | 2 | 4 | 10:19 | -9 | 5 |
| 4 ლოკომოტივი (6) | 4 | 15 | 6 | 9 | 0 | 18:6 | +12 | 27 | 7 | 3 | 4 | 0 | 8:2 | +6 | 13 | 8 | 3 | 5 | 0 | 10:4 | +6 | 14 |
| 5 ბათუმი (2) | 5 | 15 | 6 | 6 | 3 | 23:14 | +9 | 24 | 8 | 4 | 3 | 1 | 15:5 | +10 | 15 | 7 | 2 | 3 | 2 | 8:9 | -1 | 9 |
| 6 დილა (9) | 6 | 15 | 6 | 4 | 5 | 21:21 | 0 | 22 | 7 | 4 | 1 | 2 | 12:7 | +5 | 13 | 8 | 2 | 3 | 3 | 9:14 | -5 | 9 |
| 7 იბერია (დ) | 7 | 15 | 5 | 3 | 7 | 26:31 | -5 | 18 | 7 | 3 | 2 | 2 | 15:10 | +5 | 11 | 8 | 2 | 1 | 5 | 11:21 | -10 | 7 |
| 8 არსენალი (დ) | 8 | 15 | 4 | 6 | 5 | 19:25 | -6 | 18 | 7 | 1 | 4 | 2 | 10:11 | -1 | 7 | 8 | 3 | 2 | 3 | 9:14 | -5 | 11 |
| 9 მერანი (7) | 10 | 15 | 3 | 8 | 4 | 13:16 | -3 | 17 | 8 | 2 | 5 | 1 | 5:2 | +3 | 11 | 7 | 1 | 3 | 3 | 8:14 | -6 | 6 |
| 10 ოდიში (5) | 9 | 15 | 5 | 1 | 9 | 12:25 | -13 | 16 | 8 | 3 | 1 | 4 | 8:13 | -5 | 10 | 7 | 2 | 0 | 5 | 4:12 | -8 | 6 |
| 11 გორდა (11) | 14 | 15 | 3 | 7 | 5 | 12:17 | -6 | 16 | 8 | 2 | 4 | 2 | 6:10 | -4 | 10 | 7 | 1 | 3 | 3 | 6:8 | -2 | 6 |
| 12 სიონი (13) | 11 | 15 | 4 | 3 | 8 | 15:32 | -17 | 15 | 8 | 3 | 3 | 2 | 11:9 | +2 | 12 | 7 | 1 | 0 | 6 | 4:23 | -19 | 3 |
| 13 ვიტ ჯორჯია (10) | 15 | 15 | 5 | 2 | 8 | 15:17 | -2 | 14 | 7 | 3 | 0 | 4 | 9:9 | 0 | 9 | 8 | 2 | 2 | 4 | 6:8 | -2 | 8 |
| 14 სამგურალი (12) | 12 | 15 | 4 | 2 | 9 | 13:31 | -18 | 14 | 7 | 3 | 0 | 4 | 6:10 | -4 | 9 | 8 | 1 | 2 | 5 | 7:21 | -14 | 5 |
| 15 თსუ (8) | 13 | 15 | 3 | 4 | 8 | 14:22 | -8 | 13 | 8 | 1 | 2 | 5 | 9:14 | -5 | 5 | 7 | 2 | 2 | 3 | 5:8 | -3 | 8 |
| 16 გურია (14) | 16 | 15 | 3 | 1 | 11 | 17:39 | -22 | 10 | 7 | 3 | 0 | 4 | 12:13 | -1 | 9 | 8 | 0 | 1 | 7 | 5:26 | -21 | 1 |

(?) — ადგილი წინა ჩემპიონატში. # — ადგილი წინა ტურში ! — ვიტ ჯორჯიას დაკლებული აქვს 3 ქულა

## მეათე ჩემპიონატის პირველი წრის ყველა გოლი

**დინამო 50**
13 - აშვეთია
8 - ცქიტიშვილი
ხომერიკი
6 - ალექსიძე
გ. შენგელია
4 - დ. მუჯირი
2 - კიკნაძე
ლ. მელქაძე
2 - გ. ლურსმანაშვილი
„იბერია" (ს.კ.)

**ტორპედო 42**
13 - იონანიძე
8 - დ. ჯანაშია
6 - მეგრელაძე
4 - კ. კვეტენაძე
ქებაძე
3 - ვაშაკიძე
2 - ვაჩიბერიძე
იმედაძე

**კოლხეთი 34**
11 - წივწივაძე
8 - გვასალია
4 - გაბისონია
3 - სუხიაშვილი
2 - კალანდაძე
ქობულაძე
1 - კრასოვსკი
დ. ნოზაძე
ლალანიძე
შალამბერიძე

**იბერია 26**
6 - ვ. გიგიაძე
ჩომახიძე
4 - ივერიანი
3 - ხუჭუა
2 - დარასელია
ვარდიაშვილი
1 - ამაშუკელი
სადილიანი
დ. ჭელიძე

**ბათუმი 23**
7 - მაჭუტაძე
6 - ტულუში
3 - გადელია
2 - კანტიძე
სიჭინავა
1 - აფხაზავა
მაქაცარია
რუსია

**დილა 21**
9 - კაიდარაშვილი
4 - მარეხაშვილი
2 - თაყაძე
ციცქიშვილი
1 - ახალკაცი
ლ. გოჩაშვილი
მოსულიშვილი
ბ. ჩიტაია

**არსენალი 19**
7 - ზირაქიშვილი
5 - კაკაშვილი
3 - ტარიელაშვილი
2 - ხოსროშვილი
1 - გველესიანი
მ. მაისურაძე

**ლოკომოტივი 18**
5 - დ. გოდერძიშვილი
3 - ლუდუშაური
2 - მარლიშვილი
1 - ბალაშვილი
ბაქრაძე
კ. გოგოლაძე
კოტორაშვილი
კ. მელქაძე
ნ. მინდიაშვილი
ძოწუაშვილი
ხორგუაშვილი

**გურია 17**
9 - დ. მახარაძე
4 - მელაძე
2 - განევი
1 - გიორგაძე
ინიაშვილი

**სიონი 15**
4 - ჯაგიდისი
3 - მ. სამხარაძე
2 - მ. გოგოლაძე
მოსეშვილი
შაკიაშვილი
1 - ქობელაშვილი
ძნელაძე

**ვიტ ჯორჯია 15**
4 - [illegible]
ლ. ნოზაძე
2 - ვ. გოჩაშვილი
ჭანკოტაძე
1 - ზ. გვაზავა
მაზიაშვილი
ზ. მენთეშაშვილი

**თსუ 14**
4 - წიტაიშვილი
3 - როსტიაშვილი
2 - კაკუბავა
კობიაშვილი
1 - ბახტაძე
დეკანოსიძე
ებრალიძე

**მერანი 13**
4 - ს. დავითაშვილი
3 - გ. ქორიძე
1 - დავითნიძე
დევიძე
ხუციშვილი
„გურიასთან" 3:0 მოგება ჩაეთვალა

**სამგურალი 13**
6 - ფაიქიძე
3 - მ. ჯინჭარაძე
2 - მახვილაძე
1 - თევდორაძე
კ. ჯანაშია

**ოდიში 12**
6 - ენდელაძე
2 - თოლორდავა
1 - კვეკვესკირი
კუტალია
მარკოზია
ლურწკაია

**გორდა 12**
3 - ჩუხუა
2 - ლ. ალადაშვილი
კილასონია
მ. სახვაძე
1 - კ. ალადაშვილი
დ. მენთეშაშვილი
სილაგაძე

## ბომბარდირები

13 - მიხეილ აშვეთია ............ დინამო
ზურაბ იონანიძე ............ ტორპედო
11 - ჰამლეტ წივწივაძე ............ კოლხეთი

## ვის სად გზავნიდნენ

ბ. ქარქაშაძე (12): გორდა — დილა, ბათუმი — ლოკომოტივი, ვიტ ჯორჯია — ტორპედო, მერანი — თსუ, ბათუმი — სამგურალი, მერანი — ოდიში, ბათუმი — მერანი, დილა — ტორპედო, გორდა — იბერია, დინამო — დილა, ოდიში — ბათუმი, დილა — მერანი

კ. ყრუაშვილი (12): დინამო — არსენალი, ტორპედო — კოლხეთი, გორდა — დინამო, ტორპედო — ბათუმი, გორდა — არსენალი, ლოკომოტივი — ტორპედო, დინამო — ბათუმი, გორდა — ბათუმი, კოლხეთი — არსენალი, ვიტ ჯორჯია — თსუ, გორდა — ტორპედო, დინამო — კოლხეთი

მ. კობიაშვილი (10): მერანი — სამგურალი, სამგურალი — გორდა, მერანი — გორდა, სიონი — მერანი, სიონი — ოდიში, ლოკომოტივი — დინამო, თსუ — ბათუმი, გურია — დინამო, სიონი — ლოკომოტივი, ვიტ ჯორჯია — ოდიში

ნ. ამირეჯიბი (8): ლოკომოტივი — ოდიში, ლოკომოტივი — ვიტ ჯორჯია, არსენალი — ლოკომოტივი, ოდიში — დინამო, კოლხეთი — სიონი, არსენალი — გურია, დინამო — ტორპედო, ლოკომოტივი — თსუ

ჯ. ანთიძე (8): სიონი — გურია, არსენალი — იბერია, ტორპედო — იბერია, კოლხეთი — მერანი, იბერია — სამგურალი, დინამო — იბერია, იბერია — მერანი, ბათუმი — კოლხეთი

ვ. მელაშვილი (8): კოლხეთი — ლოკომოტივი, გურია — ოდიში, სამგურალი — ოდიში, სიონი — არსენალი, ბათუმი — სიონი, კოლხეთი — ოდიში, დილა — სამგურალი, გურია — გორდა

თ. ფანიაშვილი (8): ოდიში — დილა, გურია — ლოკომოტივი, არსენალი — ტორპედო, ლოკომოტივი — დილა, სამგურალი — ლოკომოტივი, ვიტ ჯორჯია — გორდა, მერანი — ლოკომოტივი, ტორპედო — მერანი

უ. ფურცელაძე (8): თსუ — ტორპედო, დილა — სიონი, თსუ — დინამო, ვიტ ჯორჯია — დილა, მერანი — ვიტ ჯორჯია, არსენალი — დილა, ლოკომოტივი — გორდა, თსუ — იბერია

ნ. პაპულია (7): სიონი — სამგურალი, კოლხეთი — სამგურალი, ტორპედო — გურია, თსუ — კოლხეთი, გურია — დილა, იბერია — სიონი, ტორპედო — სიონი

მ. იაშვილი (5): გურია — თსუ, სამგურალი — თსუ, დილა — ბათუმი, სიონი — თსუ, ოდიში — თსუ

ნ. კობერიძე (5): ბათუმი — ვიტ ჯორჯია, დილა — კოლხეთი, გორდა — სიონი, დილა — იბერია, ტორპედო — სამგურალი

გ. გვანცელაძე (4): ვიტ ჯორჯია — იბერია, თსუ — გორდა, ოდიში — გორდა, ბათუმი — არსენალი

ა. დურსუნიში (4): არსენალი — ვიტ ჯორჯია, იბერია — გურია, ოდიში — არსენალი, კოლხეთი — ვიტ ჯორჯია

ვ. პანოვი (4): ოდიში — იბერია, ოდიში — ტორპედო, თსუ — არსენალი, იბერია — კოლხეთი

ვ. მახარაძე (3): თსუ — დილა, ვიტ ჯორჯია — დინამო, სიონი — ვიტ ჯორჯია

გ. პეტრიაშვილი (3): კოლხეთი — გურია, იბერია — ლოკომოტივი, სამგურალი — გურია

ჯ. თანანაშვილი (2): დინამო — მერანი, გურია — ვიტ ჯორჯია

რ. ჩილაჩავა (2): მერანი — არსენალი, ბათუმი — გურია

გ. იმნაძე (1): სამგურალი — ვიტ ჯორჯია

ვ. კოპალეიშვილი (1): არსენალი — სამგურალი

ს. კუტივაძე (1): გორდა — კოლხეთი

ა. მილჩენკო (1): იბერია — ბათუმი

ი. მჭედლიშვილი (1): სამგურალი — დინამო

ჯ. ჩუხუა (1): დინამო — სიონი

## დასწრება

| გუნდი | ქალაქი | სტადიონი | სულ | საშუალოდ |
|---|---|---|---|---|
| ტორპედო | ქუთაისი | გივი კილაძე | 24 500 | 3 500 |
| ბათუმი | ბათუმი | დინამო | 18 500 | 2 312 |
| ოდიში | ზუგდიდი | ცენტრალური | 15 000 | 2 214 |
| დილა | გორი | ცენტრალური | 14 500 | 2 071 |
| არსენალი | თბილისი | ისანი | 13 500 | 1 928 |
| სიონი | ბოლნისი | თემურ სტეფანია | 13 000 | 1 625 |
| დინამო | თბილისი | ეროვნული | 10 500 | 1 500 |
| კოლხეთი | ფოთი | ფაზისი | 10 000 | 1 250 |
| მერანი | თბილისი | სინათლე | 7 800 | 1 114 |
| გორდა | რუსთავი | ფოლადი | 8 700 | 1 087 |
| სამგურალი | წყალტუბო | 26 მაისი | 6 650 | 950 |
| იბერია | სამტრედია | ეროსი მანჯგალაძე | 6 400 | 914 |
| ლოკომოტივი | მცხეთა | არმაზი | 4 500 | 750 |
| თსუ | მცხეთა | არმაზი | 5 700 | 712 |
| ვიტ ჯორჯია | მცხეთა | არმაზი | 4 900 | 700 |
| გურია | ლანჩხუთი | ევგრაფი შევარდნაძე | 5 600 | 700 |
| დინამო | თბილისი | შევარდენი | 500 | 500 |
| ლოკომოტივი | თბილისი | 26 მაისი | 150 | 150 |
| | | | 170 900 | 1 424 |

## მეგოლეები

### ჰეთ-თრიკი

| | | |
|---|---|---|
| სუხიაშვილი | კოლხეთი | კოლხეთი — სამგურალი |
| ტულუში | ბათუმი | ბათუმი — სამგურალი |
| დ. ჯანაშია | ტორპედო | გორდა — ტორპედო |
| დ. მახარაძე | გურია | გურია — გორდა |
| ალექსიძე | დინამო | დინამო — კოლხეთი |
| ცქიტიშვილი | დინამო | დინამო — კოლხეთი |

### დუბლი

| | | |
|---|---|---|
| ალექსიძე | დინამო | დინამო — სიონი |
| აშვეთია | დინამო | დინამო — მერანი, ოდიში — დინამო, დინამო— იბერია, სამგურალი — დინამო |
| გადელია | ბათუმი | ბათუმი — გურია |
| დ. გოდერძიშვილი | ლოკომოტივი | იბერია — ლოკომოტივი |
| ვ. გოჩაშვილი | ვიტ-ჯორჯია | ვიტ ჯორჯია — იბერია |
| დავითაშვილი | მერანი | სიონი — მერანი |
| იონანიძე | ტორპედო | ტორპედო — კოლხეთი, ტორპედო — იბერია, ტორპედო — სიონი |
| კაიდარაშვილი | დილა | დილა — სიონი, ვიტ ჯორჯია — დილა, გურია — დილა |
| კაკაშვილი | არსენალი | არსენალი — იბერია |
| დ. მახარაძე | გურია | გურია — თსუ, გურია — დილა |
| მჭუტაძე | ბათუმი | ბათუმი — სამგურალი |
| მელაძე | გურია | სიონი — გურია |
| ტულუში | ბათუმი | ტორპედო — ბათუმი |
| შაკიაშვილი | სიონი | სიონი — გურია |
| გ. შენგელია | დინამო | დინამო — სიონი, დინამო — იბერია |
| ჩომახიძე | იბერია | არსენალი — იბერია |
| ჩუხუა | გორდა | გორდა — სიონი |
| წივწივაძე | კოლხეთი | კოლხეთი — მერანი, კოლხეთი — სიონი, თსუ — კოლხეთი |
| ჯაგიდისი | სიონი | სიონი — სამგურალი |
| ხომერიკი | დინამო | დინამო — არსენალი, დინამო — მერანი, დინამო — სიონი |
| ლუდუშაური | ლოკომოტივი | გურია — ლოკომოტივი |
| ლ. ნოზაძე | ვიტ ჯორჯია | სამგურალი — ვიტ ჯორჯია |
| გვასალია | კოლხეთი | კოლხეთი — სიონი, იბერია — კოლხეთი |
| ქებაძე | ტორპედო | ტორპედო — გურია |
| მარეხაშვილი | დილა | დილა — ტორპედო |
| ზირაქიშვილი | არსენალი | არსენალი — გურია |
| მეგრელაძე | ტორპედო | ტორპედო — სამგურალი |
| განევი | გურია | გურია — დილა |
| დ. მუჯირი | დინამო | დინამო — დილა |

## პენალტები

### გაიტანეს — 33

| | | |
|---|---|---|
| იონანიძე | ტორპედო | ტორპედო — კოლხეთი, ტორპედო — ივერია, ტორპედო — მერანი, ტორპედო — სიონი, ტორპედო — სიონი |
| ენდელაძე | ოდიში | ოდიში — დილა, მერანი — ოდიში, ოდიში —ტორპედო, ოდიში — არსენალი |
| ტულუში | ბათუმი | ტორპედო — ბათუმი, ბათუმი — სამგურალი, დინამო — ბათუმი |
| ფაიქიძე | სამგურალი | სამგურალი — გორდა, სამგურალი — ოდიში, სამგურალი — ვიტ ჯორჯია |
| მარლიშვილი | ლოკომოტივი | ლოკომოტივი — ოდიში, ლოკომოტივი — ვიტ ჯორჯია |
| ცქიტიშვილი | დინამო | დინამო — მერანი, თსუ — დინამო |
| წიტაიშვილი | თსუ | თსუ — არსენალი, თსუ — კოლხეთი |
| ამაშუკელი | იბერია | ოდიში — იბერია |
| მ. გოგოლაძე | სიონი | იბერია — სიონი |
| ვ. გოჩაშვილი | ვიტ ჯორჯია | ვიტ ჯორჯია — იბერია |
| დავითაშვილი | მერანი | დილა — მერანი |
| ზირაქიშვილი | არსენალი | ბათუმი — არსენალი |
| კაიდარაშვილი | დილა | დილა — მერანი |
| კაკაშვილი | არსენალი | არსენალი — იბერია |
| სუხიაშვილი | კოლხეთი | კოლხეთი — სამგურალი |
| გელა ქორიძე | მერანი | მერანი — გორდა |
| ხუჭუა | იბერია | იბერია — ბათუმი |
| ჭელიძე | იბერია | დინამო — იბერია |
| ჯაგიდისი | სიონი | სიონი — ვიტ ჯორჯია |

### ვერ გაიტანეს — 8

| | | | |
|---|---|---|---|
| კ. ალადაშვილი | გორდა | გორდა — დილა | მეკარე |
| გაბისონია | კოლხეთი | კოლხეთი — ოდიში | მეკარე |
| ბ. გიორგაძე | გურია | კოლხეთი — გურია | ააცილა |
| ვ. გოჩაშვილი | ვიტ ჯორჯია | ვიტ ჯორჯია — ტორპედო | მეკარე |
| დ. მახარაძე | გურია | გურია — ოდიში | მეკარე |
| მელაძე | გურია | გურია — ოდიში | მეკარე |
| როსტიაშვილი | თსუ | თსუ — იბერია | მეკარე |
| ფაიქიძე | სამგურალი | დილა — სამგურალი | ძელი |

# ვინ რამდენჯერ იმსაჯა

მ. მალალურაძე (თბილისი; 13): იბერია — ბათუმი, კოლხეთი — გურია, ლოკომოტივი — ვიტ ჯორჯია, ოდიში — დილა, მერანი — თსუ, გურია — ლოკომოტივი, ვიტ ჯორჯია — დინამო, სამგურალი — ლოკომოტივი, ვიტ ჯორჯია — გორდა, გორდა — იბერია, მერანი — ლოკომოტივი, ოდიში — ბათუმი, დილა — მერანი

თ. ლაცაბიძე (სურამი; 12): გურია — თსუ, ბათუმი — ლოკომოტივი, თსუ — დინამო, სამგურალი — ოდიში, იბერია — გურია, გორდა — კოლხეთი, იბერია — მერანი, სამგურალი — გურია, ლოკომოტივი — გორდა, დინამო — დილა, ლოკომოტივი — თსუ, დინამო — კოლხეთი

ა. შილაკაძე (თბილისი; 12): არსენალი — ვიტ ჯორჯია, სიონი — სამგურალი, ტორპედო — ბათუმი, კოლხეთი — სამგურალი, არსენალი — ლოკომოტივი, ვიტ ჯორჯია — დილა, დინამო — ბათუმი, ლოკომოტივი — დილა, თსუ — კოლხეთი, ლოკომოტივი — დინამო, გურია — დილა, თსუ — ბათუმი

გ. ასკაროღლი (ქარელი; 11): თსუ — ტორპედო, მერანი — არსენალი, ოდიში — ტორპედო, გურია — ოდიში, სიონი — მერანი, ტორპედო — იბერია, თსუ — გორდა, სამგურალი — ვიტ ჯორჯია, ბათუმი — მერანი, იბერია — სიონი, გორდა — ტორპედო

ო. გუნთაძე (ლანჩხუთი; 11): სამგურალი — გორდა, იბერია — ლოკომოტივი, ლოკომოტივი — ტორპედო, სიონი — თსუ, თსუ — არსენალი, სიონი — ოდიში, კოლხეთი — არსენალი, დინამო — ტორპედო, ვიტ ჯორჯია — თსუ, არსენალი — სამგურალი, ვიტ ჯორჯია — ოდიში

ს. კვარაცხელია (ზუგდიდი; 11): ბათუმი — ვიტ ჯორჯია, ტორპედო — კოლხეთი, სამგურალი — თსუ, ვიტ ჯორჯია — ტორპედო, დილა — ბათუმი, არსენალი — ტორპედო, იბერია — სამგურალი, გორდა — ბათუმი, ტორპედო — სამგურალი, ბათუმი — კოლხეთი, სამგურალი — დინამო

ლ. ფანიაშვილი (თბილისი; 11): დინამო — არსენალი, ლოკომოტივი — ოდიში, ვიტ ჯორჯია — იბერია, გორდა — დინამო, დილა — კოლხეთი, ოდიში — დინამო, კოლხეთი — სიონი, დინამო — იბერია, კოლხეთი — ოდიში, არსენალი — დილა, ტორპედო — სიონი

თ. ლორთქიფანიძე (თბილისი; 10): სიონი — გურია, დინამო — მერანი, არსენალი — იბერია, გორდა — სიონი, ბათუმი — სამგურალი, დილა — იბერია, ბათუმი — სიონი, ტორპედო — მერანი, კოლხეთი — ვიტ ჯორჯია, ბათუმი — არსენალი

ს. პახიანი (თბილისი; 8): მერანი — სამგურალი, დილა — სიონი, გორდა — არსენალი, გურია — ვიტ ჯორჯია, სიონი — არსენალი, ტორპედო — გურია, არსენალი — გურია, დილა — სამგურალი

პ. დოგრაშვილი (ქუთაისი; 6): ოდიში — იბერია, დინამო — სიონი, ბათუმი — გურია, კოლხეთი — მერანი, მერანი — ვიტ ჯორჯია, გურია — გორდა

თ. მაჭარაძე (ხონი; 6): ოდიში — გორდა, დილა — ტორპედო, ოდიში — თსუ, სიონი — ვიტ ჯორჯია, გურია — დინამო, თსუ — იბერია

ა. შალამბერიძე (ქუთაისი; 6): კოლხეთი — ლოკომოტივი, თსუ — დილა, მერანი — ოდიში, ოდიში — არსენალი, სიონი — ლოკომოტივი, იბერია — კოლხეთი

ლ. რაზმაძე (გორი; 1): მერანი — გორდა

ე. სილაგავა (თბილისი; 1): გორდა — დილა



ბაჩო ქურდაშვილის ფოტო

„დინამომ" „კოლხეთი" ცარიელი ტრიბუნების წინ 6:1 გაანადგურა

# უდისციპლინონი

*სამგურალი* — გაფრთხილება (34): დ. ჭელიძე (5), ფრანგიშვილი (5), გ. თევზაძე (3), ფაიქიძე (3), გ. ჯანელიძე (3), ი. ხაჭაპურიძე (3), თევდორაძე (2), ღონღაძე (2), ძაგნიძე (2), კ. ჯანაშია, სტურუა, დარსაძე, ხაჩირაშვილი, ჯავახაძე, ლ. ქობულაძე; გაძევება (1): ფაიქიძე

*ოდიში* — გაფრთხილება (31): ბარქაია (4), კიპაროიძე (4), ლურწკაია (4), ტყემალაძე (3), ჩადუნელი (3), ნაყოფია (3), პ. ლურსმანაშვილი (2), აფაქიძე (2), ჭურ-ღულია, კ. კვეკვესკირი, ტაბაღუა, ჯაბუა, კუტალია, თოლორდავა; გაძევება (1): ბარქაია

*არსენალი* — გაფრხილება (29): ყოლბაია (4), ვ. გველესიანი (3), დ. კაპანაძე (3), ლაცაბიძე (3), ჩლაიძე (3), გემეზაშვილი (3), მ. თევზაძე (2), მ. მაისურაძე (2), ფირცხალავა, ლომიძე, ცერცვაძე, ხოსროშვილი, ქიტავა, ტარიელაშვილი; გაძევება (1): ვ. გველესიანი

*ვიტ ჯორჯია* — გაფრთხილება (25): გ. გვაზავა (4), ზ. მენთეშაშვილი (3), აბაზაძე (3), ზ. გვაზავა (2), ი. კაპანაძე (2), ვ. მაისურაძე, ვ. გოჩაშვილი, დოლიძე, პეტრიაშვილი, ჯ. მუჯირი, კვიციანი, ჭურაძე, ჭანკოტაძე, მაზიაშვილი, ვ. ქუთათელაძე, ჭოხონელიძე; გაძევება (2): ზ. მენთეშაშვილი, დვალიშვილი

*ლოკომოტივი* — გაფრთხილება (23): ბალაშვილი (5), კაციაშვილი (3), თარხნიშვილი (2), ბარნოვი (2), მარლიშვილი (2), ბაქრაძე (2), გიორგი ქორიძე, დაუშვილი, კვიტატიანი, კოტორაშვილი, არსოშვილი, დ. გოდერძიშვილი, კ. გოგოლაძე

*დილა* — გაფრთხილება (22): კაიდარაშვილი (3), შატაკიშვილი (3), რ. ხაჭაპურიძე (3), ფეზუაშვილი (3), თაყაძე (2), გ. ჩიტაია (2), ციცქიშვილი (2), ხ. გაგნიძე (2), ბ. ჩიტაია, ლ. გოჩაშვილი; გაძევება (3): ციცქიშვილი, დ. მაისურაძე, თაყაძე

*მერანი* — გაფრთხილება (22): დავითნიძე (5), დანელია (4), ცქიფურიშვილი (3), ბაჯელიძე (2), მესხი (2), გ. კვეტენაძე (2), ივანიშვილი, ჯიშკარიანი, გეწაძე, ხუციშვილი; გაძევება (1): გელა ქორიძე

*სიონი* — გაფრთხილება (19): კ. გოდერძიშვილი (3), დ. სვანიძე (2), თ. სამხარაძე (2), დ. ჯაფარიძე (2), გაგუა, პოზოიანი, გოგოლაძე, მ. სამხარაძე, ჯაგიდისი, შაკიაშვილი, ყიფშიძე, ვოლკოვი, მოსეშვილი, გ. ჯაფარიძე; გაძევება (2): კ. გოდერძიშვილი, ვოლკოვი

*ბათუმი* — გაფრთხილება (17): რუსია (5), ტულუში (2), პაპიძე (2), მ. მახარაძე, გადელია, ვერემჩუკი (2) ყულეჯიშვილი, ჭიჭვეიშვილი, მაჭუტაძე, თორლაშვილი; გაძევება (3): პაპიძე, ტოგონიძე, ტულუში

*იბერია* — გაფრთხილება (17): ხუჭუა (3), ნიკოლეიშვილი (2), გეგეშიძე (2), ბრეგვაძე (2), სადილიანი, მუმლაძე, დარასელია, გ. ლურსმანაშვილი, ვ. გიგიაძე, გ. დოლიძე, ჩომახიძე, მესიაჩენკო

*დინამო* — გაფრთხილება (16): ცქიტიშვილი (3), დიდავა (3), გუჩუა (2), ლ. მიქაძე (2), ალექსიძე (2), ჯელაძე, კვარაცხელია, ა. სახვაძე, კიკნაძე; გაძევება (1): გუჩუა

*ტორპედო* — გაფრთხილება (15): დ. ჯანაშია (4), მეგრელაძე (2), პ. ჯინჭარაძე, ყიფიანი, ჩხაიძე, იონანიძე, შეყრილაძე, ჩხეტიანი, იმედაძე, მაღლაკელიძე, ჩხაბერიძე; გაძევება (1): ჩხაბერიძე

*კოლხეთი* — გაფრთხილება (13): წივწივაძე (3), პაპავა (2), გვასალია (2), ღლანიძე (2), გოროზია, ახვლედიანი, გაბისონია, შალამბერიძე

*გურია* — გაფრთხილება (12): ინიაშვილი (2), ზ. კვეკვესკირი (2), მელაძე (2), ბულუხია (2), კაკაჩია, გოგუა, ბუხრიკიძე, დ. მახარაძე; გაძევება (1): ბულუხია

*თსუ* — გაფრთხილება (12): გ. ილურიძე (3), ცომაია (2), როსტიაშვილი (2), ზამთარაძე, ნინუა (2), კაკუბავა, კობიაშვილი; გაძევება (1): გაბელია

*გორდა* — გაფრთხილება (10): მჭედლიძე (3), ბექაური (2), ბურნაძე, (2) კ. ალადაშვილი, ტარტარაშვილი, ჩუხუა

# კაპიტანიც წავიდა

კაპიტნები ქართულ ფეხბურთში არასდროს გვითოვდა. ერთეულნი გვერჩეოდნენ მუდამ — პაიჭაძე, ღოლობერიძე, იამანიძე, ხურცილავა, ჩივაძე, მაჩაიძე — ყველა ისინი ფეხბურთელები იყვნენ და რა ფეხბურთელები... ასეა, კაპიტნობა და წინამძღოლობა არ გახლავთ იოლი საქმე.

თბილისის „დინამოს" ამჟამინდელი თაობის წინამძღოლობა ლევან ცქიტიშვილს ხვდა წილად. ბელგიაში გასამგზავრებლად გამზადებულ ლევანს სხვა მრავალთან ერთად კაპიტნობაზეც ვკითხეთ:



თამაშის იშტაზე მოსული ლევან ცქიტიშვილი ძნელი დასაჭერია

— საერთოდ ფეხბურთელის კაპიტნად არჩევა მწვრთნელის და თანაგუნდელების პრეროგატივაა. კაპიტანი ლიდერიც უნდა იყოს, ბურთაობაც უნდა შეეძლოს და ავტორიტეტიც უნდა ჰქონდეს. ეტყობა, ფეხბურთელობასთან ერთად ჩემმა პიროვნულმა თვისებებმაც განსაზღვრეს ჩემი კაპიტნობა. მე კარგად ვიცი, რას ნიშნავს იყო „დინამოს" კაპიტანი. ვალსაც ვგრძნობ, პასუხისმგებლობასაც და ისიც მესმის, რომ პირადად მწვრთნელისა და თანაგუნდელების სიმპათიებმაც ბევრი რამ განაპირობა.

**— ლევან, წასვლას რომ აპირებდი, რახანია ვიცოდით და ველოდით კიდეც ამას, არც მიზეზია უცხო და ახალი, მაინც შენგან ჯობს ყველაფრის გაგება...**

— ვფიქრობ, რომ ეროვნულ ჩემპიონატში ჩემი შესაძლებლობები და მისიაც ამოვწურე. ბევრს არ გავწელავ და კარგა ორი წელია, როგორც ფეხბურთელი ვეღარ ვიზრდები. ფეხბურთი ჩემი საქმეა და ოცდაორი წელიც ის ასაკია, როცა შემდგომ ბედზე უნდა იფიქროს კაცმა. ბელგიურ „მეხელენშიც" ამიტომ გამიწია გულმა. მიუხედავად იმისა, რომ ეს კლუბი ბელგიის ჩემპიონატის მესამე ლიგაში გამოდის, პერსპექტივა მაინც მეტი მიჩანს და დარწმუნებული ვარ, ეს გუნდი ჩემთვის ტრამპლინი იქნება.

**— ცოტა რამ „მეხელენზეც" გვითხარი...**

— მესამე ლიგაში რომ გამოდის, უკვე ვთქვი. ჩვენი, ჩემი, კიკნაძის და ხომერიკის, სურვილია, დავეხმაროთ კლუბს, რათა ჯერ მეორე, მერე კი პირველ ლიგაშიც აღზევდეს. თუმცა კვლავ ვიმეორებ, რომ თვითონ მე ექვს თვეზე მეტხანს არ ვაპირებ „მეხელენში" გაჩერებას, ექვსი თვის მერე რომელიმე ბელგიურ, ანაც ჰოლანდიურ კლუბში გავაგრძელებ კარიერას.

**— ამბობენ, თქვენი მომავალი კლუბი ქართველებმა შეისყიდესო...**

— უფრო სწორად, ქართველი ებრაელები ფლობენ „მეხელენის" გარკვეულ წილს. ერთი შეხებაც გვაქვს ქართველებს ამ გუნდთან — როგორც იცით, დავით ყიფიანი ამჟამად იქ მოღვაწეობს. სწორედ მისი და ერთი რუსი ებრაელის (მენეჯერის) დამსახურებაა ჩვენი ბელგიაში გამგზავრება.

**— ლევან, უკვე ექვსი წელია, „დინამოში" თამაშობ, არც ჩემპიონობა დაგკლებიათ დინამოელებს, არც თასი. წელს კი ვეღარ არის ძველებურად საქმე. აკი თასის გათამაშებიდანაც გამოგთიშათ „ლოკომოტივმა". საინტერესოა, როგორ შეაფასებდი პირველ წრეს.**

— „დინამოში" ახლა, შეიძლება ითქვას, თაობათა ცვლა მიდის. მივდივართ ძველები და მოდიან ახლები. უეჭველად კიდევ დაიმატებენ ფეხბურთელებს „დინამოში" სხვა ქართული გუნდებიდან — ვინც ღირსია და ვინც გამოირჩა. მართალია, თასის გათამაშებას გამოვეთიშეთ, მაგრამ ჩემპიონობას ვერავინ შეგვეცილება. „დინამო" ლიდერია და მწამს, შეინარჩუნებს კიდეც სეზონის ბოლომდე პირველობას.

**— „დინამო" „დინამოდ", მაგრამ შენი უახლოესი გეგმები უფრო გვაინტერესებს. რას და როგორ აპირებ?**

— ბელგიაში 2 დეკემბერს მივემგზავრებით. „მეხელენი" ამჟამად მეორე ადგილზეა და მეორე ლიგაში აღზევების დიდი შანსიც გააჩნია (იქ სამი გუნდი გადადის). ბელგიაში ოც დეკემბრამდე ვაპირებთ დარჩენას, მანამდე ორი თუ სამი მატჩის თამაში მოგვიწევს და „მეხელენის" ბედიც ამ შეხვედრებში გადაწყდება.

**— თქვენ კი მიდიხართ, მაგრამ „დინამო" რჩება. ცქიტიშვილი და კიკნაძე აქამდე „დინამოს" ლიდერებად ითვლებოდნენ, შემცვლელებზე რას გვეტყვი? როგორ ფიქრობ, ვინ გაუძღვება თქვენს შემდეგ გუნდს?**

— დავით მუჯირი, რატი ალექსიძე, მიშა აშვეთია... ამ ბიჭებს ბევრი შეუძლიათ და თუკი არ დაიზარებენ, დიდ ფეხბურთსაც ითამაშებენ.

**— ლევან, ასაკის მიუხედავად, უკვე კარგა ხანია, „დინამოში" ხარ. არც ნაკრებებში თამაში დაგკლებია. მაინც ვის გვერდით გიადვილდებოდა თამაში?**

— ქინქლაძე, არველაძე, ქეცბაია — ეს ის ფეხბურთელები არიან, რომელთაც დიდ გუნდებში უწევთ გამოსვლა. ჯამარაული, მართალია, უკლუბოდაა, მაგრამ მაინც პირველთაგანია ჩვენში. ჩემი თაობიდან იაშვილს, დემეტრაძეს, კიკნაძეს გამოვყოფ. საერთოდ, კიკნაძე ჩემი უპირველესი პარტნიორია — უკვე რა ხანია, ერთად ვთამაშობთ და მშვენივრადაც ვუგებთ ერთმანეთს.

**— მწვრთნელებზეც გვითხარი ორიოდე სიტყვა...**

— ბევრ მწვრთნელთან მომიწია მუშაობა — გუნდშიც და ნაკრებშიც. ყველა მათგანს თავისი შეხედულება და ღირსება გააჩნია. მაგალითად ხურცილავას პიროვნული თვისებებით გამოვარჩევდი — კარგი ადამიანია, გუნდის შეკვრა შეუძლია. ასევე გუცაევზეც — მშვენიერი მწვრთნელია, თავის თავზე მუშაობს და შედეგის გაკეთებაც ძალუძს. გახსოვთ, ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები? ის გუნდი სწორედ გუცაევის გარჯის ნაყოფია.

**— და ეროვნული ნაკრები?**

— ყოველთვის მიკვირს ერთი რამ — თუ ჩვენი ბიჭები თავიანთ კლუბებში მშვენივრად თამაშობენ, ნაკრებში რა უშლით ხელს? აი, სამი მატჩი ჩავატარეთ და მერწმუნეთ, ფეხბურთელებსაც არანაკლებ გვხვდება გულზე ნაკრების წარუმატებლობა ლატვიასა და საბერძნეთში. სხვების არ ვიცი, მე ჩემი აზრი მაქვს — ეტყობა, გუნდში ფსიქოლოგია საჭირო. სწორედ ფსიქოლოგიურ არამდგრადობას ვაბრალებ ჩვენი ნაკრების ჩავარდნას და არა რაიმე კონფლიქტურ სიტუაციას, რომელიც თითქოს არის ეროვნულ გუნდში. იმასაც გეტყვით, რომ ამ ორი მარცხით მნიშვნელოვნად შემცირდა ნაკრების ჯგუფიდან გასვლის შანსი, თუმცა ჯერ ყველაფერი არ დაგვიკარგავს.

**— ლევან, შენი და შენი თანაგუნდელების საქართველოდან წასვლის მთავარი მიზეზი ეროვნული ჩემპიონატის დაბალი დონეა. ყველას, ვისაც კი ქართულ ფეხბურთთან ოდნავი შეხება მაინც გააჩნია, ვეკითხებით აზრს იმის თაობაზე, თუ როგორ ან რითი შეიძლება ამაღლდეს ჩვენი ჩემპიონატის დონე. შენ რას იტყოდი?**

— ნაწილობრივ გუნდების შემცირება მიმაჩნია გამოსავლად, ნაწილობრივ ეკონომიკური სიდუხჭირიდან გამოსვლა. ვფიქრობ, ჩვენი ფეხბურთის დონის ამაღლება პირდაპირ კავშირშია საერთოდ ქვეყნის ეკონომიკურ დონესთან. როგორც კი ცხოვრების დონე აიწევს, გამოჩნდება ფულიანი ხალხი, ვინც ფულს არ დაიშურებს და შეეწევა ქართულ ფეხბურთს. მერე არც ეროვნული ჩემპიონატის თბილისის ჩემპიონატად გადაქცევისა შეგვეშინდება — რეგიონებშიც აღორძინდება საფეხბურთო ტრადიციები.

**— ლევან, ყოველთვის მინდოდა ამპლუაზე მეკითხა, მინახიხართ გამთამაშებლის, ლიბეროს, მარჯვენა ნახევარმცველის პოზიციაზე. გოლებიც ხშირად გაგაქვს და მაინც, სად გირჩევნია თამაში?**

— ჩემი ამპლუა ნახევარმცველობაა. ადრიდანვე ასე მოვყვები. მინდორზე პოზიციის შეცვლა კი გუნდის საჭიროებიდან გამომდინარეობდა.

**— წმინდა საფეხბურთო კითხვებიდან, ცოტათი სხვა სფეროშიც გადავინაცვლოთ. ხალხისთვის საინტერესოა არა მარტო როგორც ფეხბურთელი ლევან ცქიტიშვილი, არამედ პიროვნებაც. მოდი, იმაზეც ვისაუბროთ, რა გაინტერესებს, რითი ერთობი, გატაცება თუ გაქვს...**

— ჩემი პირველი და მთავარი გატაცება ფეხბურთია, ამიტომ რაზეც არ უნდა ვისაუბრო, ბოლოს მაინც ფეხბურთს მივადგები-ხოლმე. კიდევ წიგნების კითხვა მიყვარს, ძირითადად ამით ვარ დაკავებული.

**— ვიცით, რომ ლევან ცქიტიშვილს ლამაზი ოჯახი ჰყავს...**

— მართალია, ოჯახი ის ადგილია, სადაც ვმშვიდდები და სულიერად ვისვენებ. პატარა, ლამაზი ოჯახი მაქვს — დედა, მეუღლე. მამა ადრე გარდამეცვალა...

**— ლევან, საგზლად ერთი კითხვაც უნდა გაგაყოლოთ. მასმედიაზე შენს შეხედულებაზეც გვესაუბრე. ამ ეტაპზე ეროვნული ნაკრების წევრად და თაობის ლიდერად ითვლები, ამიტომაც უფრო საინტერესოა შენი აზრი, მით უმეტეს, ახლა ბევრს აღიზიანებს პრესის კრიტიკა...**

— პრესას კრიტიკის უფლება ნამდვილად აქვს. კრიტიკიდან სწორი დასკვნების გამოტანა უნდა შეგეძლოს კაცს. მე ნამდვილად ვთვლი, რომ დღეს ჩასაფრებული არავინაა. თუკი ხედავენ, რომ ფეხბურთელი პატიოსნად იხარჯება — არც ქებას დაიშურებს ვინმე, მასმედიას კი ობიექტურობას და სიმართლის სამსახურში დგომას ვუსურვებ. ობიექტურ პრესას არაფერი სჯობს.

*დღეს ლევან ცქიტიშვილი საქართველოდან ბელგიას მიემგზავრება. დრომ და ეროვნული ჩემპიონატის დაბალმა დონემ თავისი გაიტანა...*

*კაპიტანიც წავიდა.*

**კონსტანტინე გოგიშვილი**

## 15 ტური მეორე ჯგუფი

### აღმოსავლეთი

XV ტური

**ხალიბი 7:0 ალაზანი**

1:0 ლაშა სილაგაძე (27), 2:0 რაზმაძე (28), 3:0 ლაშა სილაგაძე (30), 4:0 ჩოხელი (36), 5:0 ნ. ლაბაძე (39), 6:0 ლობჟანიძე (80), 7:0 ლ. კაპანაძე (87)
მსაჯი: ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

**ღარწყალი 2:1 დინამო 3**

1:0 ტოკლიკიშვილი (17), 2:0 შაიშმელაშვილი (65), 2:1 სალარეიშვილი (70)
გაფრთხილება: გელაშვილი (ღარწყალი)
მსაჯი: გ. ასკაროღლი (ქარელი)

**ზოოვეტი 0:0 უნივერსიტეტი იბერია**

გაფრთხილება: კ. მენთეშაშვილი (ზოოვეტი), მინაშვილი, ფიცხელიანი (ორივე უნივერსიტეტი იბერია)
მსაჯი: ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

**ქანაგკო 0:3 ყვარელი**

0:1 სანადირაძე (50), 0:2 ღვინიაშვილი (68), 0:3 გელაძე (75)
მსაჯი: ა. შილაკაძე (თბილისი)

**ჭაბუკიანი 2:1 არსენალი 2**

0:1 მანწკავა (44), 1:1 მერებაშვილი (60), 2:1 გაფრინდაშვილი (85)
გაფრთხილება: ვ. გაგუა, გოგიჩაიშვილი (ორივე არსენალი 2), მეტრეველი, მერებაშვილი (ორივე ჭაბუკიანი)
გაძევება: ვ. გაგუა (55, არსენალი 2), მერებაშვილი (55, ჭაბუკიანი)
მსაჯი: ს. კახიანი (თბილისი)

**კახეთი 0:4 აკადემია**

0:1 დ. ბახტაძე (19), 0:2 გ. მეტრეველი (26), 0:3 კოჩაძე (34), 0:4 ხაბულიანი (52)
გაფრთხილება: ტარუღიშვილი, ძამუნაშვილი (ორივე კახეთი)
მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

**მრეტები 1:3 სამგორი**

0:1 ხალიჩაშვილი (15), 1:1 მ. ამაშუკელი (24), 2:1, 3:1 კივილაძე (31, 55)
გაფრთხილება: მხეიძე (სამგორი)
გაძევება: ჭანიაშვილი (80, მრეტები)
მსაჯი: მ. მალაღურაძე (თბილისი)

XIV ტურის

გადადებული მატჩი

**სამგორი 4:1 კახეთი**

I წრის საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აკადემია | 14 | 12 | 1 | 1 | 36:5 | 37 |
| ყვარელი | 14 | 11 | 3 | 0 | 30:6 | 36 |
| ღარწყალი | 14 | 10 | 4 | 0 | 31:11 | 34 |
| ხალიბი | 14 | 9 | 0 | 5 | 28:15 | 27 |
| არსენალი 2 | 14 | 7 | 2 | 5 | 23:14 | 23 |
| დინამო 3 | 14 | 7 | 1 | 6 | 17:21 | 22 |
| ჭაბუკიანი | 14 | 8 | 1 | 5 | 23:17 | 22 |
| ალგეთი | 14 | 7 | 0 | 7 | 26:20 | 21 |
| ზოოვეტი | 14 | 6 | 3 | 5 | 28:24 | 21 |
| კახეთი | 14 | 5 | 3 | 6 | 19:24 | 18 |
| უნივერსიტეტი იბერია | 14 | 3 | 4 | 7 | 14:20 | 13 |
| სამგორი | 14 | 3 | 3 | 8 | 20:27 | 12 |
| მრეტები | 14 | 1 | 1 | 12 | 13:34 | 4 |
| ალაზანი | 14 | 1 | 0 | 13 | 11:49 | 3 |
| ქანაგკო | 14 | 1 | 2 | 11 | 10:41 | 2 |

*„ჭაბუკიანს" და „ქანაგკოს" დაკლებული აქვთ 3-3 ქულა*

## ქუთაისელებს ლევან ქებაძე არ ეთმობათ

### თუმცა ტრანსფერზე წარადგინეს

ლევან ქებაძემ ნელ-ნელა, მაგრამ მაინც რომ იბრუნებდა კარგ სპორტულ ფორმას, მოულოდნელად „მარგვეთში" დაბრუნება გადაწყვიტა და „ტორპედოს" ხელმძღვანელებისგან განთავისუფლება ითხოვა.

„ტორპედოს" პრესცენტრის ცნობით, კლუბმა ფეხბურთელის თხოვნას ასე უპასუხა — ლევან ქებაძე ტრანსფერზე წარადგინა.

ბევრს, ალბათ, არც ახსოვს, როგორ მოხვდა ჭაბუკიანელი ჭაბუკი ლევან ქებაძე ქუთაისის „ტორპედოში". მერვე ჩემპიონატის პირველ წრეში გატანილი ათი გოლით „მარგვეთის" ბომბარდირი როინ მარლიშვილთან და ირაკლი მაღლაკელიძესთან ერთად „ტორპედომ" უკომპენსაციოდ დაისაკუთრა. „მარგვეთს" მაშინ ძალიან უჭირდა, უპრეზიდენტოდ დარჩენილიყო და კონტრაქტდარღვეული ფეხბურთელები გაურბოდნენ.

გამოხდა ხანი, ქებაძემ ბელგია თუ ყალმუხეთი მოიარა და ბოლო ხანს ისევ ქუთაისური კლუბისთვის ირჯებოდა. მართალია, დღემდე „ტორპედოსთვის" მას მხოლოდ 12-ჯერ გაუტანია, მაგრამ თავდამსხმელისთვის, რომელსაც ნახევარმცველად ათამაშებდნენ, ეს ცოტა არაა და ისიც სათქმელია, ქებაძე „ტორპედოს" თუ გამოადგა, თორემ ტვირთად არ დასწოლია.

დააკლდება თუ არა ქებაძე „ტორპედოს" ეს ჯერაც საკითხავია, მის ნაცვლად იქნება თუ ისე, ქუთაისურ კლუბში შევსება მაინც მოსალოდნელია.

სოჭის „ჟემჩუჟინას" ქართველი ფეხბურთელი გიორგი გოგიაშვილი, რომელიც გაგრიდანაა, არდადეგებს ქუთაისში მცხოვრებ ოჯახის წევრებთან ატარებს.

ოფიციალურ დონეზე ჯერ არაფერი თქმულა, მაგრამ ისე კი ამბობენ, დიდი შანსია, გოგიაშვილი ქუთაისშივე დარჩეს და „ტორპედოს" შეუერთდესო. როგორც შევიტყვეთ, საქართველოს ჩემპიონატის 158 მატჩში 47 გოლის გამტან და „ხმელი ფოთლის" ოსტატთან დაკავშირებაზე უარს არც „ტორპედო" იტყვის, მთავარია, კონტრაქტის პირობებზე შეთანხმდნენ.

ქუთაისსვე დაბრუნებია ბოლო ხანს სანქტ პეტერბურგის „ლოკომოტივში" მოთამაშე მამუკა ხუნდაძე რომელიც შესაძლოა „ტორპედოშივე" მოხვდეს.

გუშინ ქუთაისელები საღორიის ბაზაზე შეიკრიბნენ და საგაზაფხულო სამზადისი დაგეგმეს. კლუბის პრეზიდენტმა მიხეილ ქორქამ ფეხბურთელებს ახალი ვიცე-პრეზიდენტი დიმა რამიშვილი გააცნო.

ითქვა, რომ ქუთაისელები ხელახლა 12 დეკემბერს შეიკრიბებიან და დავით ჯანაშიას გუნდში დარჩენის საკითხიც საბოლოოდ მაშინ გადაწყდება, მერე კი მოსამზადებლად ისრაელს წავლენ.

**ვახტანგ ბზიკაძე**


Ayety TV

მრავალარხიანი საკაბელო ტელევიზია

პირველი სთავაზობს თბილისის მოსახლეობას საახალწლო საჩუქარს

პირველ 500 მსურველს ვთავაზობთ მონტაჟისა და 2 თვის სააბონენტო გადასახადის წინასაახალწლო ტარიფებს

უნივერსალური პაკეტი - 50 ლარი - 76-ის ნაცვლად (12 არხი)
სტანდარტული პაკეტი - 65 ლარი - 90-ის ნაცვლად (14 არხი)
პრემიალური პაკეტი - 70 ლარი - 106-ის ნაცვლად (20 არხი)
ელიტარული პაკეტი - 75 ლარი - 120-ის ნაცვლად (22 არხი)

გაუკეთეთ თქვენს ოჯახს საახალწლო საჩუქარი ამ ფასად

93 47 33 ☎ 92 12 66

# რეალი მსოფლიოს ჩემპიონია

**რეალი 2:1 ვასკუ და გამა**

1:0 ნასა (25ს.კ.), 1:1 ჟუნინიო (57), 2:1 რაული (83)

51 514 მაყურებელი

რეალი: ილგნერი, სანჩისი, იერო, სანსი, რობერტო კარლოსი, რედონდო, ზეედორფი, პანუჩი, რაული, სავიო (შუკერი 90), მიატოვიჩი (იარნი 81)

ვასკუ და გამა: ჟერმანო, გალვაო, ოდვანი, ფელიპე, ლუიზინიო (გილერმე 85), ნასა, რამონი (ვალვერი 88), ვაგნერი (ვიტორი 81), ჟუნინიო, დონიზეტი, ლუიზაო

1498 წელს პორტუგალიელმა მოგზაურმა ვასკო და გამამ ინდოეთისკენ მიმავალ საზღვაო გზას მიაგნო, მისი გამოთ ჩავიდა ამ ქვეყანაში და დაამტკიცა, რომ ექვსი წლით ადრე ქრისტეფორე კოლუმბის მიერ აღმოჩენილი მიწა არ იყო ინდოეთი. მისმა აღმოჩენამ შემდგომში დიდად შეუწყო ხელი იმას, რომ პორტუგალიამ ინდოეთი დაიპყრო და თავის კოლონიად აქცია.

ზუსტად ხუთი საუკუნის შემდეგ ბრაზილიურ კლუბს, რომელსაც იმ პორტუგალიელი მოგზაურის პატივსაცემად „ვასკუ და გამა" ჰქვია, მთელი მსოფლიოს დაპყრობა შეეძლო, მაგრამ...

იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში საკონტინენტთაშორისო თასის შეხვედრის 83-ე წუთი მიმდინარეობდა, ტაბლოზე ორი ერთიანი ენთო და ჰოლანდიელმა კლარენს ზეედორფმა რაულ გონსალესს ზუსტი პასი მიაწოდა. ესპანეთის ნაკრების ახალგაზრდა ფორვარდმა მშვენივრად ჩამოიცილა ორი მცველი, ზედ ბრაზილიელთა მეკარე კარლოს ჟერმანოც მიაყოლა და მსოფლიოს საკლუბო ფეხბურთის ახალი ჩემპიონის ვინაობა გაუმხილა — საკონტინენტთაშორისო თასს მადრიდის „რეალი" დაესაკუთრა...

...პირველად ევროპისა და სამხრეთ ამერიკის ჩემპიონი კლუბები ერთმანეთს 1960 წელს დაუპირისპირდნენ. მაშინ „რეალი" ურუგვაულ „პენიაროლს" ხვდებოდა და ორი მატჩის ჯამში (0:0, 5:1) აჯობა კიდეც. ასე შეიქნა საკონტინენტთაშორისო თასის პირველი მფლობელი. მას მერე 38 წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში მადრიდელებმა კიდევ ერთხელ მიიღეს მონაწილეობა შეხვედრაში, რომელსაც მსოფლიოს უძლიერესი კლუბი უნდა გამოევლინა, მაგრამ იმავე „პენიაროლთან" ვერაფერი გააწყეს (0:2, 0:2).

აი, „ვასკუ და გამას" კი პირველად ეცა შანსი, ეს სანუკვარი თასი ერთი ცდით სამშობლოში წაეღო.

გუშინდელი შეხვედრა, ალბათ, ყველაზე საინტერესო იყო 1994 წელს გამართული „ველეს სარსფილდისა" და „მილანის" მატჩის შემდეგ (მაშინ არგენტინელებმა 2:0 მოიგეს). ამაზე გუნდების წინასამატჩო მზადებაც მეტყველებდა — „ვასკუ და გამა" ტოკიოს დაახლოებით სამი კვირის წინ ჩავიდა, ხოლო მადრიდელები იაპონიის დედაქალაქში პირდაპირ მილანიდან გაემგზავრნენ, სადაც ჩემპიონთა ლიგის მატჩში „ინტერთან" წააგეს 1:3 და ისე მონდომებით შეუდგნენ ვარჯიშს, რომ ერთ-ერთ მათგანზე ზეედორფმა და ივან კამპომ ნერვები ვეღარ მოთოკეს და კინაღამ დახოცეს ერთმანეთი.

**საკონტინენტთაშორისო თასი**



REUTERS ტოკიოდან

38-წლიანი შესვენების შემდეგ მადრიდელებმა კვლავ აღმართეს საკონტინენტთაშორისო თასი

ერთი სიტყვით, პირველ დეკემბერს სასწორზე ბევრი რამ იდო. ერთ მხარეს ბრაზილიის ჩემპიონი და ლიბერტადორესის თასის მფლობელი, ამბიციამოჭარბებული ექსპოლიციელის ანტონიო ლოპესის („ვასკუ და გამას" მთავარი მწვრთნელი ადრე კერძო დეტექტივი იყო) გუნდი, ხოლო მეორე მხარეს ჩემპიონთა თასის ბოლო (ჯამში შვიდგზის) მფლობელი, მაგრამ უკანასკნელ ხანებში მოსუსტებული მადრიდის „რეალი". პირველს ზაფხულში შერცხვენილი ბრაზილიური ფეხბურთის რეპუტაცია უნდა აღედგინა, მეორეს კი უნდა დაემტკიცებინა, რომ გუნდში არსებული კრიზისი დროებითია.

საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ დასრულდა მადრიდის „რეალის" მძიმე დღეები, ხოლო ბრაზილიურ ფეხბურთს კვლავ შერჩა გატეხილი სახელი...

...რაულის გოლამდე ორი ბურთი გავიდა და ორივე ბრაზილიელებმა გაიტანეს — ჯერ თანამემამულე რობერტო კარლოსის ჩაწოდებული ბურთი გადაგზავნა საკუთარ კარში 29 წლის ნასამ, თანაც საკმაოდ ლამაზი თავურით, ხოლო შემდეგ, როცა მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, „ვასკუს" გამთამაშებელმა ჟუნინიომ ანგარიში გაათანაბრა.

ამის შემდეგ „რეალს" შეეძლო დაწინაურება, კვლავ ბრაზილიელი, ამჯერად მადრიდელთა მარცხენა გარემარბი სავიო ბერტოლინი იყო მიზანთან ახლოს, მაგრამ ჟერმანომ აჯობა, ამას ფელიპეს სწრაფი გარღვევა მოჰყვა — „ვასკუს" მცველის დარტყმული არაზუსტი გამოდგა. ბოლოს იყო რაულის შესანიშნავი გოლი, რომელმაც ესპანელ თავდამსხმელს მატჩის საუკეთესო მოთამაშის წოდება და შეხვედრის სპონსორის, „ტოიოტას" ფირმის უახლესი მოდელის მანქანა მოუტანა.

— იღბალი, რომელიც მთელი სეზონი გვღალატობდა, დღეს დაგვიბრუნდა, მეტოქის კარში გატანილ პირველ გოლს ვგულისხმობ. თუმცა ბიჭებმაც კარგად ითამაშეს და ვფიქრობ, დამსახურებულად მოიგეს. ეს გამარჯვება ჩვენთვის დიდი სტიმულია. იგი ძლიერ დაგვეხმარება, რათა კვლავ ვირწმუნოთ საკუთარი ძალა — ესპანელთა ჰოლანდიელი თავკაცი გუს ჰიდინკი კმაყოფილი იყო და ამას არც მალავდა.

მისი ბრაზილიელი კოლეგა ანტონიო ლოპესი კი ცოფებს ჰყრიდა:

— ყველაფერი ჩვენი ბრალია. „რეალს" დიდი სივრცეები დავუთმეთ და თავისუფლად მოქმედების საშუალება მივეცით, ამას კი დღეს არავინ გაპატიებს. თანაც გოლის გატანის უამრავი შანსი გავუშვით ხელიდან და ეს მაშინ, როდესაც მეტოქემ თითქმის ყველა შესაძლებლობა გამოიყენა.

სრულიად საპირისპიროს მეტყველებს სტატისტიკა. მართალია, აქ ბრაზილიელებს აქვთ უპირატესობა, მაგრამ ძალიან უმნიშვნელო — მათ 15-ჯერ დაარტყეს მოწინააღმდეგის კარის მიმართულებით, „რეალმა" — 14-ჯერ. რაც შეეხება ყვითელ ბარათებს, ისინი გუნდებმა ძმურად გაიყვეს — სამ-სამი...

„ვასკუ და გამას" გუშინ მსოფლიოს დაპყრობა შეეძლო, მაგრამ არ გამოუვიდა — „რეალმა" აჯობა.

„სამეფო კლუბმა" კიდევ ერთხელ დაიდგა მსოფლიო ფეხბურთის მეფის გვირგვინი!

**დავით ძოწენიძე**



წამიც და რაული კარლოს ჟერმანოს გადამწყვეტ გოლს გაუტანს

## ფეხბურთის რუკასთან



**პოლონეთში ქვეყნის სპორტის სამინისტროსა და პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციას შორის ურთიერთობა ძალიან გამწვავდა. სპორტის სამინისტროს ქვეყნის ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციის ფინანსური შემოწმება განუზრახავს, ამ უკანასკნელს კი ეს არ სურს. პოლონეთის სპორტის მინისტრი იაცეკ დებსკი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, გადაყენებას აპირებს.**

**სკანდინავიის** ქვეყნებმა უეფაში განაცხადი შეიტანეს, რომლის თანახმადაც, მათ 2008 წელს ევროპის ჩემპიონატის ერთობლივად მასპინძლობა სურთ. დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში დანიის, შვედეთის, ნორვეგიისა და ფინეთის ფეხბურთის ფედერაციების წარმომადგენლები შეიკრიბნენ. მათ გეგმებზე იმსჯელეს და პროექტიც მიიღეს. მსოფლიოს დონის ტურნირების ორ ქვეყანაში გამართვის პრეცენდენტი უკვე არის — 2000 წელს ევროპის ჩემპიონატს ბელგია და ჰოლანდია უმასპინძლებენ, 2002 წლის მსოფლიოს პირველობას კი — კორეა და იაპონია. 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის თავიანთ ქვეყნებში ერთობლივად ჩატარების სურვილი გამოთქვეს ავსტრიამ და უნგრეთმა, ასევე ესპანეთმა და პოტრუგალიამ. დანიის ფეხბურთის ფედერაციის პრესატაშეს, ლარს ბერნდატის განცხადებით, შემუშავებულია პროგრამა, რომლის თანახმადაც, 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის გახსნის მატჩი კოპენჰაგენში გაიმართება, ფინალი კი — შვედეთის ქალაქ გიოტებორგში. ნახევარფინალებს ფინეთი და ნორვეგია უმასპინძლებს. 2002 წელს უეფა 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის მასპინძელ ქვეყანას ან ქვეყნებს დაასახელებს.

**საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონმა ემანუელ პეტიმ წამყვან საფეხბურთო ქვეყნებში მოთამაშე ფეხბურთელებს გაფიცვისკენ მოუწოდა, თუ ფიფა მათ აიძულებს, კონფედერაციათა თასის გათამაშების მატჩები ითამაშონ. ლონდონის „არსენალის" მცველმა, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში მესამე გოლის გამტანმა პეტიმ განაცხადა, რომ სეზონის მანძილზე ძლიერი გუნდების ფეხბურთელებს 65-70 მატჩში უწევთ მონაწილეობა, ეს კი დაუშვებელია. „ჩვენც გვინდა დასვენება. საფეხბურთო კალენდარი იმდენად გადატვირთულია, რომ მასში ახალი ტურნირებისთვის დრო აღარ რჩება", - თქვა პეტიმ.**

**კორეის** დედაქალაქში ჩასულმა ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა განაცხადა, რომ შესაძლოა 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი ივნის-ივლისში კი არა, მაის-ივნისში გაიმართოს. ამის მიზეზი ზაფხულში აუტანელი სიცხე ყოფილა, რაც გაზაფხულის მიწურულს ძალიან არ იგრძნობა. ბლატერმა ისიც ბრძანა, ჯერ ყველაფერი არ გადაგვიწყვეტია, ამის თაობაზე ვიმსჯელებთო.

**ნიგერიის ნაკრების ჰოლანდიელმა მწვრთნელმა ტის ლიბრეგტსმა მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილე ბევრ ნიგერიელ ფეხბურთელზე თქვა უარი და შუაგულ დეკემბერში ეგვიპტელებთან და ესპანელებთან დაგეგმილ ამხანაგური შეხვედრებისთვის ახალგაზრდები გამოიძახა. ნაკრებში არ მიიწვიეს ჯეი-ჯეი ოკოჩა, ნვაკვო კანუ, დანიელ ამოკაში, ტარიბო ვესტი და სხვები. რაც შეეხება იმ გუნდის შემადგენლობას, რომელიც 16 დეკემბერს ეგვიპტეს, ხოლო 22-ში ესპანეთს დაუპირისპირდება, იგი ასეთია: მეკარეები — ვილი ოპარა (ორლანდო პაირატსი, სამხრეთი აფრიკა), ნდუბისი ეგბო (ალ აჰლი, საამიროები); მცველები — სელესტინ ბაბაიარო (ჩელსი, ინგლისი), ემეკა იფეჯიაგვა (ჩარლოტონ ატლეტიკი, ინგლისი), კინგსლი ობიეკვუ (ალ აჰლი, საამიროები), აჯიბადე ბაბალადე (შტურმი, ავსტრია), იერო შაკპოკე (რეჯანა, იტალია), სამ პამი (ორნალდო პაირატსი, სამხრეთი აფრიკა), ეშედუ ადიელე, პატრიკ პასმალი, ემანუელ ტუბერგენი (ალთაი, თურქეთი); ნახევარმცველები — სანდი ოლისე (აიაქსი, ჰოლანდია), გარბა ლავალი (როდა, ჰოლანდია), გბენგა ოკუნოვუ (ბარსელონა, ესპანეთი), მუტიუ ადეპოჟუ (სოსიედადი, ესპანეთი), ჯეიმს ენიაგვოლა (კავალია), მუისი აიაო (მამელოდი სანდაუნსი, სამხრეთი აფრიკა), კარიბე ოჯიგვე (კაიზერსლაუტერნი, გერმანია); თავდამსხმელები — ჯონათან აკპობორი (შტუტგარტი, გერმანია), ჯორჯ ფინიდი (ბეტისი, ესპანეთი), ტიჯანი ბაბანგიდა (აიაქსი, ჰოლანდია), ლაკი ისიბორი (დინამო, რუსეთი), ვასიუ ტაივო (მაასტრიხტი, ჰოლანდია), ბენედიქტ აკვუეგბვუ (გრაცერი, ავსტრია), ჩუკვუ ნდუკვე (მამელოდი სანდაუნსი, სამხრეთი აფრიკა), ვიქტორ იკპება (მონაკო, საფრანგეთი), გაბრიელ ოკოლორო (ესპარანსი, ტუნისი), კრის ოპენენი (ბეშიქთაში, თურქეთი)**

**ხორვატიის** ჩემპიონატი. მე-15 ტური: რიეკა — ოსიეკი 1:0, ვარტექსი — ზაგრები 3:1, სლავენი — ჰაიდუკი 1:1, ციბალია — შიბენიკი 1:0, მლადოსტ 127 — ზადარკომერცი 2:1, დრაგოვილიაცი — კროაცია 1:0. 35 ქულით ლიდერობს „კროაცია". მას ქულით ჩამორჩება „რიეკა".

**ჩეხეთის ჩემპიონატი. მე-15 ტური: ვიქტორია (ჟიჟკოვი) — კარვინა 1:0, იაბლონეცი — ვიქტორია (პლზენი) 2:0, დუკლა — სლოვანი 1:0, ტეპლიცე — სიგმა 1:0, სპარტა — ჰრადეცი 3:1, ბანიკი — ოპავა 1:1, შმელი — სლავია 2:2, ბობი — დრნოვიცე გუშინ გვიან გაიმართა. 31 ქულით ლიდერობენ „სპარტა" და „ტეპლიცე".**

**დანიის** ჩემპიონატი. მე-17 ტური: ფრემადი — ვეილე 3:3, ოლბორგი — ჰერფოლგე 1:1, აბ — კოპენჰაგენი 0:0, ბ 93 — ორჰუსი 4:2, ბრონდბიუ — ლუნგბიუ 6:0, ვიბორგი — სილკებორგი 3:3. 34 ქულით ლიდერობს დედაქალაქის „აბ". მას 4 ქულით ჩამორჩება „კოპენჰაგენი".

**ბულგარეთის ჩემპიონატი. მე-14 ტური: ლიტექსი — ცსკა 8:0, სეპტემვრი — ლევსკი (კუსტენდილი) 0:3, სლავია — შუმენი 2:0, ლევსკი (სოფია) — მეტალურგი 1:0, ლოკომოტივი (პლოვდივი) — პირინი 0:0, დობრუჯა — ლოკომოტივი (სოფია) 2:3, სპარტაკი — ბოტევი 2:1, მინიორი — ნეფტოხიმიკი 1:0. 33 ქულით ლიდერობს „ლიტექსი". მას 2 ქულით ჩამორჩება დედაქალაქის „ლევსკი".**

**უნგრეთის** ჩემპიონატი. მე-17 ტური: კერულეტი — ზალაეგერცეგი 0:2, მტკ — დიორ ეტო 4:1, გაზერი — უპეშტი 2:1, ჰალადაში — ვაცი 0:1, დუნაფერი — ნიერშეგი 6:1, დიოშდიორი — ბვსც 2:1, შიოფოკი — დებრეცენი 0:1, კიშპეშტი — ფერენცვაროში 2:2, ვაშაში — ვიდეოტონი 2:1. 41 ქულით ლიდერობს „მტკ". მას 6 ქულით ჩამორჩება „დიორ ეტო".

**რუმინეთის ჩემპიონატი. მე-16 ტური: უნივერსიტატეა (კრაიოვა) — რაპიდი 0:1, უნივერსიტატეა (კლუჟი) — ონესტი 0:2, არჯეში — ფარული 6:0, დინამო — ჩახლაული 6:1, ფორესტა — პეტროლული 1:2, ოლიმპია — სტიაუა 0:3, გლორია — ოცელული 2:1, ასტრა — რესიტა 3:0, ნაციონალი — ბაკაუ 5:0. 41 ქულით ლიდერობენ „დინამო" და „რაპიდი".**

**ჩრდილო** ირლანდიის ჩემპიონატი. ბალიმენა იუნაიტედი — კოლერაინი 1:0, კრუზეიდერსი — ნევრი 2:0, გლენოვანი — გლენტორანი 0:1, ლინფილდი — პორტდაუნი 1:2, ომაგ თაუნი — კლიფტონვილი 2:2.

**კვიპროსის ჩემპიონატი. მე-10 ტური: აელი — ანორთოსისი 2:3, აპოელი — ომონია 1:2, ალკი — ეთნიკოსი 2:3, ენოსისი — აპოლონი 1:1, ოლიმპიაკოსი — ევაგორასი 2:1, არისი — დოქსა 2:1, ნეა სალამინა — აეკი 0:1. 25 ქულით ლიდერობს „ანორთოსისი". მას 2 ქულით ჩამორჩება „ომონია".**

**ბრაზილიის** ჩემპიონატი. გაიმართა ნახევარფინალური სერიის პირველი მატჩები: სანტოსი — კორინტიანსი 2:1; კრუზეირო — პორტუგეზა 3:1.

# ჯიჯი სიმონი გაუშვეს

ნუ დავიჯერებთ, რომ ღვინის ფასი მარტო ქართველებმა ვიცით. ვაზს სხვანიც სცემენ პატივს. ევროპაში იტალიელები და ფრანგები გახლავან მევენახეობით ცნობილი. მათ კარგად უწყიან ღვთიური სითხის ავან-ჩავანი, მასზე ფიქრობენ და მალიმალ ჩამოაგდებენ ხოლმე მასზე სიტყვას.

სარბიელის არქივიდან



ლუიჯი სიმონი

„სიმონი კარგი ღვინოსავით არის, რაც უფრო დიდხანს გააჩერებ, მით უკეთესია" — თქვა ერთხელ მილანის „ინტერის" პრეზიდენტმა, მასიმო მორატიმ.

ორი დღის წინ კი მორატის აღარც ღვინოზე უთქვამს რამე და აღარც ლუიჯი, იგივე ჯიჯი სიმონიზე. „ინტერის" ბანაკში ყველამ პირში წყალი ჩაიგუბა. მხოლოდ იტალიურმა სააგენტო ANSA-მ ამოიღო ხმა და ქვეყანას ამცნო, რომ სიმონი მწვრთნელის თანამდებობიდან გადააყენეს, ხოლო მის ადგილზე რუმინელი მირჩა ლუჩესკუ მიჰყავთ.

„არა, ეს ჭორი არ გახლავთ, ეს სინამდვილეა. მე თანამდებობიდან გამიშვეს" — უთქვამს სიმონის ANSA-ს კორესპონდენტისთვის.

„ნამდვილად არ ველოდი, რომ გამიშვებდნენ. ძალიან მეწყინა" — სიმონი დარწმუნებულია, რომ უღირსად მოეპყრნენ — „დიახაც, ნდობას ვიმსახურებდი. საოცარ კრიტიკასა და შეტევებს პატიოსანი შრომით ვპასუხობდი".

ერთი კვირის წინ, როდესაც „სან სიროზე" „ინტერმა" მადრიდის „რეალს" ერთობ დრამატულ შეხვედრაში 3:1 მოუგო, თითქოს გაჩნდა აზრი, რომ სიმონის სკამს საფრთხე აღარ ემუქრებოდა. მაგრამ კვირას იმავე „სან სიროზე", იტალიის ჩემპიონატის ცხრილში მეთექვსმეტე ადგილზე მყოფ „სალერნიტანასთან" მოგებას მსაჯის მიერ წამატებული დროის მეოთხე წუთამდე რომ აღარ დაადგა საშველი, მწვრთნელს სკამი ჩამოართვეს.

მორატის სიმონი ღვინო გასული სეზონის დასაწყისში ეგონა, „ნაპოლისგან" რომ გადაიბირა, მაშინ. თუ გახსოვთ, სუფრაზე მხოლოდ ღვინო ვაითუ არ მეყოსო და პრეზიდენტმა სიმონისთან ერთად შამპანური — რონალდოც მიიყვანა გუნდში. „ბარსელონასთვის" ბრაზილიელის წასართმევად „ინტერის" ბოსმა დიდძალი ფულიც დახარჯა და არც ესპანელებთან დაპირისპირებას მორიდებია.

დიდ გულზე იყო მორატი, ჩემპიონობისთვის ემზადებოდა. სკუდეტოს ცამეტგზის მფლობელი „ინტერი" ხომ იტალიის პირველი გუნდი 1989 წლის მერე აღარ გამხდარა. სულ ცამეტჯერ იყო.

გასული ჩემპიონატის პირველი წრე „შავ-ლურჯებმა" მართლაც მეფური სვლით განვლეს, ლიდერობდნენ, მაგრამ ზამთრიდან გაზაფხულამდე პოზიცია დათმეს და საბოლოოდ „იუვენტუსის" შემდგომ, მეორე ადგილზე გავიდნენ.

დღეს, ახალ სეზონში, 11 ტურის შემდეგ „ინტერი" მეშვიდეა. ოთხი თამაში აქვს მილანის გუნდს წაგებული, „იუვენტუსთან" და „ფიორენტინასთან" სტუმრად, ხოლო „ლაციოსა" და, ვაი სირცხვილო, „ბარისთან" შინ.

„ის უფრო შედევრების კოლექციაა, ვიდრე ფეხბურთის გუნდი" — წერდა ამასწინათ „გაძეტა დელო სპორტი". მილანშივე გამომავალი, ვარდისფერფურცლებიანი სპორტული გაზეთის კალმოსანმა რონალდო, რობერტო ბაჯო, იური ჯორკაეფი, ივან სამორანო, დიეგო სიმეონე, ხავიერ ძანეტი, აარონ ვინტერი, პაულუ სოუზა, ჯუზეპე ბერგომი, ჯანლუკა პალიუკა, ფრანჩესკო მორიერო, ტარიბო ვესტი და სხვანი ფერწერულ ტილოებს შეადარა.

და ეს ტილოები, მორატის აზრით, ღვინომ ბოლოიწოდ ვერ აქცია.

ღვინო 1939 წლის 22 იანვარს კრევალკორეში დაიბადა. თავის დროზე „იუვენტუსსა" და „ნაპოლიშიც" თამაშობდა, 1974 წლიდან კი სამწვრთნელო მოღვაწეობას შეუდგა. „ჯენოა", „ბრეშა", „პიზა", „ლაციო", „ემპოლი", „კოზენცა", „კარარეზე", „კრემონეზე", „ნაპოლი" და „ინტერი" — მის მეთერთმეტე გუნდს, ალბათ, მალე შევიტყობთ.

სიმონის „ნაპოლი" იტალიის თასის ფინალში გავიდა.

სიმონის „ინტერმა" უეფას თასი მოიპოვა.

მირჩა ლუჩესკუ კი კვირას ბუქარესტის „რაპიდს" ხელმძღვანელობდა. ორშაბათს, შუადღისას მან მილანისკენ აიღო გეზი და საღამოს მორატის ეწვია ოფისში.

„ლუჩესკუ მილანს გაემგზავრა. ის „ინტერის" დირექტორატის წევრებს უნდა შეხვდეს. საუბარი ხელშეკრულების ზაფხულამდე დადებას შეეხება" — განაცხადა „რაპიდის" გენერალურმა მენეჯერმა გეორგე დანუმ.

ლუჩესკუს იტალიაში კარგად იცნობენ. იგი სერია A-სა და B-ში, „ბრეშაში", „პიზასა" და „რეჯანაშია" ნამუშევარი, სამშობლოს კი შარშან დაუბრუნდა.

**მიხეილ სურგულაძე**

# ამ საღამოს სტამბოლში

დიდია პოლიტიკის ძალა — იტალიელი სამართალდამცავების მიერ ორიოდ კვირის წინ დაჭერილი აბდულა ოჯალანის თურქთათვის არგადაცემის ამბავმა დიდი რეზონანსი ჰპოვა. ჩემპიონთა ლიგის მატჩი კი გადაიდო. გავიდა კვირა. ოჯალანი თურქებმა მაინც ვერ მიიღეს, მატჩი კი დღეს აუცილებლად გაიმართება — სტამბოლში „გალათასარაი" იტალიის ჩემპიონ „იუვენტუსს" უმასპინძლებს.

...14 წლის მანძილზე ხდებოდა თურქეთში შეტაკებები ხელისუფლებსა და აჯანყებულ ქურთთა მუშურ პარტიას შორის. ამბოხებულებს სწორედ ოჯალანი თავკაცობდა. ამ წლების მანძილზე 15 ათასამდე ადამიანი დაიღუპა, თურქეთის ხელისუფლებამ კი ოჯალანის სიკვდილით დასჯა ბრძანა. იმალებოდა შერისხული, მაგრამ ბოლოს დაიჭირეს. იტალიელმა კარაბინერებმა შეიპყრეს ოჯალანი. ეს რომ თურქეთში გაიგეს, უმალვე იტალიის მთავრობას დაუკავშირდნენ და დაჭერილის მათთვის გადაცემა მოსთხოვეს. რომში იუარეს. რატომ? ევროპული კანონი კრძალავს ტყვეს გადაცემას იმ ქვეყნისთვის, სადაც სიკვდილით დასჯა მოქმედებს. იტალიამაც არ გადასცა თურქეთს ოჯალანი. სტამბოლში ანტიიტალიური გამოსვლები დაიწყო. ხალხი ღელავდა, იტალიის სამფეროვან დროშებს წვავდნენ, საელჩოსთან საპროტესტო აქციებს აწყობდნენ.

— ჩვენ არ გვსურს, სტამბოლში ჩასვლა. უმჯობესია, თუ შეხვედრა სადმე სხვაგან გაიმართება, ნეიტრალურ მინდორზე — განაცხადა რამდენიმე დღის წინ მსოფლიოს ჩემპიონმა ზინედინ ზიდანმა. მაშინ შეხვედრის ნეიტრალურ მინდორზე გადატანის საკითხი მართლაც დაისვა, მაგრამ საქმეში თურქეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო ჩაერია, „იუვენტუსს" და უეფას უსაფრთხოება აღუთქვა.

— „იუვენტუსი" მაქსიმალურად იქნება დაცული. მატჩის ჩაშლის არანაირი საშიშროება არ იარსებებს. ასე რომ, შეხვედრა დათქმულ დროს, დათქმულ ადგილზე უნდა გაიმართოს — განაცხადა უეფას წარმომადგენელმა.

გუშინ ტურინული კლუბის გენერალურმა მენეჯერმა ლუჩანო მოჯიმ ოფიციალურად განაცხადა, რომ „იუვენტუსი" სტამბოლში ჩავა ჩემპიონთა ლიგის მეხუთე ტურის შეხვედრის ჩასატარებლად.

— თურქეთის დედაქალაქს მხოლოდ კლუბის შემადგენლობა ეწვევა, ისიც მატჩამდე რამდენიმე საათით ადრე. უკან შეხვედრის დასრულებისთანავე გამოვფრინდებით — განაცხადა მოჯიმ.

დღეს დიდი მატჩია. დიდი, ძალიან მნიშვნელოვანი და დაძაბული. შეხვედრა ბევრ რამეს მოჰფენს ნათელს. შეძლებს ტურინის „იუვენტუსი" პრინციპული მატჩის მოგებას, თუ სტამბოლში დასრულდება ბებერი ქალბატონის ოთხწლიანი კოხტაობა ჩემპიონთა ლიგაში?

ოჯალანს რაც შეეხება, ის შეიძლება იტალიელებმა რუსეთის ხელისუფლებას გადასცენ, რადგან აბდულა ოჯალანი აპენინის ნახევარკუნძულს სწორედ მოსკოვიდან ეწვია.

**ირაკლი ილაშვილი**

REUTERS ფოტოქრონიკიდან



„იუვენტუსის" მწვრთნელი მარჩელო ლიპი და „გალათასარაის" თავკაცი ფატიჰ თერიმი

# ექვსი წლის შემდეგ

მას შემდეგ ექვსი წელიწადი გავიდა. ექვსი უშედეგო წელიწადი. კლუბში გამარჯვებას ელოდნენ, იგი კი არ მოდიოდა. ის, რისთვისაც „ბოკა ხუნიორსი" მუდამ თამაშობს, არ ჩანდა. გამარჯვება არ იყო...

ექვსი წლის შემდეგ პირველად, არგენტინის ყველაზე პოპულარულმა კლუბმა ქვეყნის ორი ჩემპიონატიდან პირველი — აპერტურას პირველობა მოიგო.

ჩემპიონატის დასასრულამდე ჯერ კიდევ ორი ტურია დარჩენილი, მაგრამ გამარჯვებული ცნობილია „ბოკა ხუნიორსი" ცხრა ქულით უსწრებს „ხიმნასია ლა პლატას". „ბოკა" ჩემპიონია!

გადაჭედილიყო „ბოკა ხუნიორსის" „ესტადიო ჩოკოლიტი". ხალხი საყვარელი გუნდის გამარჯვებას ელოდა. „ბოკამ" ვერ დაამარცხა „ინდეპენდიენტე", შეხვედრა ფრედ 0:0 დასრულდა, მაგრამ მატჩის ბოლო წამზე სტადიონზე გამოაცხადეს, რომ ვერც „ხიმნასია ლა პლატამ" სძლია „როსარიო სენტრალს". იქ თამაში 1:1 დამთავრდა. ამან „ბოკა ხუნიორსი" არგენტინის ჩემპიონად აქცია.

ხალხი სტადიონზე შეცვივდა, ნახევარ საათში კი ბუენოს-აირესში მოძრაობა შეფერხდა. კლუბის გამარჯვებით გახარებული გულშემატკივრები ქუჩებში გამოეფინენ.

„ბოკა" ჩემპიონია! „ბოკა" ჩემპიონია! — გაჰყვიროდნენ თავისუფლების ობელისკთან შეკრებილი ქომაგები. სულით ხორცამდე გახარებულებს სულ არ ადარდებდათ, რომ მანქანების მიმოსვლას ხელს უშლიდნენ...



ბოკა ხუნიორსი — ინდეპენდიენტე. მასპინძლებმა ჩემპიონის ტიტული სწორედ ამ მატჩის შემდეგ მოიპოვეს

## თურქეთი

თურქეთი. მე-14 ტური: ფენერბაჰჩე — ბურსა 4:1; სამსუნი — ანთალია 0:1; გენჩლერბირლიგი — ალთაი 1:1; ადანა — გაზიანთეფი 3:1; ერზურუმი — ქოჯაელი 0:0; ისთანბული — დარდანელი 1:1; ქარაბუქი — ანკარაგიუჯიუ 0:1; ტრაბზონი — საქარია 2:1; გალათასარაი — ბეშიქთაში გადაიდო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბეშიქთაში | 13 | 9 | 4 | 0 | 28:11 | 31 |
| ტრაბზონი | 14 | 9 | 3 | 2 | 26:13 | 30 |
| ფენერბაჰჩე | 14 | 9 | 2 | 3 | 37:12 | 29 |
| გალათასარაი | 13 | 8 | 3 | 2 | 38:15 | 27 |
| ანთალია | 14 | 8 | 3 | 3 | 19:12 | 27 |
| ქოჯაელი | 14 | 7 | 3 | 4 | 18:14 | 24 |
| გენჩლერბირლიგი | 14 | 7 | 2 | 5 | 23:19 | 23 |
| ბურსა | 14 | 7 | 2 | 5 | 27:26 | 23 |
| ისთანბული | 14 | 6 | 3 | 5 | 21:19 | 21 |
| გაზიანთეფი | 14 | 5 | 4 | 5 | 16:18 | 19 |
| ანკარაგიუჯიუ | 14 | 5 | 1 | 8 | 18:21 | 16 |
| ერზურუმი | 14 | 4 | 4 | 6 | 16:32 | 16 |
| ადანა | 14 | 4 | 2 | 8 | 10:19 | 14 |
| სამსუნი | 14 | 4 | 2 | 8 | 17:29 | 14 |
| ალთაი | 14 | 3 | 3 | 8 | 19:29 | 12 |
| საქარია | 14 | 2 | 4 | 8 | 12:23 | 10 |
| ქარაბუქი | 14 | 2 | 2 | 10 | 10:24 | 8 |
| დარდანელი | 14 | 0 | 5 | 9 | 5:23 | 5 |

## ავსტრია

მე-19 ტური: ლინცერი — რაპიდი 1:3; აუსტრია — შტურმი 1:0; გრაცერი — შტაირი 1:0; ტიროლი — ზალცბურგი 0:3; ლუსტენაუ — რიდი გადაიდო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შტურმი | 19 | 13 | 2 | 4 | 36:12 | 41 |
| რაპიდი | 19 | 12 | 4 | 3 | 32:14 | 40 |
| გრაცერი | 19 | 12 | 4 | 3 | 26:13 | 40 |
| ლინცერი | 19 | 11 | 3 | 5 | 34:22 | 36 |
| აუსტრია | 19 | 7 | 5 | 7 | 20:23 | 26 |
| ზალცბურგი | 19 | 6 | 6 | 7 | 26:26 | 24 |
| ტიროლი | 19 | 5 | 5 | 9 | 22:30 | 20 |
| რიდი | 18 | 4 | 4 | 10 | 14:20 | 16 |
| ლუსტენაუ | 17 | 2 | 5 | 10 | 13:35 | 11 |
| შტაირი | 18 | 1 | 2 | 15 | 14:42 | 2 |

ქირავდება
1-ოთახიანი
კეთილმოწყობილი
ბინა
ქავთარაძის ქუჩაზე
☎ 93 15 72

ეგვიპტის დედაქალაქ კაიროში აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციის სხდომაზე კონტინენტის საუკეთესო ფეხბურთელი დასახელდა — ტიტული ესპანური „დეპორტივოს" და მაროკოს ნაკრების ნახევარმცველმა მუსტაფა ჰაჯიმ მოიპოვა.

წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე მაროკოს ნაკრებმა კარგად იასპარეზა, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის მუსტაფა ჰაჯის. 27 წლის ფეხბურთელმა გამოკითხვისას 76 ქულა მიიღო და ორი ქულით აჯობა ნიგერიელ ჯეი-ჯეი ოკოჩას. მესამე ასევე ნიგერიელი სანდი ოლისე გახდა.

მუსტაფა ჰაჯი მეოთხე მაროკოელი ფეხბურთელია, რომელმაც კონტინენტის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული მოიპოვა. აფრიკის ფეხბურთის კონფედერაცია გამოკითხვას 1986 წლიდან ატარებს.



მუსტაფა ჰაჯი

სარბიელი
სამუშაოდ იწვევს
სპორტისა და ინგლისური ენის
მცოდნე ქალებსა და ვაჟებს
დაგვირეკეთ: 39 48 29; 38 11 14 ან
გვესტუმრეთ დედაქალაქში: ალექსანდრე ყაზბეგის 42, II კორპუსი, IV სართული

# ოქროს ბურთის ლაურეატები

France Football

## 1990 ლოთარ მათეუსი

კონსტანტინე გოგიშვილი

# გრძნეული ჭირვეული

ლოთარ მათეუსისთვის არავითარი საფეხბურთო რამ უცხო არ გახლავთ — მოყოლებული ტიტულებიდან, დამთავრებული საფეხბურთო კულისების მეტად უხერხული რამე-რუმეებით. ბევრი რამ გამოსცადა ამ კაცმა თავის დროზე — ზესვლაც, დაღმასვლაც, კონფლიქტიც, ქებაც და დიდებაც, ვაიც და ვიშიც.

და მაინც მათეუსი, ვინც ჯერ კიდევ 1980 წელს გახდა ევროპის ჩემპიონი გფრ-ის ნაკრებში (თვრამეტი წლის წინ (!), მათეუსი, ვინც ჯერ კიდევ 1990 წელს იყო ოქროს ბურთის მფლობელი (რვა წლის წინ), მათეუსი, ვინც იმავე 1990 წელს გახდა მსოფლიოს ჩემპიონი (ესეც რვა წლის წინ) — დღესაც მოქმედი ფეხბურთელია.

ასეთი უნდა კარიერა და საფეხბურთო დღეგრძელობაც ასეთი უნდა.

ამ კარიერამ სხვა ტიტულებიც მრავლად იცის — გფრ-ის (მერე გაერთიანებული გერმანიის) ჩემპიონობაო, იტალიური სკუდეტოს მფლობელობაო, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატის პრიზიორობაო... ორჯერ უეფას თასის მფლობელიც გახლდათ ლოთარ მათეუსი.

დღესდღეობით ბებერი გერმანელი კვლავ „ბაირენშია“, კვლავ გერმანიის ნაკრების წევრობის კანდიდატია და ძველებურად „ხნავს ბებერი ხარის რქები“.

კარიერის დასაწყისიდანვე ემჩნეოდა ლოთარ მათეუსს დიდი ფეხბურთის თამაში რომ დაამადლა ბედმა. ბედის და განგების წერა იყო ისიც, რომ გერმანიაში არსებობს დიდი გუნდი — მიუნხენის „ბაიერნი“ და ამ გუნდში 23 წლის მათეუსის მოხვედრაც ბედისწერა იყო.

გერმანული გუნდები სხვათაგან სათამაშო დისციპლინით, მწვრთნელისადმი უსიტყვო მორჩილებით და ფეხბურთის პრაგმატული სტილით გამოირჩევიან. გერმანელ ფეხბურთელებს უამრავი რამ შეუძლიათ, მაგრამ მათი თამაში უფრო მეტად ზუსტი სათამაშო სქემების ნამდვილ გერმანული პუნქტუალობით შესრულებაში გამოიხატება. გერმანული ფეხბურთი შორს დგას რომანტიკული, ტრიუკებითა და ფინტებით „გამოჭედილი“ ფეხბურთისაგან. სხვები „სწორ ფეხბურთს“ ეძახიან ამას.

და მაინც, არიელებს (ოჰ, ეს ჰიტლერი) ყავდათ ტექნიკით გამორჩეული ფეხბურთელები, ისეთნი, რომლებისთვისაც არც ფინტი იყო უცხო და არც დახვეწილი ოსტატობა.

სწორედ ასეთი ტექნიკური შესაძლებლობებით უხვად დაჯილდოებულ გერმანელ ფეხბურთელთა კატეგორიას ეკუთვნის მათეუსი.

მერე ერთი რამეც ახასიათებთ გერმანელებს (გუნდებსაც და ვარსკვლავებსაც) ეს გამძლეობის სინდრომია, საფეხბურთო გერმანიის „აღმოჩენა“. ეს ის ხიბლია, როცა, ვთქვათ, გუნდი აგებს მარადონას არგენტინასთან მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში 0:2-ს და ანგარიშს ათანაბრებს.

...ოო, დიეგო მარადონა სხვა საკითხია, ...ა სიმაღლე. სწორედ მასთან პაექრო...ი იბადებოდა ლოთარ მათეუსი. ნაკ...შიც, მერე კი იტალიის ჩემპიონატშიც. ...ა გეტყვით, რომ არა მარადონა, ლო...ი მათეუსი ოთხმოციანი წლების ბო...ს და ოთხმოცდაათიანი წლების საწ...ი ორი-სამი წლის საუკეთესო ფეხ...თელი იქნებოდა... სხვა მხრივ კი ვა...ვლავი იყო მათეუსი, კაშკაშა ვარსკ...ვი, ერთნაირად რომ ბრწყინავდა კლუ...ბ და ნაკრებშიც, მინდორზე ამინდის ...მნელი.

...ი თავისი თაობის გერმანიის ნაკრე...უპირველესი მოთამაშე იყო. გამთა...ბელი კლასიკური გაგებით, ფართო ...აზროვნების, ინტელექტუალური სტილის ...ბურთელი. ვინც ჯერ აზროვნებდა, ...ში ხლართავდა რაგინდარა კომბი...ებს და მერე ახორციელებდა.

...ლკეული თამაშებიც მოუგია მათე...ნაკრებში. ვის არ ახსოვს მექსიკის ...ონატის გფრ-მაროკოს სუპერუსაზური ..., როცა აფრიკელები ჯიქურ დაუ... მრისხანე მეტოქეს და არც არავინ ..., როგორ დამთავრდებოდა ის შეხ...ვედრა, რომ არა ლოთარ მათეუსის შორეული ჯარიმა — ზუსტი, ძლიერი და გამოზომილი.

სხვათა შორის, ერთხელაც გამოირჩა მათეუსის დარტყმა სხვების მიერ დარტყმულიდან — გფრ-იუგოსლავიის შეხვედრაზე გიარაკებთ, 1990 წელს რომ გაიმართა იტალიაში მსოფლიოს ჩემპიონატზე და 4:1 რომ მოიგეს გერმანელებმა. მაშინ ორი გოლი გაიტანა მათეუსმა და ერთი იმგვარი გაისროლა (სწორედაც), ბედი იუგოსლაველთა კარის დარაჯისა, რომ არ მოხვდა — სხვაგვარად დაასახიჩრებდა უთუოდ. ის დარტყმული დღემდე უძლიერესად ითვლება — ბურთი 180-ზე მეტი კილომეტრით მიფრინავდა საათში.



1992 წლის ევროპის ჩემპიონატზე გერმანიის ეროვნული გუნდი კუთხურების ლამაზი გათამაშებით გამოირჩა — ბრემე მოჭრილად აწვდიდა საჯარიმოს წინა ხაზთან, იქ ბურთს გრძნეული ლოთარი ხვდებოდა და შეუჩერებლივ, მოჭრილადვე ურტყამდა მეტოქის კარში — საწუწუნოდ ის გვაქვს, გოლის გატანა ვერ მოახერხეს ამგვარად გათამაშებული კუთხურის შემდეგ გერმანელებმა, თორემ უთუოდ ქრესტომათიული რამ გამოვიდოდა.

ახლა ველარ არის ძველებრ ჩაუქი მათეუსი, 37 წლის კაცია, სირბილსაც უკლო (აღარ შეუძლია), სისწრაფეც აღარ გააჩნია იმდენი და უფრო აზროვნების, თამაშის ამოკითხვის ხარჯზე გადის ფონს, თორემ გახსოვთ?

ერთ დროს, ლოთარ მათეუსი ერთს, ორს, სამს ადვილად მოატყუებდა ხოლმე, პასსაც დიდოსტატურს მისცემდა და თუ საჭირო იყო, გოლსაც შეაგდებდა, ყველას მოსაწონს.

ახლა ჯანს არ იკითხავთ? სამი კაცის სამყოფი ჯანი ჰქონდა „იმ“ მათეუსს. ამად თუ იყო, ვერ აკავებდნენ „იმ“ მათეუსს.

მარადონას „ნაპოლიში“ ზეობას „ინტერში“ გერმანული ტრიუმვირატის დიდოსტატური გარჯა მოჰყვა. მათეუსს უკან ბრემე უდგა, წინ კლინსმანი და ჰაი, ჰაი, რომ შიშის ზარს სცემდნენ არიელები შინ და გარეთ ყველას. ვარსკვლავი იყო მათეუსი, მაგრამ ბრემესა და კლინსმანის გარეშე ვერ გახდებოდა, ვინც გახდა და როცა იტყოდნენ, მათეუსიო, ბრემე-კლინსმანსაც უმალ მიაყოლებდნენ იმჟამად „ინტერის“ გამთამაშებელს.

ამადაც არ იყო ალბათ მათეუსი მარადონა. გრძნეული კი, საფეხბურთო ანისა და ბანის მცოდნე, ნაღდად იყო.

მაგრამ ჭირვეულიც გახლდათ, ჰოი, რა ჭირვეული. აბა, ბეკენბაუერის დიდებას რას შეჰკადრებდა, მაგრამ წავიდა კაიზერი ნაკრებიდან, მწვრთნელის პოსტი ფოგტსმა დაიკავა და ლოთარ მათეუსის ჭირვეულობამაც მაშინვე იჩინა თავი.

მერე და მერე გაუტია მათეუსმა, გათამამდა და იმგვარადაც, ლამისაა, ბუნდესტაგს დაამგვანა „საწყალი ბერტის“ ყოველი წინასამატჩო თუ მატჩისშემდგომი გარჩევა. თამამად, ურცხვადაც კი ერეოდა ლოთარ მათეუსი მწვრთნელის საქმეებში.

ეს არ იყო გერმანული საქციელი. ამას ვერც ერთი გერმანელი მწვრთნელი მოითმენდა, მათ შორის ვერც ფოგტსი და...

ისევ რუდი ფიოლერმა მოარგო ალვირი უჩვეულოდ, არაგერმანულად „გაჭენებულ“ მათეუსს. ჯერ უსაყვედურა... მერე დაუცაცხანა... მერე ბურთიც მიარტყა და გუნდიც გადაიბირა მუდამ მომღიმარმა და ყველას „ახლობელმა“ რუდიმ.

ეს კი მათეუსის ავტორიტეტის დაკარგვას მოასწავებდა. ყოველივეს კლინსმანთან ურთიერთობის გაფუჭებაც ზედ დაერთო. ამავე დროს ერთი მილანური კლუბის („ინტერის“) მზე ჩაესვენა და მეორისა („მილანის“) ამობრწყინდა. „ინტერის“ ტრიუმვირატი (გერმანული) „მილანისამ“ (ჰოლანდიურმა) შეცვალა და მათეუსიც თითქოს დავიწყების ჭაობს უნდა ჩაეთრია. არა, არ მოხდა ასე, მსოფლიოს ჩემპიონყოფილი მათეუსი ოცდათორმეტი წლისა მშობლიურ „ბაიერნს“ დაუბრუნდა და კვლავ ძველებურად თუ ვერა, მაინც იბრძვის.

ის კი არა, მეხუთე მსოფლიოს ჩემპიონატიც მიითვალა ბებერმა გერმანელმა. ამით მექსიკელი კარბახალის რეკორდი გაიმეორა და ერთიც, თავისი, დაამყარა — ლოთარ მათეუსს 130 მატჩში ითამაშა ეროვნულ გუნდში. იმ პირველიდან ბოლომდე (130-მდე) კი — მთელი ცხრამეტი სეზონი გავიდა.

გაძლება არ გინდა? არ გინდა, გაუძლო? მით უმეტეს, ლოთარ მათეუსი დღესაც ნაკრების წევრია, დღესაც „ბაიერნის“ ძირითადში გამოდის და არც ფეხბურთისთვის თავის დანებებას ფიქრობს.

კარიერაც ამას ჰქვია. საფეხბურთო დღეგრძელობაც ესაა. იმ დროიდან კი, რაც მათეუსს ოქროს ბურთი მიანიჭეს, სრული რვა წელია გასული.

### ლოთარ მათეუსი

დაიბადა 1961 წლის 21 მარტს გერმანიის ქალაქ ერლანგენში
ნახევარმცველი
სიმაღლე: 1,77
წონა: 75 კგ
კლუბები: „ბორუსია“ (მიონხენგლადბახი, გფრ, 1979-84); „ბაიერნი“ (გფრ, 1984-88); „ინტერი“ (იტალია, 1988-92); „ბაიერნი“ (გერმანია, 1992-)
ტიტულები: გფრ-ის ჩემპიონი — 1985, 86, 87; გფრ-ის თასი — 1986; იტალიის ჩემპიონი — 1989; გერმანიის ჩემპიონი — 1994, 97; გერმანიის თასი — 1998; უეფას თასი — 1991, 96; მსოფლიოს ჩემპიონი — 1990; მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი — 1982, 86; ევროპის ჩემპონი — 1980; ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი — 1992; ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი — 1988
ნაკრებში 130 თამაშში გაიტანა 23 გოლი (1980-)

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### ჩემპიონთა ლიგა

2 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| გალათასარაი — იუვენტუსი | 3,4 | 2,9 | 2,0 |

### გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა

2 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| მაინცი — კიკერსი | 2,0 | 3,0 | 3,3 |

### გერმანია. თასის მეოთხედფინალი

2 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ზიგენი — ვოლფსბურგი | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| ობერჰაუზენი — მიონხენგლადბახი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ვერდერი — ბერლინი | 1,6 | 3,0 | 5,6 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი

2 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ნორვიჩი — გრიმსბი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| ქუინზ პარკი — იფსვიჩი | 3,0 | 2,9 | 2,2 |

### იტალიის თასი. მეოთხედფინალი. პირველი მატჩები

2 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ატალანტა — ფიორენტინა | 4,2 | 2,9 | 1,8 |

3 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლაციო — ინტერი | 2,1 | 2,9 | 3,2 |

### საფრანგეთი

3 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| მონაკო — ნანსი | 1,45 | 3,3 | 7,0 |
| ოსერი — მარსელი | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| ლიონი — ბორდო | 2,4 | 2,7 | 2,8 |

### ინგლისის ლიგის თასის მეოთხედფინალი

| | | | |
|---|---|---|---|
| უიმბლდონი — ჩელსი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| სანდერლენდი — ლუტონი | 1,25 | 4,4 | 8,0 |

2 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ტოტენჰემი — მანჩესტერი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ლესტერი — ბლექბერნი | 1,6 | 3,0 | 5,6 |

### ჰოლანდია

2 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| კამბური — უტრეხტი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ნაიმეგენი — სპარტა | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| ალკმაარი — როდა | 2,3 | 2,8 | 2,9 |

3 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სიტარდი — ვალვაიკი | 1,7 | 3,1 | 4,4 |

### ბელგია. ლიგის თასი

2 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ანტვერპენი — ანდერლეხტი | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| ბევერენი — სტანდარდი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| ლიერსი — ჰარელბეკი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| ლოკერენი — ლომელი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| სენტ ტრუიდენი — სერკლ ბრიუგე | 1,3 | 4,0 | 7,5 |

### შოტლანდია ჩემპიონატი. გამოტოვებული მატჩი

2 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სენტ ჯონსტონი — ჰართსი | 1,9 | 2,8 | 3,8 |

### თურქეთის თასის მერვედფინალი. საპასუხო მატჩები

2 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ერზურუმი — სამსუნი | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| საქარია — ალთაი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| გენჩლერბირლიგი — ისთანბული | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ბურსა — ანკარა | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| გაზიანთეფი — ტრაბზონი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| ბეშიქთაში — ქორლუ | 1,1 | 6,0 | 12,0 |

### ჰოკეი. NHL

2 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბუფალო — ფლორიდა | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| ტორონტო — ლოს ანჯელესი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| აილენდერსი — რეინჯერსი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| კაროლინა — მონრეალი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| კოლორადო — დეტროიტი | 2,1 | 4,4 | 1,9 |
| ედმონტონი — ფინიქსი | 2,1 | 4,4 | 1,9 |
| სან ხოსე — დალასი | 2,4 | 4,4 | 1,7 |

3 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ოტავა — ლოს ანჯელესი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| ჩიკაგო — ანაჰაიმი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| კალგარი — ტამპა ბეი | 1,7 | 4,4 | 2,4 |

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

**თბილისში** — კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან; №2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე; №67 გლდანი. I სავაჭრო ცენტრი.

**ქუთაისში** — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში;

**ბათუმში** — გორგასლის (ყოფილი ცხაკაიას) ქუჩა 4, ყოფილ კომისარიატთან;

**რუსთავში** — კინოთეატრი „რუსთაველი“; XVI მიკრორაიონი 2; კოსტავას გამზირი 17.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

# კგბ-სთან შეკრული კაცი




**პირველი ზარი, ყურმილს არავინ იღებს. მეორე ზარი, კვლავ არავინ პასუხობს მორიგი ზარი. უკვე თვლა მაქვს არეული. როგორც იქნა ვაღწევ მიზანს და მოუხელთებელ რესპონდენტს შეხვედრას ვთხოვ. უკიდურეს შემთხვევაში ტელეფონით საუბარზე მინდა დავითანხმო**




— არავითარი შეხვედრა და არავითარი კომენტარი. აბსოლუტურად გამორიცხულია. ჩვენთან რომ ჟურნალისტიკა სათანადო დონეზე იყოს, მაშინ სხვაა. ხოლო ჭორებზე დაფუძნებული წერილებისა და პასკვილების ავტორებთან მე არაფერი მესაქმება. როგორც წესი და რიგია, მოვიწვევ პრესკონფერენციას და იქ ვიტყვი ყველაფერს.

**— იქნებ ის მაინც მითხრათ, პრესკონფერენცია არჩევნებამდე ჩატარდება თუ შემდეგ?**

— როგორც საჭიროდ ჩავთვლი, ისე მოვიქცევი. არც არჩევნების მეშინია და არც სხვა რამის.

თანამოსაუბრის გაღიზიანებული ტონის მოსმენა ნამდვილად აღარ მსურდა. არც თავად იყო დიდად აღტაცებული ჩემთან ლაპარაკით. წყვეტილი ზარი გაისმა, ყურმილი დამიკიდეს. ალბათ, კმარა მკითხველის მოთმინების გამოცდა. დროა ყველაფერი გაცხადდეს: ვის ვურეკავდი ასე დაჟინებით? რატომ გვიწოდა მან ჟურნალისტებს ჭორით აღსავსე პასკვილების ავტორები? რომელ არჩევნებზეა საუბარი და რა იგულისხმა თანამოსაუბრემ, როდესაც განმიცხადა, „სხვა რამის" არ მეშინიაო.

## ვის ვურეკავდი

ეს არის კაცი, რომელიც უკვე მრავალი წლის განმავლობაში ძალიან საპასუხისმგებლო და პრესტიჟულ თანამდებობაზე მუშაობს. კაცი, რომელსაც ბოლო დრომდე არ ჰყოლია ოპოზიცია და ამიტომ მოწინააღმდეგეთა საკმაოდ ძლიერი ბანაკის ჩამოყალიბების გამო ერთობ გაღიზიანებულია, თუმცა მას გაღიზიანებისა და აღშფოთებისთვის სხვა მიზეზებიც აქვს, მაგრამ ამაზე მოგვიანებით. ეს კაცი რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი, ბევრისთვის კარგად ნაცნობი ვიაჩესლავ კოლოსკოვი გახლავთ. ბევრისთვის კარგად ნაცნობი-მეთქი, მოგახსენეთ, მაგრამ იმისთვის, რომ კოლოსკოვის პორტრეტი სრულიად გაითავისოთ, საჭიროა მისი ადრეული ხანის შესახებაც ითქვას ორიოდ სიტყვა. საქმე ის არის, რომ ამ პიროვნებას მეტწილად საფეხბურთო მოღვაწეობით იცნობენ, არადა, უფრო ადრეულ წლებზე ყურადღების გამახვილებ ნამდვილად უპრიანი იქნებოდა. ადრეულ ხანაში კოლოსკოვის მიერ დაწყებულ უკვე სერიოზულ კარიერას ვგულისხმობ და არა სტუდენტობის წლებს, რადგან მისი სტუდენტობა არაფრითაა საყურადღებო და საგულისხმო.

ვიაჩესლავ კოლოსკოვმა აღმასვლა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატში დაიწყო. იგი იქ სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობდა და ფხის და უნარის წყალობით საკმაოდ სწარფად მიიწევდა წინ, თუმცა მისი წინსვლის მხოლოდ ამ ფაქტორებით ახსნა არ იქნება გამართლებული. როგორც ჩვენში ხდებოდა და ხდება, ძლიერ პროტეჟესაც უთუოდ თავისი როლი ექნება ნათამაშევი.

კოლოსკოვის ბიოგრაფიისათვის დამახასიათებელი შტრიხი — მთელი კარიერის მანძილზე იქმნება შთაბეჭდილება, რომ უშუალო უფროსობა და კიდევ უფრო ზევით მდგომი ინსტანციები მარად უკმაყოფილონი არიან მისი მოღვაწეობით, აკრიტიკებენ, ლამის არის შეცვალონ კიდევაც, მაგრამ იგი მაინც შეუცვლელია — ძლიერი მფარველი, რომელზე დაყრდნობითაც კოლოსკოვი მუდამ ტივტივებს, არსად ჩანს.

ცენტრალურ კომიტეტში ვიაჩესლავ კოლოსკოვმა უამრავი თანამდებობა გამოიცვალა, რიგითი მუშაკობით დაწყებული, საკმაოდ დიდი და საპასუხისმგებლო განყოფილების შეფობით დამთავრებული. მაშინ ამაზე საუბარი მიუღებელი იყო, ახლა კი გარკვეულ წრეებში ღიად აცხადებენ, რომ რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტს იმ პერიოდში საკმაოდ მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტთან და ოფიციალურ, გასაიდუმლოებულ დოკუმენტებში მისი სახელიც ფიგურირებს, მაგრამ რადგან ჩვენ, უბრალო მოკვდავთ ამ დოკუმენტებზე ხელი არ მიგვიწვდება და კგბ-ს არქივებშიც არავინ ჩაგვახედებს, ეს ფაქტი დაუმტკიცებელია.

მივუბრუნდეთ კოლოსკოვის თანამდებობრივ პროგრესს. ერთ დღეს, სრულიად მოულოდნელად იგი საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად ინიშნება. რატომ, რა დამსახურებებისთვის, რის გამო — არავის მოეხსენება. მაშინ ხომ ყოველგვარი საკადრო ცვლილებების თუ გადაწყვეტილებების შესახებ მსჯელობა და დისკუსიის გამართვა ყოვლად გამორიცხული იყო. სახალხოდ ეს არც არავის უცდია. ასე დაიწყო კოლოსკოვმა კარიერის ახალი ეტაპი. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდში ჩვენი ნაკრები გუნდის თუ კლუბების წარუმატებლობის შემთხვევაში ის პასუხს არაფერზე აგებდა. უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ მწვრთნელები თუ იხსნებოდნენ თანამდებობიდან, უმაღლეს ეშელონებში კი ყველაფერი „კარგად" იყო. ამას ზედ დაერთო ვიაჩესლავ კოლოსკოვის არჩევა უეფას ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზეც, რამაც მას მოქმედებისა და გავლენის სფერო გაუფართოვა და საერთაშორისო საფეხბურთო წრეებში კიდევ უფრო დიდი ავტორიტეტი შესძინა.

ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირი დაიშალა და ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია თხუთმეტ ფედერაციად დაქუცმაცდა, რუსეთის ფედერაცია კი საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრედ გამოცხადდა და ეს, ცხადია, სპორტსა და ფეხბურთსაც შეეხო. საბჭოთა კავშირის მსგავსად (თუ საერთოდ შეიძლება ქვეყნისა და ადამიანის შედარება), ვიაჩესლავ კოლოსკოვსაც თავისი თანამდებობა სამართლებრივი საფუძვლების გათვალისწინებით ერგო და იგი რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტად იქცა. კოლოსკოვი, რომელიც საბჭოთა კავშირის „აპარატჩიკის" ტიპიური სახე გახლდათ, ახალ გარემოსაც მშვენივრად მოერგო. მერე რა, რომ ბევრი რამ არ იყო წესრიგში და კიდევ უფრო მეტი ახლიდან გახლდათ გასაკეთებელი. საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი ისტორიული კატაკლიზმების გამო შესამჩნევად გააქტიურებულ ჟურნალისტებსა და მოწინააღმდეგეებსაც მომავლის დაპირებებით კვებავდა, კვლავ და კვლავ უსვამდა ხაზს საკუთარ დამსახურებას სამამულო ფეხბურთის წინაშე და ისევე როგორც ადრე, განაგრძობდა ერთპიროვნულ მმართველობას. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამაში დამნაშავე რუსულ ფეხბურთში მოღვაწე სხვა პიროვნებებიც იყვნენ, რომლებიც თავისი პასიურობით ნებით თუ უნებლიედ ხელს უწყობდნენ... თუმცა ამაზე ოდნავ ქვევით.

## ჭორით აღსავსე პასკვილები

რას გულისხმობდა კოლოსკოვი, როდესაც ხანმოკლე სატელეფონო საუბრისას მე და ჩემს კოლეგებს ჭორიკნები გვიწოდა? რამ გამოიწვია მისი ასეთი გააფთრება? ბოლო დროს პრესითა და ტელევიზიით აშკარად გახშირდა გამოსვლები რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტის წინააღმდეგ. არსებობს ამის გამომწვევი რამდენიმე მიზეზი. ჯერ ერთი, შესამჩნევად გააქტიურა მოქმედება კოლოსკოვის მრავალრიცხოვანმა ოპოზიციამ და მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციური ძალები ერთმანეთთანაც არ არიან მაინცდამაინც კარგ დამოკიდებულებაში, კოლოსკოვის წინააღმდეგ ერთსულოვანნი გახლავან — რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი უნდა გადადგეს, თანაც დაუყოვნებლივ. გარდა ამისა, გამომზეურება იწყო იმ ფაქტებმა, რომლებიც არც რუსეთის ჩემპიონატის დონის ამაღლებას უწყობს ხელს და არც მორალური თუ იურიდიული თვალსაზრისით არის გამართლებული. მათ დანერგვაში ბრალი სწორედ კოლოსკოვს ედება. არანაკლები როლი ითამაშა რუსეთის ეროვნული ნაკრების ბოლოდროინდელმა წარუმატებლობებმა. ქვეყნის უპირველესი გუნდი ჯერ მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის მიღმა დარჩა, ხოლო წლეულს პრაქტიკულად გადაიწურა ევრო-2000-ის ფინალურ ეტაპზე მოხვედრის იმედი. ყოველივე ამის ბოლო და დამაგვირგვინებელი აკორდი გახლდათ ამას წინათ გამომზეურებული ამბავი, რომელმაც რუსეთის საფეხბურთო და სამართალდამცავი წრეების დიდი ყურადღება დაიმსახურა და ამ ორ სფეროსთან არც თუ ახლოს მდგომი ადამიანების ცნობისმოყვარეობაც კი გამოიწვია. კერძოდ, საქმე ეხება შვეიცარიის ერთ-ერთ ბანკში ვიაჩესლავ კოლოსკოვის მიერ გახსნილ ორ არალეგალურ ანგარიშს. მათი არალეგალურობა ისაა, რომ რუსეთის კანონმდებლობით ნებისმიერი ორგანიზაცია მსგავს შემთხვევაში ვალდებულია დაუკავშირდეს ცენტრალურ ბანკს და მისგან ლიცენზია მიიღოს. გარდა ამისა, ამის შესახებ უნდა იყოს ინფორმირებული რუსეთის ფედერაციის იუსტიციის სამინისტროც. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გვაქვს კანონის უხეშ დარღვევასთან, ხოლო ამისთვის რომ არავის ეფერებიან (ყოველ შემთხვევაში არ უნდა ეფერებოდნენ) ეს ყველამ კარგად ვუწყით.

გაგაცნობთ რამდენიმე დეტალს კოლოსკოვის მიერ გახსნილი საბანკო ანგარიშების შესახებ. ამ საქმეს რუსეთის საგადასახადო პოლიცია იძიებს. ჯერჯერობით უცნობია, თუ როგორ მოახერხეს რუსმა სამართალდამცავებმა ასეთი კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვება, მაგრამ ის კი ნაღდია, რომ ორივე ანგარიში 1995 წელს არის გახსნილი. პირველზე — 3 700 000 შვეიცარიული ფრანკია, ხოლო მეორეზე — 800 000. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ თავიდან შეტანილი თანხა საგრძნობლად მცირე იყო, დღევანდელთან შედარებით. ამის შესახებ პრესის ფურცლებზეც დაიწერა და ტელეეკრანიდანაც ითქვა. ვიაჩესლავ კოლოსკოვი ამ ფაქტების კომენტირებისაგან ან თავს იკავებს, ან თავის მართლებას ცდილობს, მაგრამ იმდენად უსუსურად, რომ ყურად არავინ იღებს. ვითომ შემთხვევითია ის, რომ ანტიკოლოსკოვური კამპანია სწორედ ახლა დაიწყო? ნამდვილად არა. ეს დაკავშირებულია 8 დეკემბრის მოახლოვებასთან, როდესაც რუსეთში საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტის არჩევნებია დანიშნული.

## არჩევნები

ისევე, როგორც ნებისმიერ არჩევნებს, რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტის არჩევნებსაც უამრავი ინტრიგა ახლავს. ამ თანამდებობაზე რვა კანდიდატი აცხადებს პრეტენზიას. ესენი არიან ამჟამინდელი პრეზიდენტი ვიაჩესლავ კოლოსკოვი, კირსან ილიუმჟინოვი, ნიკოლაი ტოლსტიხი, ანზორ კავაზაშვილი, ვიქტორ პონედელნიკი, ვიქტორ ეფრემოვი, ვლადიმირ პოდგორნოვი და ვიქტორ გორლოვი. გარდა ამისა არის კიდევ ერთი კაცი, რომელიც თუმც პრეზიდენტობაზე კენჭს არ იყრის, მაგრამ მაინც დიდი გავლენით სარგებლობს რუსეთის საფეხბურთო წრეებში და მასთან თანამშრომლობით და მისი მხარდაჭერით ყოველი კანდიდატი დაინტერესებულია. ეს გახლავთ ყოფილი ფეხბურთელი ევგენი ლოვჩევი. ვიაჩესლავ კოლოსკოვისთვის ყველა კანდიდატი სერიოზული მოწინააღმდეგეა, მაგრამ ერთ-ერთს ის საგანგებოდ უნდა უფრთხილდეს. თურმე პრეზიდენტის სავარძლის იმ ერთ-ერთ მაძიებელს უთქვამს, თუ კოლოსკოვი ჭკვიანურად არ მოიქცევა, კარიერას ძალიან ცუდად დაასრულებსო. ამ პიროვნების ვინაობა ჯერ არ არის ცნობილი. დამფრთხალმა კოლოსკოვმა კი პირდაპირ განაცხადა, რომ იძულებულია დაცვა დაიქირავოს. როგორც ჩანს, არავის დავიწყებია 1996 წელს რუსეთის ჰოკეის ფედერაციის პრეზიდენტის დღემდე იდუმალი მკვლელობა.

ახლა ის ვთქვათ, რომელი ფაქტორები მეტყველებს კოლოსკოვის სასარგებლოდ და რომელი საწინააღმდეგოდ.

ერთადერთი, რასაც კოლოსკოვი წამდაუწუმ იმეორებს და თავის უდავო დამსახურებად თვლის, გახლავთ ის, რომ საფეხბურთო კავშირი მისი ხელმძღვანელობით რუსეთში გამეფებული საყოველთაო გაჭირვების პირობებში კვლავაც ახერხებს ეროვნული ჩემპიონატის ჩატარებას და ამ ჩემპიონატის დონე წლიდან წლამდე იზრდება. კოლოსკოვი არც იმას ივიწყებს, რომ რუსული კლუბები სულ უფრო და უფრო კარგად ასპარეზობენ საერთაშორისო სარბიელზე, ხოლო რაც შეხება ნაკრებს, კოლოსკოვის აზრით მისი წარუმატებლობა ტრაგედია არ არის და არ ღირს უსაშველოდ გლოვა. რაც შეეხება უარყოფითს, ამაზე საუბარს რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი თავს არიდებს, მაგრამ სამაგიეროდ, მისი ოპონენტები გაცილებით ენაწყლიანნი არიან. სალაპარაკო და გასაკრიტიკებელი მართლაც საკმარისზე მეტია.

კოლოსკოვი ითვისებს სახელმწიფოს მიერ ფეხბურთის განვითარებისთვის გამოყოფილ ვეებერთელა ნაწილს და საკუთარი შეხედულებისამებრ განაგებს მას. ის არად დაგიდევთ სპეციალისტთა აზრსა და რეკომენდაციებს, ყველაფერს ერთპიროვნულად წყვეტს და დაღუპვისკენ მიჰყავს რუსული ფეხბურთი. კოლოსკოვი ყოველმხრივ უწყობს ხელს რუსეთის შიდა ჩემპიონატში გამეფებულ მექრთამეობას, რადგან საბოლოო ჯამში ის მის წისქვილზე ასხამს წყალს — ამდიდრებს. კოლოსკოვს მჭიდრო ურთიერთობა აქვს საკმაოდ გავლენიან კრიმინალურ წრეებთან. კოლოსკოვი ბოროტად იყენებს თანამდებობას და ხშირად თავად ადგენს, რომელმა გუნდმა უნდა გაიმარჯვოს რუსეთის ჩემპიონატის ამა თუ იმ მატჩში, რა შემადგენლობით ან ტაქტიკური სქემით უნდა ითამაშოს ეროვნულმა ნაკრებმა და ასე შემდეგ. ამ ბრალდებათა სიის გაგრძელებაც შეიძლება, თუმცა რაც ჩამოვთვალე ნათლად ხატავს საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტის სახეს და იმ პრობლემებსა თუ წინააღმდეგობებს, რომელთა გადაჭრაც საკმაოდ ძლიერ კონკურენტებთან ბრძოლაში მას უეჭველად მოუწევს.

კავშირის პრეზიდენტობის პრეტენდენტთაგან გამარჯვების ყველაზე რეალურ კანდიდატი რუსეთის პროფესიული საფეხბურთო ლიგისა და მოსკოვის „დინამოს" პრეზიდენტი, ნიკოლაი ტოლსტიხია. ტოლსტიხი საფეხბურთო წრეებში ცნობილი პიროვნებაა და მისი კოლოსკოვთან დაპირისპირება ერთი ან ორი დღის დაწყებული არ არის. უფრო ზუსტი ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ მაშინ, როდესაც ვიაჩესლავ კოლოსკოვს ოპოზიცია პრაქტიკულად არ ჰყავდა, მის წინააღმდეგ სწორედ ტოლსტიხი და ანზორ კავაზაშვილი გამოდიოდნენ.

გამარჯვების კარგი შანსები აქვთ საბჭოთა ფეხბურთის ორ თვალსაჩინო წარმომადგენელს: ანზორ კავაზაშვილს და ვიქტორ პონედელნიკს, მეტადრე პირველს, რადგან შესაბამის წრეებში მას გაცილებით დიდი გავლენა აქვს.

წარმატებას იმედოვნებს ყალმუხეთის და ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი კირსან ილიუმჟინოვიც. იგი აცხადებს, რომ მისი არჩევის შემთხვევაში რუსული ფეხბურთი ძალიან სწრაფად აყვავდება. მაგრამ ალბათ ყველას ახსოვს უწინდელი სენსაციური განცხადებებიც, რომელთა თანახმად ელისტის „ურალანში" მარადონასა და ჯორკაეფს უნდა ეთამაშათ, ხოლო მწვრთნელად ილიუმჟინოვი ვინმეს კი არა, თავად იოჰან კრუიფს იწვევდა.

დანარჩენი სამი კანდიდატი: გორლოვი, ეფრემოვი და პოდგორნოვი არც ისე ძლიერნი გახლავან და საეჭვოა, რომ რამე გააწყონ გავლენიან მეტოქეებთან ბრძოლაში.

და მაინც, ნებისმიერ შემთხვევაში საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტობის კანდიდატები ერთ საქმეს ემსახურებიან: ვიაჩესლავ კოლოსკოვის რუსული ფეხბურთიდან წასვლას. სხვათა შორის, არც ის არის გამორიცხული, რომ რომელიმე მათგანმა პრეზიდენტობის სხვა მაძიებლის სასარგებლოდ მოხსნას თავისი კანდიდატურა. ამ შვიდეულის ერთგვარ გამაერთიანებელ ძალად, როგორც უკვე მოგახსენეთ, ევგენი ლოვჩევი შეიძლება ჩაითვალოს. რუსეთის საზოგადოებრივ ტელევიზიაში ყოფნისას პირადად მომიწია ლოვჩევთან შეხვედრამ და მცირე ხნით ვესაუბრე კიდეც:

— ვიაჩესლავ კოლოსკოვის თანამდებობაზე დარჩენა ყოვლად გაუმართლებელია. ვფიქრობ, რომ ეს გამორიცხულია[...] ეს კაცი ნამდვილი მონსტრი, ნამდვილ[...] რვაფეხაა, რომელმაც შებოჭა, დააკნინა, [...] აჩანაკა რუსული ფეხბურთი და ახლა [...] კლავს. თავად განსაჯეთ, სად არის იმდენ[...] სიბინძურე, როგორც ჩვენთან. სად არის [...]დენი, არ შემეშინდება ამ სიტყვის, ყა[...]ლობა, ძარცვა და უკანონობა. მე შემიძლ[...] წარმოგიდგინოთ ბოლო სამი წლის გან[...]ვლობაში გამართული იმ თამაშების ნ[...]სხა, რომლებშიც გამარჯვებული წინასწა[...] იყო ცნობილი და ამის შესახებ კოლო[...]კოვმა მშვენივრად უწყოდა. მეტიც, ხშ[...]რად პირადად ღებულობდა გადაწყვეტ[...]ლებებს ამა თუ იმ მხარის სასარგებლო[...]

პირდაპირ ვაცხადებ, რომ კოლოს[...]ვის მხოლოდ თანამდებობიდან გათავ[...] სუფლება ცოტაა. ის ნამდვილი ბორო[...] მოქმედია და უნდა გასამართლდეს.

**— მთავრობის უმაღლესი ეშ[...]ლონები თუ უჭერენ კოლოსკო[...]ვს მხარს?**

— მიჭირს ზუსტად თქმა. თუმცა ხ[...] ხედავთ, ამასწინათ ეროვნული ნაკრებ[...] კანდიდატი არასაფეხბურთო, მაღა[...] წრეებმა შეარჩიეს. როგორც ჩანს, ი[...] ყელში ამოუვიდათ თავნებობა. კოლ[...]კოვი ჩვენი ფეხბურთის საზიანოდ მდ[...]რდება. ამის მოთმენა აღარ შეიძლება.

მაშ ასე, რუსულ ფეხბურთში დიდი [...]ტაკლიზმებია მოსალოდნელი, რაც 8 დ[...]კემბერთან, რუსეთის საფეხბურთო კ[...]შირის კონფერენციასთან არის დაკავ[...]რებული. ახალ პრეზიდენტს თუ აირჩ[...] რუსულ ფეხბურთში ახალი ერა დაიწ[...]ბა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი [...]ვის, ამას უახლოეს მომავალში შე[...]ტყობთ. 8 დეკემბრამდე ხომ სულ ც[...] დრო დარჩა.

**იური ციბანიოვი** მოსკოვ[...]

საინფორმაციო-ანალიტიკ[...] ბიურო „ბ[...]

საგანგებოდ „სარბიელისთ[...]

31. **ინგა ბელქანია.** ნალენჯიხა. მასწავლებელი. 24 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. მიხეილ იაკუშინი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. სლავა მეტრეველი, 3. მიხეილ მესხი, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. ალექსანდრე ჩივაძე
გუნდი: ანზორ კავაზაშვილი, თამაზ კოსტავა, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გიორგი სიჭინავა, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, თენგიზ სულაქველიძე, მიხეილ მესხი, დავით ყიფიანი, ბორის პაიჭაძე

32. **ვალერი შალამბერიძე.** ქუთაისი. ინჟინერ-ტექნოლოგი. 57 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. უშანგი სალდაძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: ანზორ კავაზაშვილი, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, გიორგი სიჭინვა, დავით ყიფიანი, ავთანდილ ღოღობერიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

33. **ოთარ ლაშხი.** ზესტაფონი. ექიმი. 44 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. რევაზ ძოძუაშვილი, 3. ნოდარ ახალკაცი
ფეხბურთელი: 1. მანუჩარ მაჩაიძე, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. მიხეილ მესხი, 4. დავით ყიფიანი, 5. ბორის პაიჭაძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, თენგიზ სულაქველიძე, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, რევაზ ძოძუაშვილი, შოთა იამანიძე, ავთანდილ ღოღობერიძე, მანუჩარ მაჩაიძე, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

34. **კოკა ლაშხი.** ზესტაფონი. სტუდენტი. 18 წლის. მწვრთნელი: 1. რევაზ ძოძუაშვილი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ნოდარ ახალკაცი
ფეხბურთელი: 1. ავთანდილ ღოღობერიძე, 2. მანუჩარ მაჩაიძე, 3. სლავა მეტრეველი, 4. დავით ყიფიანი, 5. მიხეილ მესხი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, ვიტალი დარასელია, ავთანდილ ღოღობერიძე, მანუჩარ მაჩაიძე, გიორგი სიჭინავა, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

35. **მამუკა კვარაცხელია.** ნალენჯიხა. ფეხბურთელი. 25 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. გიორგი ქინქლაძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, გიორგი ქინქლაძე, მანუჩარ მაჩაიძე, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი, ვლადიმერ გუცაევი

36. **გივი თვაური.** თბილისი. ექიმი. 70 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. მიხეილ იაკუშინი, 3. ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. დავით ყიფიანი, 5. ვლადიმერ გუცაევი
გუნდი: ვლადიმერ მარღანია, რევაზ ძოძუაშვილი, გივი ჩოხელი, მურთაზ ხურცილავა, ჯემალ ზეინკლიშვილი, ვიტალი დარასელია, შოთა იამანიძე, მანუჩარ მაჩაიძე, ვლადიმერ გუცაევი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

37. **ალეკო ჯაბუა.** თბილისი. ეკონომისტი. 22 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. დავით ყიფიანი, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, დავით ყიფიანი, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი

**დალი გულაია.** თბილისი. პედაგოგი. 46 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. დავით ყიფიანი, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, შოთა იამანიძე, დავით ყიფიანი, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი

**მამია ჯაბუა.** თბილისი. ინჟინერ-მშენებელი. 62 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. დავით ყიფიანი, 4. სლავა მეტრეველი, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, ავთანდილ ღოღობერიძე, დავით ყიფიანი, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი

**გოჩა ჩიხლაძე.** თბილისი. ინჟინერი. 43 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. გავრილ კაჩალინი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მურთაზ ხურცილავა, 3. მიხეილ მესხი, 4. მანუჩარ მაჩაიძე, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გურამ ცხოვრებოვი, გიორგი სიჭინავა, მანუჩარ მაჩაიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**კახა კაჯირაშვილი.** თბილისი. ფილოლოგი. 29 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. დავით ყიფიანი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. დავით ყიფიანი, 3. ალექსანდრე ჩივაძე, 4. ავთანდილ ღოღობერიძე, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, მანუჩარ მაჩაიძე, მიხეილ მესხი, ვიტალი დარასელია, შოთა იამანიძე, სლავა მეტრეველი, ვლადიმერ გუცაევი, დავით ყიფიანი, რამაზ შენგელია

**გელბათ ნიფურია.** თბილისი. ინჟინერი. 35 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. დავით ყიფიანი, 2. მანუჩარ მაჩაიძე, 3. მურთაზ ხურცილავა, 4. მიხეილ მესხი, 5. ალექსანდრე ჩივაძე
გუნდი: ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, თამაზ კოსტავა, შოთა იამანიძე, მანუჩარ მაჩაიძე, ვიტალი დარასელია, ვლადიმერ გუცაევი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**ზურაბ კაჯირაშვილი.** თბილისი. ინჟინერი. 34 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. გავრილ კაჩალინი, 3. ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი: 1. მანუჩარ მაჩაიძე, 2. ბორის პაიჭაძე,. 3. დავით ყიფიანი, 4. რამაზ შენგელია, 5. ავთანდილ ღოღობერიძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, ავთანდილ ღოღობერიძე, მანუჩარ მაჩაიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**გივი გიორგაძე.** თბილისი. ეკონომისტი. 60 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. გავრილ კაჩალინი, 3. მიხეილ იაკუშინი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. მიხეილ მესხი, 4. სლავა მეტრეველი, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, შოთა იამანიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**ნუგზარ სამხარაძე.** თბილისი. პედაგოგი. 62 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. თემურ მახარაძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. ავთანდილ ღოღობერიძე, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ავთანდილ ღოღობერიძე, შოთა იამანიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, რამაზ შენგელია, მიხეილ მესხი

**დავით ტუღუში.** რუსთავი. ქიმიკოსი. 34 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. დავით ყიფიანი, 3. მიხეილ მესხი, 4. სლავა მეტრეველი, 5. ალექსანდრე ჩივაძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, გივი ჩოხელი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, შოთა ხინჩაგაშვილი, დავით ყიფიანი, მანუჩარ მაჩაიძე, ავთანდილ ღოღობერიძე, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი

**გიორგი ტუღუში.** რუსთავი. პენსიონერი. 67 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ანატოლი ნორაკიძე, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. ავთანდილ ღოღობერიძე, 5. მანუჩარ მაჩაიძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, შოთა ხინჩაგაშვილი, შოთა იამანიძე, მანუჩარ მაჩაიძე, ავთანდილ ღოღობერიძე, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი

**...ია ქოჩაძე.** თბილისი. მოსწავლე. 16 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. გავრილ კაჩალინი, 3. თემურ მახარაძე
ფეხბურთელი: 1. ვლადიმერ ბარქაია, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. ბორის პაიჭაძე, 4. შოთა იამანიძე, 5. მიხეილ მესხი
გუნდი: ნიკა ჩხეიძე, შოთა ხინჩაგაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, ნოდარ ხიზანიშვილი, ფირუზ კანთელაძე, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, ...არევიშვილი, გიორგი დარასელია, ვლადიმერ გუცაევი, ავთანდილ ღოღობერიძე

**...იდა ლომიძე.** ხაშური. სტუდენტი. 21 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. გავრილ კაჩალინი
ფეხბურთელი: 1. დავით ყიფიანი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. ზაურ კალოევი, 4. მიხეილ მესხი, 5. შოთა იამანიძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, გელა კეტაშვილი, ვლადიმერ ელოშვილი, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, კახი გოგიჩაიშვილი, გიორგი ნემსაძე, ...ა იამანიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, თენგიზ სულაქველიძე

**...ნა დოლიაშვილი.** თბილისი. მხატვარი. 19 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. რევაზ ძოძუაშვილი, 3. თემურ მახარაძე
ფეხბურთელი: 1. შოთა იამანიძე, 2. ბორის პაიჭაძე, 3. ავთანდილ ღოღობერიძე, 4. მიხეილ მესხი, 5. სლავა მეტრეველი
გუნდი: ნიკოლოზ ტოგონიძე, ვახტანგ ჭელიძე, შოთა ხინჩაგაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, გოჩა ტყებუჩავა, გიორგი ნემსაძე, თენგიზ სულა...იძე, მანუჩარ მაჩაიძე, ვლადიმერ ბარქაია, ავთანდილ ღოღობერიძე, შოთა იამანიძე

**...ია ნიტიშვილი.** თბილისი. სტუდენტი. 19 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. რევაზ ძოძუაშვილი, 3. დავით ყიფიანი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. შოთა იამანიძე, 3. ბორის პაიჭაძე, 4. სლავა მეტრეველი, 5. დავით გვარამაძე
გუნდი: დავით გვარამაძე, შოთა ხინჩაგაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ შელია, ზაზა რევიშვილი, ვიტალი დარასელია, გელა ინალიშვილი, ...თ მუჯირი, შოთა იამანიძე, დავით ყიფიანი, ავთანდილ ღოღობერიძე

**...ელა ზედგენიძე.** თბილისი. სტუდენტი. 18 წლის. მწვრთნელი: 1. ანატოლი ნორაკიძე, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი: 1. რამაზ შენგელია, 2. ზაზა რევიშვილი, 3. მიხეილ მესხი, 4. ბორის პაიჭაძე, 5. შოთა იამანიძე
გუნდი: აკაკი დევაძე, გელა კეტაშვილი, კახი კალაძე, გელა შეყილაძე, გიორგი ნემსაძე, მანუჩარ მაჩაიძე, ლევან კობიაშვილი, თენგიზ სულაქ...ძე, დავით მუჯირი, ავთანდილ ღოღობერიძე, მიხეილ მესხი

**...უნა ბიტარიშვილი.** თბილისი. მოსწავლე. 15 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. თემურ მახარაძე, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. შოთა იამანიძე, 2. ალექსანდრე ჩივაძე, 3. დავით მუჯირი, 4. მიხეილ მესხი, 5. მამუკა ფანცულაია
გუნდი: დავით გვარამაძე, გელა კეტაშვილი, ვახტანგ ჭელიძე, გელა შეყილაძე, ზაზა რევიშვილი, გიორგი სიჭინავა, ვიტალი დარასელია, მამუკა ...ულაია, გიორგი დარასელია, დავით მუჯირი, მიხეილ ყაველაშვილი

**...ალ ქოჩაძე.** თბილისი. პედაგოგი. 57 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. რევაზ ძოძუაშვილი, 3. ვლადიმერ გუცაევი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. მანუჩარ მაჩაიძე, 4. ავთანდილ ღოღობერიძე, 5. სლავა მეტრეველი
გუნდი: დავით გოგია, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, შოთა ხინჩაგაშვილი, გოჩა მაჩაიძე, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, ...იზ სულაქველიძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი, ავთანდილ ღოღობერიძე

**...იონი ვეფხვაძე.** თბილისი. სტუდენტი. 20 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. რევაზ ძოძუაშვილი, 3. თემურ მახარაძე
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. ბორის პაიჭაძე, 4. შოთა იამანიძე, 5. ზაურ კალოევი
გუნდი: ასლან ბალაძე, მალხაზ მახარაძე, ნოდარ ხიზანიშვილი, გელა შეყილაძე, ფირუზ კანთელაძე, გივი ჩოხელი, გიორგი ნემსაძე, ვიტალი ...ელია, გიორგი დარასელია, ვლადიმერ ბარქაია, ავთანდილ ღოღობერიძე

**...ია მჭედლიძე.** ხაშური. სტუდენტი. 19 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. შოთა იამანიძე, 2. მიხეილ მესხი, 3. ვლადიმერ ბარქაია, 4. ვლადიმერ გუცაევი, 5. ზაზა რევიშვილი
გუნდი: დავით გოგია, თამაზ კოსტავა, ნოდარ ხიზანიშვილი, გიორგი ნემსაძე, ვახტანგ ქორიძე, ზაურ სვანაძე, ვიტალი დარასელია, შოთა ...იძე, გია ჯიშკარიანი, ვლადიმერ ბარქაია, მიხეილ მესხი

**...ბა კვინიკაძე.** თბილისი. მოსწავლე. 13 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. თემურ მახარაძე, 3. ჯონი ჯანელიძე
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. დავით მუჯირი, 3. ავთანდილ ღოღობერიძე, 4. სლავა მეტრეველი, 5. ბორის პაიჭაძე
გუნდი: ნიკა ჩხეიძე, კახი კალაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ შელია, შოთა იამანიძე, ლევან კობიაშვილი, გიორგი ნემსაძე, გოჩა ჯამარაული, ...მერ გუცაევი, რევაზ ჩელებაძე, მიხეილ მესხი

**...ი ახალკაცი.** თბილისი. მოსწავლე. 12 წლის. მწვრთნელი: 1. ვლადიმერ გუცაევი, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. ვიტალი დარასელია, 3. გელა კეტაშვილი, 4. ბორის პაიჭაძე, 5. ვლადიმერ გუცაევი
გუნდი: დავით გვარამაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, ზაზა რევიშვილი, ლევან კობიაშვილი, ფირუზ კანთელაძე, ვიტალი დარა...ა, თემურ ქეცბაია, ზაზა ჯანაშია, რამაზ შენგელია, თენგიზ სულაქველიძე

**...ა ბარიხაშვილი.** საგარეჯო. სტუდენტი. 21 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. სლავა მეტრეველი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. დავით ყიფიანი, 4. ვიტალი დარასელია, 5. მიხეილ მესხი
გუნდი: ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, ვიტალი დარასელია, გივი ჩოხელი, მანუჩარ მაჩაიძე, ...ა პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**...ურიკო გათენაშვილი.** თბილისი; მოსწავლე. 13 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. თემურ მახარაძე, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. სლავა მეტრეველი, 3. ვიტალი დარასელია, 4. მიხეილ მესხი, 5. მანუჩარ მაჩაიძე
გუნდი: აკაკი დევაძე, კახი კალაძე, ალექსანდრე ჩივაძე, ლევან სილაგაძე, ზაზა რევიშვილი, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, შოთა ...იძე, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

# საქართველოს ყველა დროის საუკეთესო

## ფეხბურთელი, მწვრთნელი, სიმბოლური ნაკრები

# სარბიელის მკითხველთა აზრით

ჩვენში ფეხბურთს გასული საუკუნის მიწურულიდან ანუ აგერ უკვე ერთი საუკუნეა თამაშობენ. ამ ხნის მანძილზე ბევრ დიდოსტატს უგორებია ტყავის ბურთი ფოთსა და თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში, სოხუმსა და ლანჩხუთში, ზუგდიდსა და გორში... ქართულ ფეხბურთს ბევრი ვარსკვლავი ჰყოლია.

„სარბიელის" გამოკითხვის მიზანია, ყველა თაობის გულშემატკივართა აზრთა შეჯამების საფუძველზე საახალწლოდ ქართულ ფეხბურთში რჩეულთაგან გამორჩეულები გამოავლინოს!

„სარბიელის" გამოკითხვაში ნებისმიერ მსურველს შეუძლია მონაწილეობა. ამისთვის უნდა შეავსოთ და გაზეთიდან ამოჭრილი ანკეტები (ან „სარბიელში" მოცემული ანკეტის ანალოგიურად შევსებული ჩვეულებრივი თეთრი ფურცელი: რვეულის, თაბახისა...) საფოსტო კონვერტში ჩადებული გამოგვიგზავნოთ რედაქციაში. გთხოვთ, ანკეტის შევსებისას მიუთითოთ სახელი, გვარი, სადაურობა (სად ცხოვრობთ), ასაკი, პროფესია. ყოველივე ეს „სარბიელში" დაიბეჭდება, თითოეულ მკითხველს საშუალება ექნება საკუთარი ვერსიაც იხილოს გაზეთში და საერთო სურათსაც უშუალოდ ადევნოს თვალი.

საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად უნდა დასახელდეს ხუთი კანდიდატი, რომელთაც ადგილების მიხედვით შესაბამისად 5, 4, 3, 2 და 1 ქულა დაერიცხებათ. საუკეთესო ქულების საერთო ჯამით გამოვლინდება.

იგივე პრინციპით დასახელდება № 1 მწვრთნელიც. მაგრამ ამ შემთხვევაში გამოკითხვის თითოეული მონაწილე მხოლოდ სამ კანდიდატს ასახელებს (ქულებიც შესაბამისად 3, 2 და 1 იქნება).

ნაკრების შესადგენად კი ყველა ანკეტაში 11 ფეხბურთელი უნდა დასახელდეს 1+4+3+3 პირობითი სქემით. სიმბოლური გუნდის საბოლოო ვარიანტი ფეხბურთელთა მიერ მიღებული ხმების რაოდენობით განისაზღვრება.

**„სარბიელის" რედაქციის მისამართი: თბილისი 77, ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.**

**საფოსტო მისამართი: თბილისი 79, საფოსტო ყუთი 208.**

✂ - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -

**საქართველოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი**

1 ______
2 ______
3 ______
4 ______
5 ______

**საქართველოს ყველა დროის საუკეთესო მწვრთნელი**

1 ______
2 ______
3 ______

**საქართველოს ყველა დროის სიმბოლური ნაკრები**

1 ______
2 ______
3 ______
4 ______
5 ______
6 ______
7 ______
8 ______
9 ______
10 ______
11 ______

სახელი – – – – – –
გვარი – – – – – –
ასაკი – – – – – –
პროფესია – – – – – –
მისამართი – – – – – –

EURO BASKET 99

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. E ჯგუფი

## თურქეთი — საქართველო

2 დეკემბერი. ბურსა. „ათათურქი". 17:30 საათი

# რამდენით მოგვიგებენ თურქები?

დღეს ბურსაში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩია. თურქეთი საქართველოს მასპინძლობს. ქართველთათვის ამ შეხვედრას არავითარი აზრი არა აქვს — მთლად ქვეყანა რომ დააქციონ, ჯგუფში ბოლო ადგილს მაინც ვერ აცდებიან. თურქები კი დღევანდელი მოგებით ცალი ფეხით საფრანგეთში ანუ ევრობასკეტ-99-ის ფინალურ ეტაპზე იქნება.

საქართველოს ნაკრები თურქეთს გუშინ გაემგზავრა. შვედეთთან საარაკოდ დამარცხებულ შემადგენლობაში ერთი ცვლილებაა — მამუკა აბრამიძეს სიცხემ აუწია და იგი ვასილ ოთიურიძემ შეცვალა. თურქეთში წავიდნენ შვედეთთან გაძევებულნიც — ჯაფარიძეს და ბერძენიშვილს დისკვალიფიკაცია არ მისცეს, რაც ჩვენი კალათბურთის მამათაგან მატჩის კომისრის, რუსი ებრაელის ლაზოვსკის შებმა-მოთაფვლას მიეწერება. ამრიგად, მოსეშვილის განკარგულებაში ეს მოთამაშეები არიან: ელენტი, მაისურაძე, გაგნიძე, ჩხეიძე, ბოისა, ვახტანგ და რევაზ (გიგი) ნაცვლიშვილები, ჯაფარიძე, ბერძენიშვილი, ოთიურიძე.

გულზე ხელი დავიდოთ და ვაღიაროთ, რომ ახლა იმასღა ვმარჩიელობთ, რამდენი ქულით მოიგებენ თურქები. არადა, ზუსტად ერთი წლის წინათ ამ გუნდს თბილისში ვუმასპინძლეთ და თანაბარ, დაძაბულ ბრძოლაში სამი ქულით, 73:76 დავმარცხდით. მას მერე ქართველთა საქმე სულ დაღმა-დაღმა მიდის, თურქებისა კი — აღმა. ამ ქვეყანამ იმდენი მოახერხა, რომ წლევანდელ ევროთასებზე ერთბაშად ცხრა გუნდით ასპარეზობს, ხოლო ყველაზე პრესტიჟულ გათამაშებაში, ევროლიგაში სამი თურქული კლუბი გამოდის და დიდი წარმატებითაც.

წლეულს ზაფხულში თურქულ კალათბურთში (ქართულის დარად) ისტორიული ამბავი მოხდა: „ეფესის" ფორვარდი მირსად თურქჯანი შეიქნა პირველი თურქი, რომელმაც ნბა-ში ამოჰყო თავი. იგი „ჰიუსტონ როკიტსმა" ამოირჩია დრაფტის მე-18 ნომრად. ლოკაუტის გამო თურქჯანი სამშობლოში ვარჯიშობს და ნაკრებს ეხმარება, თუმცა ალბათ მალე მოუწევს ჰაკიმ ოლაჯუონის და ჩარლზ ბარკლის მხარდამხარ ბურთაობა. თურქჯანმა შარშან თბილისშიც ითამაშა, მაგრამ მაშინდელთან შედარებით გაცილებით გაძლიერებულა და იმდენიც მოახერხა, რომ ამერიკელ კალმოსნებს „თურქი ტონი კუკოჩის" მეტსახელიც გამოსტყუა.

ნაკრების ახალწვეულთაგან გამოირჩევა 19 წლის ჰიდაიეთ თურქოღლუ, „ეფესის" უნიკალური მოთამაშე, რომელსაც თანაბარი სიძლიერით შეუძლია ოთხ ამპლუაში თამაში (ცენტრის გარდა). კარგია მისი კბილა ქერემ თუნჩერიც — „გალათასარაის" საუცხოო სნაიპერი.

ჰუსეინ ბესოქი. აი, ვინ დაიპყრობს ხვალინდელ მატჩში ფარს. ამ კაცს ამის გაკეთება შეუძლია — ლატვიასთან წინა ტურის მატჩში ნბა-ურ შედეგს — 24 მოხსნას მიაღწია.

დანარჩენები კი თურქეთის ნაკრებს იგივე ჰყავს. ორჰუნ ენე, ჰარუნ ერდენაი, უფუკ სარიჯა... ესენი წლევანდელ ევროთასებზე გამოირჩევიან, იქნებ ბოდიროგები, დანილოვიჩები და მათებრნი არ არიან, მაგრამ დღევანდელ საქართველოს ნაკრებს რომ სავსებით ეყოფიან, ისიც უეჭველია.

თუმცა, თურქთა მწვრთნელმა ერმან ქუნთერმა გუშინ ცალყბად ჩაილაპარაკა, მაინც მოვიგებთ და იქნებ ახალგაზრდები გამოვცადოთო... საბოლოო გადაწყვეტილების გამოცხადებაზე მწვრთნელი ჯერჯერობით ყოყმანობს.

**ბაჩა ხურციძე**



1997 წლის 3 დეკემბერი. საქართველო — თურქეთი. შინ სამი ქულით დავმარცხდით, დღეს ბურსაში უარესი გველის

### თურქეთის ნაკრები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ორჰუნ ენე | უკანა ხაზი | 1967 | 188 | გალათასარაი |
| ჰარუნ ერდენაი | უკანა ხაზი | 1968 | 189 | ულქერი |
| ჰიდაიეთ თურქოღლუ | უკანა ხაზი | 1979 | 202 | ეფესი |
| ქერემ თუნჩერი | უკანა ხაზი | 1979 | 191 | გალათასარაი |
| ორჰან გიულერი | უკანა ხაზი | 1977 | 190 | დარუშაფაკა |
| იბრაჰიმ ქუთლუაი | ფორვარდი | 1974 | 199 | ფენერბაჰჩე |
| მირსად თურქჯანი | ფორვარდი | 1976 | 206 | ჰიუსტონ როკიტსი, აშშ |
| უფუკ სარიჯა | ფორვარდი | 1973 | 194 | ეფესი |
| ჰალუკ ილდირიმი | ფორვარდი | 1972 | 200 | ულქერი |
| ჰუსეინ ბესოქი | ცენტრი | 1975 | 212 | ეფესი |
| თამერ ოიგუჯი | ცენტრი | 1966 | 210 | ბეშიქთაში |
| ნედიმ დალი | ცენტრი | 1975 | 213 | ეფესი |



# ყინული დაიქრა

## მოციგურავენი მოგვიმრავლდნენ

ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში გამართულ იუნიორ ფიგურულად მოსრიალეთა მსოფლიოს პირველობაზე თბილისელმა ვახტანგ მურვანიძემ რომ მეხუთე ადგილი დაიკავა, უკვე გაცნობეთ. ქართულ საციგურაო სკოლას 1983 წლის შემდეგ ამგვარი წარმატებისთვის არ მიუღწევია.

მურვანიძესთან ერთად ზაგრებში გახლდათ თბილისის საციგურაო სკოლის დირექტორი ირაკლი ჯაფარიძე, რომელსაც დაბრუნებისთანავე გავესაუბრეთ.

— ვაჟთა შეჯიბრში 13 ფიგურისტი მონაწილეობდა. ისინი წესისამებრ ორ ჯგუფად დაყვეს. მურვანიძე თავის ჯგუფში მე-3 იყო და ნახევარფინალში გავიდა. აქ მოკლე სავალდებულო პროგრამაში მე-5 ადგილი დაიკავა და ორი დღის ჯამშიც მეხუთე იყო. ნახევარფინალში ვახტანგმა შეასრულა ერთ-ერთი ურთულესი — სამნახევარი ბრუნი, რომელსაც მსოფლიოში დიდებშიც კი სულ რამდენიმე კაცი აკეთებს. თანაც, ეს შეძლო კომბინაციაში ორმაგ ტულუპთან (ვარჯიშის სახელია) ერთად!

მურვანიძე 24 ფინალისტს შორის მოხვდა, სადაც თავისუფალი ანუ საკუთარი სურვილით შერჩეული პროგრამით ასპარეზობდნენ. მან აქაც ურთულესი პროგრამა აირჩია — კვლავ იგივე სამნახევარი ბრუნი შეასრულა. ფინალშიც მეხუთე შედეგი ჰქონდა და საბოლოოდ სატურნირო ცხრილში იგივე საფეხურზე დამკვიდრდა.

მანამდე მეათე ადგილის დაკავებაზე ვოცნებობდითო — გვითხრა ირაკლი ჯაფარიძემ და ისიც დაამატა, რომ სპეციალისტებს გამარჯვებულ ილია კლიმკინთან ერთად ყველაზე მეტად ჩვენებურის გამოსვლა უქიათ, როგორც მხატვრულობისა და სპორტულობის საუკეთესო ნაზავი.

ვახტანგ მურვანიძემ პირველად 5 წლისამ შედგა ფეხი ციგურებზე ლეილა დოლიძის ხელმძღვანელობით. თბილისის საციგურაო სკოლის სპეციალისტებმა მას თავიდანვე შეამჩნიეს ნიჭი და რაკი მისი გაფურჩქვნისთვის საჭირო პირობებს თბილისში ვერ ხედავდნენ, სხვათა მსგავსად მასაც თერგის წყალი დაალევინეს — მოსკოვში გადაიყვანეს მწვრთნელ იგორ რუსაკოვთან (კლიმკინიც მისი შეგირდია). დღემდე მის საუკეთესო შედეგებად 1996 წლის ევროპის დიდების ჩემპიონატში დაკავებული მე-20 ადგილი და შარშან ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ დღეებზე მოპოვებული ვერცხლის მედალი ითვლებოდა.

აღსანიშნავია, რომ ზაგრებში ვახტანგმა უკან ჩამოიტოვა ისეთი აღიარებული საციგურაო სკოლების წარმომადგენლები, როგორებიცაა: კანადა, აშშ, რუსეთი, საფრანგეთი, გერმანია და სხვები. ამ წარმატებისთვის მან საჩვენებელ გამოსვლებში მონაწილეობის უფლებაც მოიპოვა.

სულ მალე, იანვრის ბოლოს, მურვანიძეს პრაღაში ევროპის ჩემპიონატი ელის დიდებში, ხოლო მარტის შუა რიცხვებში ჰელსინკში მსოფლიოს ჩემპიონატში იასპარეზებს.

საბედნიეროდ, გაისად საერთაშორისო ყინული ქართველ ფიგურისტთაგან მხოლოდ მურვანიძეს როდი ელის. ქალთა ევროპისა და მსოფლიოს პირველობებ[ზე] ჩვენი ქვეყნის ღირსებას მარინა ჯაიან[ის] აღზრდილი, საქართველოს ჩემპიონი თევან ჩიგოგიძე დაიცავს. იუნიორთა მს[ო]ფლიოს ჩემპიონატზე წყვილთა შორის ... ლარუს ტატიანა სევიანერთან ერთად ... რნიკე ტუკვაძე (მწვრთნელი თამრიკო ... ქია) იასპარეზებს, რომელიც სულ ახლ[ა]ხან გადავიდა მოსკოვში, სადაც სვეტ[ლა]ნა ალექსეევა ავარჯიშებს, ხოლო ევრ[ო]პის ახალგაზრდულ ოლიმპიურ დღეებ[ზე] გიული თავაძის შეგირდი ნათია ბაქრ[აძე] გამოვა.

ხსენებულ ტურნირებში მათი მონაწ[ი]ლეობა უეჭველია. ყოველ შემთხვევა[ში] უფულობა ნამდვილად არ ემუქრებათ, ... დგან საქართველოს ფიგურული სრიალ[ის] ფედერაციის მუშაობას მთლიანად სა[ერ]თაშორისო ფედერაცია აფინანსებს. ს... რედ ამით გახდა შესაძლებელი მურვა[ნი]ძის ხორვატიაში წასვლაც და მისი მ... დების პროგრამაში შემავალი ბულგა[რე]თისა და უნგრეთის დიდ ტურნირებ[ში] მონაწილეობაც, რომლებშიც ვახტანგმა საბამისად მე-7 და მე-6 ადგილები დაიკ[ავა].

აქვე ერთიც გვინდა აღვნიშნოთ — თ[ბი]ლისის საციგურაო სკოლის გვერდით ... ბარე მშენებარე სახლს შეეწირა ყინუ[ლის] საფარისთვის აუცილებელი კომუნიკ[აცი]ები, რის გამოც სკოლის დარბაზში ვ[არ]ჯიში ორი თვით შეჩერდა. არადა, ... ხომ ყოველდღე 400 მოზარდი ეუფლ[ება] ხელოვნებასთან წილნაყარ სპორტის ... ულამაზეს სახეობას. ბატონმა ირაკლი [ჯა]ფარიძემ უმალვე მიმართა დახმარებისთ[ვის] ქალაქის მერიასა და სპორტის სახე[ლმ]წიფო დეპარტამენტს. როცა მათგან ... დითი დახმარება ვერ მიიღო, თვითონ ... დგინა სამართლიანობა.

**ირაკლი თავ...**



ირაკლი ჯაფარიძე



# ფორმულა 1 შტატებში ბრუნდება





ფორმულა 1-ის პირველობას ფორმალურად მსოფლიოს ჩემპიონატი კი ეწოდება, მაგრამ თუ დანარჩენი სამყარო გაფაციცებით ადევნებს თვალყურს თითოეული სეზონის პერიპეტიებს და თავიანთი კერპების — შუმის, ჰაკინენის, ვილნევის და სხვათა კინკლაობისა და პირადი ცხოვრების შესახებ ცნობებსაც დიდი ინტერესით ნთქავს, ამერიკა უკვე კარგა ხანია, გულგრილი რჩება ამ ყველაზე მოტორიზებული სპექტაკლის მიმართ.

დღესდღეობით კონტინენტზე ფორმულა 1-ის ერთადერთი ეტაპი — კანადის გრან პრი იმართება ტორონტოში, აშშ-ს კი დიდი პრიზისთვის 1991 წლიდან მოყოლებული არ უმასპინძლია. ეს არც არის გასაკვირი: შტატებში პატივს წრიულ რბოლებს სცემენ და „კარტი", „ნასკარი" და „ინდი" უფრო პოპულარულია, შუმახერზე, სენასა თუ პროსტზე მეტად კი ელ ანსერს, ანდრეტების კლანს თუ ბრაზილიელი ლიეგიონერების მთელ კოჰორტას იცნობენ.

თუმცა 2000 წლიდან ეს ყველაფერი შეიძლება შეიცვალოს კიდეც. საყოველთაოდ ცნობილი რბოლის, ინდი 500-ის მასპინძელი „ინდიანაპოლის მოტორ სპიდვეი" ამ დროისთვის ფორმულა 1-ის ერთ-ერთი ეტაპის ჩატარებაზე აცხადებს პრეტენზიას. იმს-ის პრეზიდენტი ტონი ჯორჯი, როგორც ამბობენ, ამჟამად ფორმულა 1-ის ბოს ბერნი ეკლსტოუნთან აწარმოებს მოლაპარაკებას და თუ ყველაფერი კარგად ნარიმართა, სულ რამდენიმე დღეში შეთანხმების შესახებაც გამოცხადდება.

ინდიანაპოლისს საკმაოდ ძლიერი კონკურენტი ისევ შტატებში ჰყავს სან ფრანცისკოს სახით, თუმცა ფორმულა 1-ის მასშტაბების გაფართოების იდეით შეპყრობილი ეკლსტოუნი რომელ მათგანს აირჩევს, ძნელი სათქმელია. შეგახსენებთ, რომ ეკლსტოუნს უახლოეს მომავალში ჩინეთის დაპყრობაც აქვს გადაწყვეტილი.



REUTERS ედინბურგიდან



შოტლანდია — პორტუგალია. სკოტთა გარემარბ კენი ლოგანს ლელოს გატანაში როან ჰოფმანმა ხელი ვერ შეუშალა

RUGBY WORLD CUP 1999

მსოფლიოს თასის მესამე შესარჩევ ჯგუფში, რომელშიც შოტლანდია, პორტუგალია და ესპანეთი ეცილებიან ერთურთს უელსის საგზურებს, პირველი შეხვედრა გაიმართა. ედინბურგში შოტლანდია პორტუგალ[ი]ას დახვდა და 85:11 მოუგ[ო]. სკოტების მიერ ერთ დრო[ს] ქართველთა დამჩაგვრელ[ი] ბის დამარცხება არავის გაკვირვებია. შოტლანდიე[ლე]ლები ალბათ მეორე შეხვედრასაც მოიგებენ ... მსოფლიოს თასზეც ითამაშ[ებენ]. მეორე ფინალისტის ვინაო[ბა] დღეს პორტუგალია — ესპანეთის შეხვედრაში გაირკვევა. ამ მატჩის მომგები უელსში თამაშს გაინაღდებს, დამარცხებუ[ლი] კი, ქართველი მორაგბეები[ვით] ბრიტანეთს ჩასასვლელა[დ] საკმაოდ შორი გზის გავ[ლა] მოუწევს.

# ჰოკი, მეფენო, ჩაჩანაკნო

30 ნოემბერი

**...რეალი — ლოს ანჯელესი 3:1**

0:0 1:0 2:1

...კოივუ 26'17 (4); 2:0 სავაჟი 44' ... (6); 3:0 რუჩინსკი 45'16 (6); ... მიური 56'27 (10)

...ის ყველაზე ტიტულოვანი გუნდი ...ალი, ისევე როგორც მისი მეტოქე, ... სირთულეების წინაშე დგას — მისი ...ანი ჰოკეისტები ტრავმირებულები ... კანადელებს მეტწილად თავდასხ- ... ჰქონდათ პრობლემები, სტუმრებს ...კანა ხაზის ლიდერები აკლდათ. ...ეთა ქრონიკული ტრავმებიც კარგა ... ამბავია, ხოლო მცველი რობ ბლე- ...მწვრთნელთა თქმით, „მეფეთათვის“ ...კაპერებზე ძვირფასია. მართალია, მა- ...ძირითადი მეკარე სტეფან ფისე გა- ...ანმრთელდა, მაგრამ სწრაფი მონრეა- ...ების შეტევებისას მცველები გამუ- ...ით იჭრებოდნენ და მას რა უნდა ...ყო. მცველთა ერთ-ერთი შეცდომის ...ეგ ფისესთან პირისპირ დარჩენილმა ...ტინ რუჩინსკიმ საბოლოოდ გადაწყ- ... მატჩის ბედი. ბოლო ცხრა მატჩში ...მეფეთა“ მერვე მარცხია.

...რავმის შემდეგ ზედიზედ მეორედ გა- ...რჩა საკუ კოივუ, რომელმაც თავისი ... პოტენციალი ვერა და ვერ გამო- ...ინა.



ლოსანჯელესელმა ერიკ ლაკრუამ (29) მონრეალელი მარტინ რუჩინსკი ბორტთან მოიხელთა

REUTERS მონრეალელიდან

**დასრულდა** ცნობილი ჰოკეისტის ჯონ კალენის ნჰლ-ური ისტორია. სამი თვის წინ კეთილთვისებიანი სიმსივნისგან განკურნებულმა 34 წლის ცენტრფორვა- რდმა დიდ ჰოკეიში დაბრუნება სცადა, მაგრამ აგერ, პარასკევს, საბოლოოდ გა- ნაცხადა, დროა, ყინულს გამოვემშვიდო- ბოო.

შეგახსენებთ, რომ სეზონის წინ ყველა გააოცა ტამპის საწვრთნელ ბანაკში ფო- რვარდის გამოცხადებამ. გამოჯანმრთელე- ბული კალენი საგამოფენო მატჩებში საკ- მაოდ კარგად გაისარჯა, ავსტრიული ტუ- რნესას გოლიც მიითვალა, მაგრამ კონკუ- რენციას ვერ გაუძლო და ჩემპიონატის ოთხი უშედეგო შეხვედრის შემდეგ, 26 ოქტომბერს, იჰლ-ის კლუბ კლივლენდში გაგზავნეს. იქაც დიდად არ გამორჩეულა (გარდა ერთი მატჩისა, რომელშიც თავ- დამსხმელმა მოულოდნელად გაიბრწყინა და 7 (2+5) ქულა დააგროვა), თანაც ბრო- ნქიტით დაავადდა. ბოლო კვირას კალე- ნი, მისივე თქმით, ბევრს ფიქრობდა თა- ვის მომავალზე და, როგორც იქნა, გადა- წყვიტა, კარიერა დაესრულებინა. მიუხე- დავად იმისა, რომ ტამპა კრიზისშია, კლუ- ბის მესვეურებს ჰოკეისტისთვის მიცემუ- ლი პირობა არ დავიწყებიათ და „ელვების“ ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე გამორ- ჩეული მოთამაშე გუნდში მწვრთნელის ასისტენტად დატოვეს.

# გაიტანჯა საცოდავი



ჯონ კალენი

# მოულოდნელი ჯოუნსი: ახარებს გულებს, ახერხებს ქულებს

ფილადელფიის გენერალური მენეჯერი ბობი კლარკი ალტაცებას ვერ მალავს. ასეთი გონიერი და იღბლიანი სელექციონერიც კი არ ელოდა კოლორადოში შეძენილი კეიტ ჯოუნსის გარდაქმნას. თავის სადებიუტო მატჩშივე ლინდროსის სამეულში გამწესებული ჯოუნსი ისე ათამაშდა, თითქოს მთელი კარიერა „მფრინავთა“ შორის გაეტარებინოს. 13 ნოემბერს ფილადელფიაში ჩასულ ჰოკეისტს ყურებჩამოყრილი და დაბნეული გუნდი დახვდა, რომელსაც ზედიზედ 7 მატჩში არ გაემარჯვა და მისი შედეგიანობაც თანდათან იკლებდა. თავიდან ასე იყო ნიუ ჯერსისთან შეხვედრაშიც, რომელიც კეიტისთვის ახალ კლუბში ჩატარებული პირველი მატჩი გახლდათ. სახელოვან პარტნიორებთან საერთო ენის გამოსაძებნად ახალბედას სულ ორი პერიოდი დასჭირდა, მერე კი ლინდროსმა და კომპანიამ 5-შაიბიანი ფოიერვერკი მოაწყვეს, რომელსაც სათავე სწორედ ჯოუნსის გოლმა დაუდო.

ამის მერე დაიწყო: 7 თამაშში ლეკლერ-ლინდროს-ჯოუნსის სამეულმა 18 შაიბა (!) მიითვალა, ხოლო ახალწვეულმა გარემარბმა 11 ქულა დააგროვა. აღსანიშნავია, რომ ჯოუნსმა მცირე ტრავმის გამო ამ იღბლიანი სერიის ერთი მატჩი გამოტოვა აილენდე- რსთან და „მფრინავებმა“ სწორედ ის თამაში წააგეს, არც ლინდროსსა და ლეკლერს გამოუჩენიათ მაინცდამაინც თავი. თუ ჯოუნსი ასევე გააგრძელებს, ფილადელფიელები ბოლო წლების მთავარ პრობლემას მოაგვარებენ: მას შემდეგ, რაც ლინდროსის სამეუ- ლის მარცხენა გარემარბი მიკაელ რენბერგი გუნდიდან წავიდა, ამ პოზიციაზე გასინჯულმა ვერც ერთმა ფორვარდმა ვერ გაამართლა მწვრთნელთა იმედები, მათ შორის ტრენტ კლეტმა, დაიზუს ზუბრუსმა, თვით რობ ბრინდამორმაც კი. ვერც წლეულს შეძენილმა მაიკ მანელიუკმა გაართვა თავი ამ მოვალეობას.

საინტერესოა, რომ ბოლო ხანს ფილადელფია პაველ ბურესთვის გაჩაღებულ ბრძო- ლაში ჩაება და „რუსული რაკეტა“ სწორედ რენბერგის შემცვლელად ეგულებოდა, მაგრამ თუ „მფრინავები“ ჯოუნსით კვლავ კმაყოფილნი იქნებიან, ამ იდეაზე, ალბათ, უარს იტყვიან.



კეიტ ჯოუნსი

ვანკუვერთან ბოლო შეხვედრაში ის მერე კანადელთა მეკარე გარტ სნოუ, რომელიც შარშან ფილადელფიის ღირსებას იცავდა, გაოცებული იყო, თუ რაოდენ შეიცვალა ლი- ნდროსის სამეული. „მესამე პერიოდში ჩემს კართან ნამდვილი შტურმი იყო“ — თქვა სნოუმ მატჩის შემდეგ.

ერთიც უნდა ითქვას. ჟურნალისტებმა ლი- ნდროსის სამეულს ჩამოყალიბებისთანავე უამრავი მეტსახელი მოუგონეს, უფრო კი ტრი- ოს „საბედისწერო ლეგიონად“ და „DOOM LINE“-ად იცნობდნენ და ის, რომ ახლა იგი რეპორტიორებმა „BIG LINE“-ად მონათლეს, სწორედ ჯოუნსის დამსახურებაა.

## სატურნირო ვითარება

| ჩრდილო-აღმოსავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ...ტორონტო | 24 | 13 | 2 | 9 | 74:68 | 28 |
| ...სტონი | 22 | 10 | 5 | 7 | 60:43 | 25 |
| ...ფალო | 19 | 10 | 4 | 5 | 57:40 | 24 |
| ...ტავა | 20 | 10 | 3 | 7 | 61:50 | 23 |
| ...ნრეალი | 22 | 8 | 2 | 12 | 52:65 | 18 |

| სამხრეთ-აღმოსავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ...როლინა | 24 | 11 | 3 | 10 | 62:57 | 25 |
| ...ლორიდა | 21 | 8 | 5 | 8 | 50:55 | 21 |
| ...შინგტონი | 21 | 7 | 3 | 11 | 49:62 | 17 |
| ...მპა | 22 | 6 | 2 | 14 | 48:83 | 14 |

| ატლანტა | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 21 | 12 | 1 | 7 | 54:49 | 27 |
| ფილადელფია | 22 | 11 | 4 | 7 | 62:48 | 26 |
| პიტსბურგი | 21 | 10 | 5 | 6 | 63:55 | 25 |
| აილენდერსი | 23 | 10 | 0 | 13 | 59:64 | 20 |
| რეინჯერსი | 22 | 6 | 7 | 9 | 55:58 | 19 |

| ცენტრი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეტროიტი | 21 | 13 | 0 | 8 | 73:50 | 26 |
| სენტ ლუისი | 20 | 9 | 5 | 6 | 57:47 | 23 |
| ნეშვილი | 22 | 9 | 1 | 12 | 53:68 | 19 |
| ჩიკაგო | 23 | 6 | 3 | 14 | 48:82 | 15 |

| წყნარი ოკეანე | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფინიქსი | 18 | 14 | 2 | 2 | 53:26 | 30 |
| დალასი | 19 | 12 | 3 | 4 | 53:39 | 27 |
| ანაჰაიმი | 22 | 8 | 4 | 10 | 50:53 | 20 |
| ლოს ანჯელესი | 23 | 6 | 3 | 14 | 50:66 | 15 |
| სან ხოსე | 21 | 5 | 5 | 11 | 48:55 | 15 |

| ჩრდილო-დასავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ედმონტონი | 22 | 12 | 1 | 9 | 68:55 | 25 |
| ვანკუვერი | 23 | 9 | 1 | 13 | 66:71 | 19 |
| კოლორადო | 21 | 8 | 2 | 11 | 53:62 | 18 |
| კალგარი | 23 | 8 | 2 | 13 | 63:70 | 18 |

*ბომბარდირები:* ლინდროსი 33 (12+21); ლეკლერი (ორივე — ფილადელფია) 29 (18+11); კარია (ანაჰაიმი) 29 (13+16); ...გრი (პიტსბურგი) 29 (5+24); ფორსბერგი (კოლორადო) 27 (6+21); ამონტე (ჩიკაგო) 25 (18+7); ფლერი (კალგარი) 25 (12+13); ...რისტიჩი (ბოსტონი) 25 (11+14); საკიკი (კოლორადო) 25 (9+16); სტრაკა (პიტსბურგი) 24 (13+11); აიზერმანი (დეტროიტი) 24 ...+15); შენაჰანი (დეტროიტი) 23 (12+11); დემიტრა (სენტ ლუისი) 23 (11+12)

*გოლები:* ლეკლერი და ამონტე 18; კარია და სტრაკა 13; ბარნსი (პიტსბურგი), შენაჰანი, ლინდროსი, ფლერი, გერინი (...დმონტონი) და ტკაჩუკი (ფინიქსი) 12

*პასები:* იაგრი 24; ფორსბერგი და ლინდროსი 21; გრეცკი (რეინჯერსი) 18; მერფი (დეტროიტი) 17; საკიკი, რეკი (მონრე- ...ლი), ჰაუსლი (კალგარი), რაიხელი (აილენდერსი), რენიკი (ფინიქსი) და კარია 16.

*დარტყმები:* კარია 132; ფლერი 98; ბონდრა (ვაშინგტონი) 96; შენაჰანი 91; იაშინი (ოტავა) 90; სუნდინი 89; რობიტაილი (...ლოს ანჯელესი) 87

*ნაყოფიერების კოეფიციენტი:* ლინდროსი +18; ლეკლერი +16; ბ. მირონოვი (ედმონტონი) და კოტი (ტორონტო) +15; ...აჩუკი (ფინიქსი) +14; მაკინისი (სენტ ლუისი), მაკარტი, აიზერმანი (ორივე — დეტროიტი) +12

*საჯარიმო წუთები:* ოჯაკი (აილენდერსი) 131; უორელი 84; ლოსი (ორივე ფლორიდა) 83; შ. ბრაუნი (ედმონტონი) 82; ...ლანჟე (ბოსტონი) 81; პრობერი (ჩიკაგო) და ბერუბი (ვაშინგტონი) 80

*ახალბედები:* მუკალტი (ვანკუვერი) 14 (8+6); ჰეიდუკი (კოლორადო) 13 (3+10); პერიში (ფლორიდა) 12 (9+3); უოტი (...აილენდერსი) 1? (3+7); კაბერლე (ტორონტო) 10 (2+8); დრური (კოლორადო) 9 (4+5); მანელიუკი (ჩიკაგო) 9 (2+7)

*მეკარეები:* უეიტი 1,15 გაშვებული შაიბა ერთ მატჩში; ხაბიბულინი (ორივე — ფინიქსი) 1,56; დაფო (ბოსტონი) 1,81; ...ბურეკი (დალასი) 1,91; ჰაშეკი (ბუფალო) 1,97; ბელფორი (დალასი) და ირბე (კაროლინა) 2,00

# კვირის მოთამაშე

## ჯონ ლეკლერი (ფილადელფია)

ბოლო წლებში ნჰლ-ში პოკერი ანუ ...ოთხი შაიბის გატანა არცთუ ხშირი მო- ...ვლენაა, არ იქნებოდა, მისი ავტორი არ ...გამორჩეულიყო. თუმცა ფილადელფიელმა ...ჯონ ლეკლერმა მხოლოდ ამით როდი ...დაგვამახსოვრა თავი. ფორვარდმა შე- ...მოდგომის ბოლო დღეების სამივე შეხ- ...ვედრაში მიითვალა გოლები და ჩიკაგო- ...ელ ტონი ამონტესთან ერთად 18 შაიბით ...ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერიც გა- ...ხდა. „მფრინავთა“ პირველი სამეული კი, ...რომელშიც მარჯვენა გარემარბად ახალ- ...შეძენილი კეიტ ჯოუნსი დამკვიდრდა, ბო- ...ლო მატჩებში ისე საუცხოოდ ათამაშდა, ...ზემოხსენებული ამონტეს კვირის 5 გო- ...ლი (მათ შორის ჰეთ-თრიქი) რომ არა, ...მთელ ტრიოს ერგებოდა კვირის საუკე- ...თესო ექვსეულში დასახელების პატივი. ...მოკლედ, სამივე აღიარების ღირსი იყო, ...მაგრამ შედეგიან პასზე მეტად მაინც გო- ლი რომ ფასობს, ლეკლერის მაგალი- თმაც დაადასტურა. მით უმეტეს, რომ შე- დეგიანობის საერთო კლების კვალობა- ზე იგი ერთადერთია, რომელიც ბოლო სამ წელიწადში 50-შაიბიან ზღვარს არ ჩამოსცილებია.



### კვირის ექვსეული:

*ტრევორ კიდი* (კაროლინა); *რეი ბურკი* (ბოსტონი, 1) — *ლარი მერფი* (დეტრო- ...იტი, 1) *ტონი ამონტე* (ჩიკაგო, 1) — *ერიკ ლინდროსი* (ფილადელფია, 2) — *ჯონ ლე- ...კლერი* (ფილადელფია, 2)

**იარომირ** იაგრმა ბოლოს ასე მშრალად (10 უგოლო მა- ტჩი) თავის სადებიუტო, 1990-91 სეზონში ითამაშა, როცა ზედი- ზედ 17 მატჩში ვერ შეძლო გატანა. თუმცა საქმე არც ისე ტრაგიკულადაა. რონ ფრენსისის წასვლის შემდეგ პიტსბურგს კარგი გამთამაშებელი აღარ ჰყავს და ამ ფუნქციის შესრულე- ბაც იაგრს ეკისრება. იმაზე, თუ როგორ ახერხებს ამას ჩეხი ვარსკვლავი, ჩემპიონატში ყველაზე მეტი, 24 პასი მეტყველებს.

* * *

**უხეშობით** ცნობილი სან ხოსეს მცველი ბრაიან მარჩმე- ნტი, მას შემდეგ, რაც დალასელებმა შარშანდელი წყენისთვის საკადრისად დასაჯეს, ახლა სენტ ლუისზე „გაიქაჩა“. მისი მო- რიგი მსხვერპლი სკოტ პელერინი შეიქნა, რომელმაც მარჩმე- ნტის დაუნდობელი ილეთის შემდეგ ტვინის შერყევა მიიღო. თუმც სენტ ლუისი შარშანდელი დალასივით არ მოიქცა — „ბლუზმენთა“ კაპიტანმა კრის პრონგერმა მოძალადე გვარიანად გალახა.

* * *

**ბუფალოს** და ფლორიდის შეხვედრისას უნიკალური შე- მთხვევა მოხდა — პირველივე პერიოდის შემდეგ „ხმლების“ მწვრთნელმა ლინდი რაფმა დომინიკ ჰაშეკი გამოცვალა, მეკა- რე, რომელმაც მანამდე 18 თამაში შეუცვლელად ჩაატარა. ამის მიზეზი მარტო ის არ გახლდათ, რომ „დომინატორია“ შეცდა და მისმა თანამემამულე რადეკ დვორჟაკმა 20 მეტრიდან გაუტა- ნა. იგი აშკარად გადაიღალა და ნამდვილად ვერ იყო ხასიათზე, „პანტერები“ კი ძალიან მონდომებულნი თამაშობდნენ. რაფის წინათგრძნობა გამართლდა. მეორე მესამედში ფლორიდელებმა უფრო მოიწადინეს, 49-ე წუთზე ატეხილმა აყალმაყალმა კი სათადარიგოთა სკამზე მჯდომი ჰაშეკი ისე გაანერვიულა, მოე- დანზე ხელთათმანი ისროლა, რისთვისაც ორწუთიანი ჯარიმით დაისაჯა.

* * *

**ნოემბრის** საუკეთესო გუნდი უეჭველად ჩემპიონატის ლი- დერი, ფინიქსი გახლდათ. 11 მატჩიდან „კოიოტებმა“ 10 მოიგეს და ერთიც ფრედ დაამთავრეს. 1966 წლის ოქტომბრის შემდეგ (მაშინ ფლორიდამ აჩვენა საუკეთესო შედეგი — 12 მატჩში %8%4-0) არ ყოფილა შემთხვევა, რომ კლუბს მთელი თვე წაუგებლად ჩაეტარებინა. „კოიოტებმა“ უკვე დაამხეს საკლუბო რეკორდი, რო- მელიც ვინიპეგში თამაშისას დაამყარეს (13 წაუგებელი მატჩი), ამჯერად კი უკვე ლიგის ერთ-ერთ უძველეს რეკორდს ემუქრები- ან — სტარტზე ოტავასთან 1:4 მარცხის შემდეგ ფინიქსელები 17 თამაშია, 2 შაიბაზე მეტს არ უშვებენ, რაც მხოლოდ სამით ჩამო- უვარდება მონრეალის 1958-59 წლების შედეგს.

* * *

1997 და 1998 წლების დრაფტებში გამორჩეულების — ბოს- ტონელი ჯო ტორნტონისა და ტამპელი ვენსან ლეკავალიეს პირველმა შეყრამ, რომელსაც სპეციალისტები მოუთმენლად ელო- დნენ, უინტერესოდ ჩაიარა. ტორნტონმა ყინულზე 11 წუთი დაჰყო და მხოლოდ ერთხელ დაარტყა, ისიც უშედეგოდ. ლეკავალიეს მაჩვენებლები კი სახსენებლადაც არ ღირს — მოედანზე გატარე- ბული 7 წუთისა და 15 წამის განმავლობაში ვერც ერთხელ ვერ დაემუქრა მეტოქის კარს.

ისე, მთლიანობაში, ტორნტონის თამაშში ოდნავი პროგრესი მაინც შეიმჩნევა. თუ შარშან ბოსტონელმა ვუნდერკინდმა 55 მატჩში 7 (3+4) ქულა დააგროვა, წლეულს მის აქტივში უკვე შედეგიანი გადაცემა და ორი გოლია.

* * *

**მარკ მესიე** არა მარტო უდიდესი ჰოკეისტია, არამედ თუ- რმე ორიგინალური აზროვნებითაც გამოირჩევა. ჟურნალისტების შეკითხვაზე, რა მიაჩნია მას კარიერის უმაღლეს მწვერვალად, 600 გატანილი გოლი, ნჰლ-ში გატარებული 20 სეზონი თუ 6 მოგებული სტენლის თასი, ვანკუვერის ლიდერმა უყოყმანოდ უპასუხა: „ჩემთვის მთავარი სულ სხვა რამაა. კარიერის განმავ- ლობაში უდიდესი ბედნიერება მერგო, რადგან უამრავ ჰოკეი- სტთან ერთად მომიხდა დიდი მიზნისთვის ბრძოლა და საერთო საქმის კეთება. როცა 20-25 მოთამაშე ერთნაირად აზროვნებს, ამას არაფერი სჯობს“.

REUTERS ასპენიდან




REUTERS ლეიკ ლუიზიდან




# ზამთარი ავსტრიულია

გასულ უქმეებზე სამთომოთხილამურე ქალები კანადის სამთო კურორტ ლეიკ ლუიზში მსოფლიოს თასის მორიგ ეტაპზე შეიკრიბნენ და ერთურთს სწრაფდაშვებასა და სუპერგიგანტში გაეჯიბრნენ. ორივე სახეობაში ავსტრიელებმა იმარჯვეს. სწრაფდაშვებაში ბადალი არ ჰყავდა რენატა კოუხს, სუპერგიგანტში კი ყველაზე სწრაფი ალექსანდრა მაიზინცერი (მარჯვენა ფოტოზე) იყო. საერთო ჩათვლაშიც სწორედ ესენი დაწინაურდნენ:

I. ალექსანდრა მაიზინცერი (ავსტრია) 385; II. რენატა კოუხი (ავსტრია) 214; III. მარტინა ერტლი (გერმანია) 207; IV. იზოლდე კოსტნერი (იტალია) 160; V. ანდრიან ფლემენი (ნორვეგია) 149

კაცებმა კი ამერიკულ სამთო კურორტ ასპენში, სუპერგიგანტსა და სლალომში იასპარეზეს. ქალთა მსგავსად, აქაც ავსტრიელებმა გაიმარჯვეს: სუპერგიგანტში სტეფან ებერჰარტერმა, სლალომში ტომას სტანგასინგერმა (მარცხენა ფოტოზე).

I. კრისტიან მაიერი (ავსტრია) 290; II. სტეფან ებერჰატერი (ავსტრია) 280; III. ანდრე აამოდტი (ნორვეგია) 184; IV. ჰერმან მაიერი (ავსტრია) 180; V. ტომას სტანგასინგერი (ავსტრია) 135

REUTERS ლეიკ ლუიზიდან

# გმირებმ[...] ველოსიპედ[...] მოიპარე[...]

ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ჰ[...] მაიერი და მისი თანაგუნდელი ან[...] შიფერერი გუშინ პოლიციამ დააკა[...] ლოსიპედის ქურდობისათვის. მაიერ[...] შეფერერი მონაწილეობდნენ სამთო [...] ლამურობის მსოფლიო თასის მო[...] ეტაპში, რომელიც ამერიკაში მიმდინ[...] ობდა. ოლიმპიურ გმირ მაიერსა და [...] რაფდაშვების ჩემპიონ შეფერერს ქუ[...] დაგდებული ველოსიპედი აუღიათ და [...] სზე ამხედრებულნი დაბრუნებულან [...] ტუმროში.

თურმე, ჩემპიონები ჩქარობდნენ, რა[...] ვანკუვერის თვითმფრინავზე აგვიანდ[...] დათ. (კანადაში მსოფლიო თასის მო[...] ეტაპი იწყებოდა). ველოსიპედს პატ[...] გამოუჩნდა და ჩემპიონებს პოლიცია ა[...] ვნა. მაიერმა და შეფერერმა ველოსი[...] დააგდეს და რბენით გაუტიეს. პოლი[...] იმარჯვა და გამტაცებლები დააკავა. [...] რედინი დაკითხვის შემდეგ ავსტრიე[...] ბი გაათავისუფლეს.




ჰერმან მაიერი

# კოსტია ძიუ კვლავ ჩემპიონია

კორეული წარმოშობის რუსი, ან კი ავსტრალიის მოქალაქე კოსტია ძიუ განთქმული კაცია დიდ კრივში. ოცდაოთხი ბრძოლიდან მხოლოდ ერთი წაუგია, ერთიც ფრედ დაუსრულებია და ჩემპიონიც ყოფილა მცირე ველთერის (140 ფუნტი) წონაში.

გასულ შაბათს ძიუმ კვლავ იბრძოლა ჩემპიონობისათვის კუბელი დიობელუს ურტადოს წინააღმდეგ. ამჯერად თამაშდებოდა საბჭოს (ვბკ) ქვემსუბუქი წონის უპატრონო ქამარი და ორმა პრეტენდენტმაც ლია და ვაჟკაცური ჩხუბი გასწია კალიფორნიის პატარა ქალა ინდიოში.

ძიუმ პირველსავე რაუნდში აგემა ნოკდაუნი დიდ კრივში 28 ბრძოლის მომგებ და 2 ბრძოლის წამგებ კუბელს, მაგრამ თავადაც გვარიანად მოხვდა. გრძელმკლავა ურტადომ ორჯერ მიაგდო თოკებთან და მარჯვენა თვალიც დაუსია.

თუმცა, ძიუ რომ უკეთესი მოკრივეა, მაინც დამტკიცდა, მეხუთე რაუნდში მისმა ცაცია ჰუკმა ცალ მუხლზე დააჩოქა კუბელი. ბრძოლა რომ განახლდა, ძიუმ კიდევ ერთი ამოსცხო ურტადოს და კიდევ ერთხელ წააქცია. რეფერიმაც აქ შეწყვიტა ბრძოლა და ძიუ გამარჯვებულად გამოაცხადა. მცირე ველთერში უიღბლოდ რკენის შემდეგ თავის ჩვეულ ქვემსუბუქ (130 ფუნტი) წონაში დაბრუნებული ავსტრალიელი კოსტია უკვე მეორედ გახდა ამ წონის ჩემპიონი.

„მეც გვარიანად მომხვდა, მაგრამ ეს ჩემი რუსული ხასიათის ბრალია. თავზეხელაღებით მივდივარ წინ“, განმარტა ბრძოლის შემდეგ გარუსებული კორეელების ავსტრალიელმა შთამომავალმა.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**

# რუსი სხვას რას გაატანს

რუსმა ფიგურულად მოციგურავე წყვილმა, ანჟელიკა კრილოვამ და ოლეგ ოვსიანიკოვმა მოსკოვში მსოფლიოს თასის ეტაპზე იმარჯვეს. მათ რუსეთის დიდი პრიზი და ოქროს მედლებიც მოიგეს. ვერცხლი და ბრინჯაოც რუსებს — ირინა ლობაჩევა-ილია ავერბახისა და ტატიანა ნავკა-რომან კოსტომაროვის წყვილებს ერგოთ



REUTERS ნიუ იორკიდან




# დონ კინგი მეტ ფულს ჩაიჩხრიალებს

*დიდი პრომოუტერი დონ კინგი მედისონ სკვერ გარდენში შეყრილ მედიას წარუდგენს მძიმე წონის ტიტულების გამაერთიანებელი ორთაბრძოლის მონაწილეებს. ევანდერ ჰოლიფილდს თავისი ორი ქამარი მოუტანია, ლენოქს ლუისს — ერთი. გაისად, 13 მარტს სამივე დიდი ქამარი ერთ-ერთი ამათგანის ხელში იქნება, დონ კინგი კი უფრო მეტ ფულს ჩაიჩხრიალებს.*


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი** ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი** გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი** თამაზ მიგრიაული
**მთავარი რედაქტორის მოადგილე:** ილია ბაბუნაშვილი
**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:** ვახტანგ ბზიკაძე
**ტექნიკური რედაქტორი** გურამ ხელაშვილი
**კალათბურთის განყოფილების გამგე:** მერაბ რატიშვილი
**ინფორმაციის განყოფილების გამგე:** სოსო კოტორაშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული ფეხბურთის განყოფილება:** კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
**უცხოური ფეხბურთის განყოფილება:** ლაშა გოდუაძე, დავით კოზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი
**კალათბურთის განყოფილება:** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე
**ინფორმაციის განყოფილება:** ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე
**კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე
**ფოტორეპორტიორები:** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
**კომპიუტერული ცენტრი:** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ბელა ხატიაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი


**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29